ევროკავშირი
საქართველოსთვის

# სტიგმის მიღმა უხილავები:

## საქართველოში პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების საჭიროების კვლევა

**სტიგმის მიღმა უხილავები: საქართველოში პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების საჭიროებების კვლევა**

ნატალია მჭედლიშვილი

საადვოკაციო კონტექსტის ანალიზი: ლიკა ჯალაღანია

კვლევის ასისტენტი, ველის მენეჯერი: თამარ ლაფერაძე

ISBN: 978-9941-8-5990-8

© ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), 2023

E-mail: info@wisg.org

Tel.: (032) 224 01 03

www.wisg.org

თარგმანი: მედეა რუსიშვილი

ყდის დიზაინი: თამარ ბაქრაძე

დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე

დაბეჭდილია: შპს „სეზანი“

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია WISG და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

პუბლიკაციის  სრულად ან ნაწილობრივ გამოყენება ან გადაბეჭდვა WISG-ის წერილობითი თანხმობის გარეშე დაუშვებელია. გამონაკლისს წარმოადგენს მოკლე ციტატების  გამოყენება სტატიებში წყაროს მითითებით.

# სტიგმის მიღმა უხილავები: საქართველოში პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების საჭიროებების კვლევა

ნატალია მჭედლიშვილი
ლიკა ჯალაღანია

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG)
თბილისი 2023

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG) ფემინისტური ორგანიზაციაა, რომლის მიზანია, ქალთა გაძლიერების და პოლიტიკური მონაწილეობის გზით, სოციალური სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული საზოგადოების შენების ხელშეწყობა.

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი მუშაობს ლესბოსელი და ბისექსუალი ქალების, ტრანსგენდერი და ინტერსექსი ადამიანების, ასევე სხვა მარგინალიზებული ჯგუფების წარმომადგენელ ქალთა საკითხებზე.

WISG მუშაობს შემდეგი მიმართულებებით: ადვოკატირება ქალთა და ქვიარ საკითხების პოლიტიკაში ინტეგრირებისთვის; თემის გაძლიერება სოციალური და პოლიტიკური მონაწილეობის ხელშესაწყობად; გენდერისა და სექსუალობის შესახებ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი კრიტიკული ცოდნის შექმნა კვლევებისა და სახელოვნებო პროექტების გზით; ინტერსექციური ქვიარ ფემინისტური ორგანიზების პრაქტიკის განვითარება.

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი ავტორია საქართველოში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ძირითადი კვლევებისა და პოლიტიკის ანალიზის. ჩვენი კვლევები, ჩრდილოვანი ანგარიშები, პოლიტიკის დოკუმენტები, ასევე ინფორმაცია სხვა აქტივობების შესახებ, ხელმისაწვდომია ორგანიზაციის ოფიციალურ ვებსაიტზე: https://wisg.org/ka

# სარჩევი


შესავალი ..... 9
ძირითადი ტერმინების განმარტება ..... 11
კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია ..... 14
კვლევის შედეგების მოკლე მიმოხილვა ..... 20
1. საადვოკაციო კონტექსტის ანალიზი: სექს-სამუშაოსთან დაკავშირებული ადგილობრივი და საერთაშორისო აქტივისტური და სამართლებრივი პრაქტიკა ..... 34
1.1. პროსტიტუცია და საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები ..... 36
არსი ..... 36
ფემინისტური პერსპექტივების მიმოხილვა ..... 38
სამართლებრივი რეგულირების ზოგადი მიდგომები ..... 40
რეგულირების კარგი პრაქტიკა და საერთაშორისო სტანდარტები ..... 44
1.2. პროსტიტუციის რეგულირება საქართველოში: კანონმდებლობა და პოლიტიკა ..... 46
უფლებებზე ორიენტირებული ადვოკატირება საქართველოში ..... 48
2. პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების ანგარიში ..... 51
2.1. პროსტიტუციაში ჩაბმის წინაპირობა ..... 51
2.2. თავდაპირველი გამოცდილება და განცდები ..... 56
2.3. რისკები, გამკლავების მექანიზმები და მხარდაჭერა ..... 59
2.4. მომავლის ხედვა ..... 66
3. პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალებთან პირისპირი ინტერვიუების რაოდენობრივი შედეგები ..... 70
3.1. საკვლევი ჯგუფის დემოგრაფიული მახასიათებლები ..... 70
3.2. საკვლევი ჯგუფის სოციო-ეკონომიკური მახასიათებლები ..... 76
3.3. სექსუალური ცხოვრება ..... 83
3.4. პროსტიტუციაში ჩაბმამდე ძალადობის გამოცდილება ინტიმური პარტნიორის მხრიდან ..... 86
3.5. პროსტიტუციასთან დაკავშირებული გამოცდილება ..... 91
3.6. ჯანმრთელობა ..... 102
3.7. მომავლის ხედვა ..... 110
4. დასკვნა ..... 112
5. გამოყენებული ლიტერატურა ..... 115
დანართი 01. ექსპერტთა ფოკუს-ჯგუფში მონაწილე ორგანიზაციების ჩამონათვალი: ..... 117

**განსაკუთრებული მადლობა კვლევაში შეტანილი წვლილისა და მხარ-დაჭერისთვის:**

**ინტერვიუერებს:** მერაბ ბეშიძეს, თამარ თევდორაშვილს, სანდრო ღვინი-აშვილს, ტონი სარასფატის, სოფო ბასილაძეს, ხათუნა სირაძეს, ეკატერი-ნე ჯავახიას, რატი ცინცაძეს, ილია ურუშაძეს, გიორგი ბოლქვაძეს, ეკა ორაგველიძეს.

**ორგანიზაციებს:** საინფორმაციო-სამედიცინო ფსიქოლოგიურ ცენტრ „თანადგომას“, „თემიდას“, „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერ ჯგუფს (WISG)“, „პერიფერიას“.

**თითოეულ რესპონდენტს** კვლევაში მონაწილეობისთვის, ნდობისა და გულწრფელობისთვის!

# შესავალი

პროსტიტუცია, სექსუალური მომსახურება ფულის ან სხვა სიკეთეების სანაცვლოდ, ისტროიულად მუდმივ და კომპლექსურ საკითხს წარმოადგენს. თუმცა, პროსტიტუციაში სხვადასხვა გენდერული იდენტობის ინდივიდები ხვდებიან, სუბორდინაციის ამ წესრიგში სექსუალური სერვისის გამცემთა რიგებში ქალების წარმომადგენლობა დისპროპორციულად მაღალია. გენდერული თანასწორობის, ადამიანის უფლებების, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური კეთილდღეობის საკითხებთან კავშირის გამო, პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალთა საჭიროებების კვლევა სხვადასხვა დარგის მკვლევართათვის, სოციალური აქტივისტებისა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებთათვის დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენს.

პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალთა გამოცდილებები მრავალფეროვანია და მათ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს ფაქტორთა სპექტრი – როგორიცაა კულტურული ნორმები, სამართლებრივი და პოლიტიკური კონტექსტი, სოციალური და ეკონომიკური სტატუსი, ინდივიდუალური მოტივაცია და სხვა. მრავალი ქალისათვის პროსტიტუციით დაკავება განპირობებულია ეკონომიკური საჭიროებებით, ალტერნატიული დასაქმების შეუძლებლობით, ან სისტემური უთანასწორობით, რომელიც მათ განათლებასა და საჯარო რესურსებზე წვდომას უზღუდავს. სხვა შემთხვევებში, თავისუფლების შეზღუდვა ტრეფიკინგის ან სხვა ტიპის ექსპლუატაციის გზით, ქალებს თავისი ნების საწინააღმდეგოდ აიძულებს, საკუთარი სხეული ფუნდამენტური უფლებებისა და ღირსების შელახვის ხარჯზე ვაჭრობას დაუქვემდებარონ.

ისტორიულად, პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალებს საზოგადოებრივ სტიგმასთან, დისკრიმინაციასა და მარგინალიზაციასთან უწევთ შეჯახება. ზოგადად სექსუალობის და მით უფრო, კომერციული სექს საქმიანობის მასტიგმატიზებელი დომინანტური სოციალური განწყობები ხშირად პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალებს გარიყავს, აქცევს მათ მოწყვლადობის მოჯადოებულ წრეში და მარტო ტოვებს სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რისკების წინაშე. ინსტიტუციურ მხარდაჭერაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობისა და თავად პროსტიტუციის თავისებურებიდან გამომდინარე, რომ ის ხშირად დაფარული და იატაკქვეშა საქმიანობაა, პროსტიტუციაში

ჩაბმული ქალები ძალადობის, სექსუალური გზით გადამდები ინფექციების (სგგი), ნივთიერებების მავნე მოხმარებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მაღალი რისკის ჯგუფს წარმოადგენენ. შესაბამისად, პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების მდგომარეობის აღწერა და საჭიროებების იდენტიფიცირება მოითხოვს მრავალგანზომილებიან მიდგომას, კვლევებს, რომელიც შეისწავლის და გააანალიზებს სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ თუ სამართლებრივ ფაქტორებს, ქალების უშუალო გამოცდილებებსა და მათ ურთიერთკავშირს.

მოცემულ კვლევას, იძიებს რა პირად გამოცდილებებს და მათ განმსაზღვრელ სოციო-ეკონომიკურ, სამართლებრივ და ჯანდაცვის სისტემურ გარემოებებს, წვლილი შეაქვს საქართველოში პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების მდგომარეობისა და საჭიროებების შესახებ არსებული ცოდნის გაღრმავების საქმეში. გამოწვევებისა და საჭიროებების შესახებ მეტად სიღრმისეულად გაგების გზით კი შესაძლებელია ადგილობრივ კონტექსტში პროსტიტუციის საკითხის მიზანმიმართული გააზრება და მტკიცებულებაზე დაფუძნებული შესაბამისი ინტერვენციის დაგეგმვა პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების უფლებების დაცვისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით.

# ძირითადი ტერმინების განმარტება

**ადვოკატირება** – წარმოადგენს მოქმედებას, რომელიც მიზნად ისახავს რაიმე მიზეზის, იდეის ან ჯგუფის მხარდაჭერის მიზნით გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე, პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ან/და სოციალური ცვლილების პროცესზე. ადვოკატირებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვაგვარი ფორმა, მათ შორის, მოცემული კონტექსტისთვის რელევანტური – პოლიტიკური ადვოკატირება, სამართლებრივი ადვოკატირება და სოციალური ადვოკატირება.

**ზიანის შემცირება** – პრაგმატული მიდგომა, რომელის მიზანსაც წარმოადგენს კონკრეტულ ქცევებსა და პრაქტიკებთან დაკავშირებული ნეგატიური შედეგებისა და რისკების მინიმიზაცია. პროსტიტუციის კონტექსტში, ზიანის შემცირების სტრატეგიები ძირითადად ფოკუსირდება უსაფრთხო სექსის პრაქტიკების წახალისება-ხელშეწყობაზე, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გაზრდასა და პროსტიტუციაში ჩაბმული ინდივიდების სოციო-ეკონომიკური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე.

**ინტერსექციურობა** – ტერმინი გულისხმობს იმ სოციალურ კატეგორიათა ან იდენტობათა თანაკვეთას, რომელიც განაპირობებს ამა თუ იმ ჯგუფისა თუ ინდივიდის ჩაგვრას, ან მათი მოწყვლადობის დამატებით ფაქტორს წარმოადგენს. ტერმინი 1980-იანი წლების ამერიკაში შავკანიანი ფემინისტური მოძრაობის კვალდაკვალ გაჩნდა და ის, აქტივისტმა და მკვლევარმა კიმბერლი უილიამ ქრენშოუმ დაამკვიდრა, როგორც ანალიტიკური ინსტრუმენტი, უთანასწორობისა და ჩაგრულობის განმაპირობებელი ორგანიზაციული, კულტურული და პერსონალური ფაქტორების თანაკვეთის აღსაწერად. მოცემულ კვლევაში ტერმინი გამოიყენება ისეთი ფაქტორების კვეთათა წარმოსაჩენად, როგორიცაა გენდერი, ასაკი და სოციო-ეკონომიკური სტატუსი.

**ინტიმურობის კომოდიფიკაცია / გასაქონლება** – ტერმინი ეკუთვნის ნიკოლ კონსტაბლს (Nicole Constable). ამერიკელი ანთროპოლოგი თავის წიგნში „ინტიმურობის კომოდიფიკაცია: ქორწინება, სექსი და რეპროდუქციული შრომა“ ამ მოვლენას აღწერს, როგორც გლობალური კაპიტალიზმის გარკვეული განვითარებების თანმდევს, როდესაც ინტიმურობა და ინტიმური ურთიერთობები ხდება საბაზრო ტრანზაქცია – გასაყიდი ან მოხმარებადი, როგორც საქონელი და მოსაზღვრული საბაზრო წესრიგით.

**კლიენტი** – პროსტიტუციის კონტექსტში, ადამიანი, რომელიც პროსტიტუციაში ჩაბმული ინდივიდისაგან სექსუალური მომსახურების მიღების სანაცვლოდ იხდის ფულს ან გაიღებს სხვა სიკეთეს. კლიენტების გენდერული იდენტობები შეიძლება ვარირებდეს, ისევე როგორც მათი სექს სერვისით სარგებლობის მიზეზი: ეს შეიძლება იყოს კომპანიონობის, სექსუალური დაკმაყოფილების, ფეტიშებისა თუ სექსუალური ფანტაზიების დაკმაყოფილების სურვილი.

**პროსტიტუცია** – სექსუალური მომსახურება ფულის ან სხვა სიკეთეების სანაცვლოდ. თუმცა, სრულად ვაცნობიერებთ, პროსტიტუციის შრომით ასპექტებს და მათი წარმოჩენა-ხაზგასმის აუცილებლობას და ტერმინ **„სექს-სამუშაოს“** მნიშვნელობას, მოცემულ კვლევაში „პროსტიტუცია“ წარმოადგენს ძირითად ტერმინს ფინანსური ანაზღაურების სანაცვლოდ განხორციელებული სექსუალური აქტივობის აღსაწერად. ეს უკანასკნელი ისტორიულად გამოიყენება აკადემიასა და ადვოკაციის სტრატეგიებში და ხშირად დაკავშირებულია მორალურ, სამართლებრივ საკითხებთან და სოციალურ სტიგმასთან და ის მეტად რელევანტურად მივიჩნიეთ კომერციული სექს საქმიანობით დაკავებული ქალების მდგომარეობისა და საჭიროებების შესახებ ცოდნის წარმოების პროცესში. ამის მიუხედავად, კვლევის ჯგუფი მხარს უჭერს პროსტიტუციის ცნების გაფართოებას ტერმინ **„სექს-სამუშაოს“** შემოტანის გზით, რომელიც ხაზს უსვამს აგენტობისა და არჩევანის თავისუფლების საკითხებს.

**სისგენდერი ქალი** – ადამიანი, რომელიც გენდერულად თვითიდენტიფიცირდება ან/და თავს გამოხატავს როგორც ქალი და მისი დაბადებისას მინიჭებული სქესი არის მდედრობითი. კვლევის ანგარიშში მოხსენიებული შეიძლება იყოს ასევე როგორც „სის ქალი“.

**სტიგმა** – სოციალური არაღიარება, ნეგატიური დამოკიდებულება ან რწმენა, რომელიც მიემართება კონკრეტულ ჯგუფს ან ქცევას. პროსტიტუციის კონტექსტში, სტიგმა უკავშირდება სოციალურ და კულტურულ წინარწმენას, სტერეოტიპებს, ან დისკრიმინაციას, რომელიც მიემართება კომერციულ სექსს ან ზოგადად, სექსუალობას.

**სუტენიორი / „მამაშა“** – პირი, რომელიც პროსტიტუციაში ჩაბმულ ინდივიდთან შედის გარიგებაში, რომ მის მიერ კომერციული სექსით მიღებული თანხის წილის სანაცვლოდ გაუწევს პროტექციას. პროტექციაში შეიძლება იგულისხმებოდეს კლიენტებთან შუამავლობა, უსაფრთხოების გარანტიები, ტრანსპორტირება და სხვა სიკეთეებით უზრუნველყოფა.

აღსანიშნავია, რომ საკვლევ პოპულაციაში ეს ორი ტერმინი იდენტური მნიშვნელობებით გამოიყენება, თუმცა, ეტიმოლოგიურად „სუტენიორი“ არის კაცი, რომელიც პროსტიტუციით დაკავებული ქალის ხარჯზე ცხოვრობს და მასთან რომანტიკულ ან/და სექსუალურ ურთიერთობაში იმყოფება; ხოლო, „მამაშა“ არის ქალი, რომელიც კომერციული სექს საქმიანობის ერთგვარ მენეჯერს წარმოადგენს.

**ტრავმა-ინფორმირებული ზრუნვა (Trauma-informed care)** – ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სერვისების ან სხვა ტიპის მხარდაჭერის მიდგომა, როდესაც პრაქტიკაში გათვალისწინებულია ინდივიდზე ტრავმის გავლენა. ამ მიდგომის ბაზისს წარმოადგენს იმის გაცნობიერება, რომ ადამიანები ცხოვრების მანძილზე გამოცდიან ტრავმას, როგორიცაა ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ძალადობა, უგულებელყოფა და ღირსების შემლახავი მოპყრობის სხვა გამოცდილებები, რაც მნიშვნელოვნად განსაზღრავს მათ ქცევას და გავლენას ახდენს მათ კეთილდღეობაზე.

**ტრანსგენდერი ქალი** – ადამიანი, რომელიც გენდერულად თვითიდენტიფიცრდება ან/და თავს გამოხატავს როგორც ქალი და მისი დაბადებისას მინიჭებული სქესი არის მამრობითი. კვლევის ანგარიშში მოხსენიებული შეიძლება იყოს ასევე როგორც „ტრანსი ქალი“.

**ჰეტერონორმატიულობა, ჰეტეროსექსიზმი** – ჰეტერონორმატიულობა, იგივე ნორმატიული ჰეტეროსექსუალობა, წარმოადგენს სექსუალობისა და გენდერული იდენტობის გაბატონებული ჰეტეროსექსუალური წესრიგისათვის (სოციალური, კულტურული თუ პოლიტიკური) დაქვემდებარებას. **ჰეტეროსექსიზმი** კი წარმოადგენს ნებისმიერი არაჰეტეროსექსუალური იდენტობისა და ქცევის წინააღმდეგ მიმართულ განწყობათა და წინარწმენათა სისტემას, რომელიც ჰეტეროსექსუალობას მიიჩნევს უპირატეს სტანდარტად/ნორმად.

# კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

## კვლევის მიზანი

საქართველოში პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების კეთილდღეობისა და უფლებრივი თანასწორობის ადვოკატირების მიზნით, მოცემული კვლევა, საერთაშორისო სამართლის სტანდარტებისა და ფემინისტური ხედვების კონტექსტში, აღწერს და აანალიზებს მათი საჭიროებების განმსაზღვრელ სტრუქტურულ სოციო-ეკონომიკურ, ჯანმრთელობის, სამართლებრივ ფაქტორებსა და მხარდამჭერ სისტემებს.

საქართველოში პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების საჭიროებებისა და მათი ინდიკატორების განსაზღვრის გზით, კვლევის მიგნებები ხელს შეუწყობს საპასუხო ინსტიტუციური ინტერვენციების ეფექტიანად დაგეგმვას.

## კვლევის დიზაინი

ა. კვლევა ეფუძნება როგორც თვისებრივი, ისევე რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდებს. **ტრიანგულაცია,** რაოდენობრივი ტენდენციებისა და სიღმისეული პირადი გამოცდილებების წარმოჩენის გზით, პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების საჭიროებების მრავალმხრივი გაგების საშუალებას იძლევა.

ბ. შერჩევის პრინციპს წარმოადგენდა კვლევაში პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების გამოცდილებები მაქსიმალური მრავალფეროვნებით ასახვა ასაკის, სოციალური და ეკონომიკური სტატუსის და პროსტიტუციის ხანგრძლივობის მიხედვით. შესაბამისად, თვისებრივ და რაოდენობრივ კვლევაში რესპონდენტთა რეკრუტირება მოხდა **მიზნობრივი შერჩევის** წესით. ორივე შემთხვევაში, აღნიშნული მრავალფეროვნების რეპრეზენტაციისათვის, წინასწარ დადგენილი იყო მინიმალური კრიტერიუმი გენდერის (ტრანსგენდერი და სისგენდერი ქალები), ქალაქის (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი) და პროსტიტუციის ტიპის (ქუჩა, ონლაინ, სასტუმრო/საუნა, კაფე/ბარი) ნიშნით.

თვისებრივ კვლევაში წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმით მოხვდნენ პროსტიტუციაში ჩაბმული ტრანსგენდერი ქალები (6[1]) და ქუჩაში (6), ონლაინ (6) და სასტუმრო/საუნებში (10) მომუშავე სისგენდერი ქალები.

1 ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა რაოდენობა მოცემულ ჯგუფში

რაოდენობრივ კვლევაში წინასწარ განსაზღვრულ კრიტერუმს წარმოადგენდა ქალაქი და ასევე, წინასწარ განისაზღვრა რაოდენობრივი კვოტა გენდერული ნიშნით: თბილისში ჩატარდა სულ 80 ინტერვიუ, 20 ტრანსგენდერ და 60 სისგენდერ ქალთან, ბათუმსა და ქუთაისში სულ ჩატარდა 60-60 ინტერვიუ, ქუთაისში 15 ტრანსგენდერ და 45 სისგენდერ ქალთან, ხოლო ბათუმში 16 ტრანსგენდერ და 44 სისგენდერ ქალთან.

კვლევის მონაწილეთა რეკრუტირება მოხდა პროსტიტუციაში ჩაბმული ქალებისთვის სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების, „თემიდას", „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG)" და საინფორმაციო-სამედიცინო ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომას" შუამავლობით.

გ. რაც ეხება **ეთიკის საკითხებს,** კვლევის მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს პირადი ინფორმაციის დაცულობის, კონფიდენციალობისა და ინტერვიუზე ინფორმირებული თანხმობის უზრუნველყოფა. აღსანიშნავია, რომ მოცემულ საკვლევ ჯგუფთან ეს პრინციპი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან პროსტიტუციაში ჩაბმული ქალები ხშირ შემთხვევაში მალავენ საკუთარ საქმიანობას და მათთვის ანონიმურობა მინიმალური უსაფრთხოების აუცილებელი პირობაა. ჯგუფის ამ სპეციფიკას ფოკუს-ჯგუფების მოდერატორი, ისევე როგორც რაოდენობრივ კვლევაში ჩაბმული ინტერვიუერები მრავალწლიანი პრაქტიკის საშუალებით იცნობენ და პატივს სცემენ საკუთარი პროფესიული მანდატის ფარგლებში, როგორც პროფესიონალი საველე კონსულტანტები, სოციალური მუშაკები და სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები. პრაქტიკაში ყოველი დისკუსიისა და ინტერვიუს წინ რესპონდენტებს განემარტათ კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესახებ. მათი ინფორმირებული თანხმობა დადასტურებულია თანხმობის ფორმაზე ხელმოწერით, თუმცა, რესპონდენტებს რჩებოდათ თავისუფლება, ინტერვიუ მისი მსვლელობისას ნებისმიერ დროს გაეწყვიტათ. კვლევის მონაწილეთა კონფიდენციალობას ასევე ვიცავთ აუდიო ჩანაწერების განადგურების გზით – ფოკუს-ჯგუფების ნედლი მონაცემები კვლევის ტექნიკურ მასალებში მხოლოდ დაშიფრული ტექსტის სახით ინახება.

## მონაცემთა შეგროვება

### ა. რაოდენობრივი მონაცემები

რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება მოხდა პირისპირი ინტერვიუირების გზით ონლაინ (Google Forms-ზე) განთავსებული სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით. ამ ინსტრუმენტის საშუალებით შევაგროვეთ დემოგრაფიული, სოციო-ეკონომიკური, სექსუალური და პროსტიტუციის გამოცდილებასთან დაკავშირებული მონაცემები. ასევე, სტანდარტიზებული სკალებით გავზომეთ სხვადასხვა ტიპის ძალადობის სიხშირე, რესპონდენტების მიერ ნივთიერებათა მოხმარების სიხშირე, უსაფრთხო სექსის და ჯანმრთელობის სხვა რისკების პრევენციული პრაქტიკების სიხშირე, ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობითა და ცხოვრებით კმაყოფილება. პირისპირი ინტერვიუები ტარდებოდა როგორც ინტერვიუერების დასაქმების ძირითად ადგილას, სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების „თემიდასა“ და „თანადგომას“ ოფისებში, ისე ველზე – ქუჩაში, რესპონდენტების სახლებში, სასტუმრო-საუნებში და კაფე-ბარებში იმის მიხედვით, თუ სად მეტად კომფორტულად და უსაფრთხოდ გრძნობდნენ თავს რესპონდენტები.

### ბ. თვისებრივი მონაცემები

შერჩეულ ჰომოგენურ ჯგუფებში, ნდობით აღჭურვილი მკვლევრის მოდერირებული ნახევრად სტრუქტურირებული დისკუსიები მონაწილე ქალებს უსაფრთხო სივრცეში პირადი ისტორიების, განცდების, დამოკიდებულებებისა და აზრების თავისუფლად გაზიარების საშუალებას აძლევდა. შედეგად, ფოკუს-ჯგუფების საშუალებით შეგროვდა მდიდარი თვისებრივი მონაცემები პროსტიტუციით დაკავების მოტივაციის, სტიგმისა და დისკრიმინაციის გამოცდილებების, სერვისებზე წვდომისა და მომავლის ხედვის შესახებ. ფოკუს-ჯგუფებით მიღებული მონაცემთა ანალიზი მოიცავს ინფორმაციას საკვლევი ჯგუფის უნიკალური თავისებურებებისა და მათი მდგომარეობისა და საჭიროებების ინტერსექციური განზომილებების შესახებ.

## მონაცემთა ანალიზი

მონაცემთა ანალიზის ჩარჩოსა და მიდგომის თავისებურებები უპირველესად განსაზღვრულია მკვლევრის გამოცდილებით, მსოფლმხედველობითა და პოზიციონირებით. მკვლევარი ნატალია მჭედლიშვილი არის სოციოლოგი და სოციალური მუშაკი. ის 2017 წლიდან მუშაობს ქვიარ ფემინისტურ ორგანიზაცია „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერ ჯგუფში (WISG)“ კვლევითი, საგანმანათლებლო და ფსიქო-სოციალური სერვისის დაგეგმვისა და განხორციელების პროგრამებში; ჩართულია ქვიარ ფემინისტური ადვოკატირების სხვადასხვა ინიციატივაში; ამასთან, 2016-2023 წლებში მუშაობდა საველე სოციალურ მუშაკად, ნებაყოფლობითი კონსულტირება-ტესტირების (ნკტ/VCT) საველე კონსულტანდად “საინფორმაციო-სამედიცინო ფსიქოლოგიურ ცენტრ „თანადგომაში“, კომერციულ სექს მუშაკ ქალებთან. შესაბამისად, მისი კვლევისა და ანალიზის მეთოდები, ერთი მხრივ, დაფუძნებულია ფემინისტური ეპისტემოლოგიის პრინციპებზე და მეორე მხრივ, ითვალისწინებს საკვლევ ჯგუფთან მრავალწლიანი მუშაობის შედეგად დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას.

ხოლო, რაც ეხება მონაცემთა ანალიზის ტექნიკურ თავისებურებებს:

### ა. რაოდენობრივი ანალიზი:

ნედლი რაოდენობრივი მონაცემები პირველ რიგში გაიწმინდა და მომზადდა პირველადი ბივარიაციული სტატისტიკური ანალიზის სამ ძირითად ცვლადთან მიმართებაში, ესენია: გენდერი, ასაკი და ქალაქი. დემოგრაფიული, სოციო-ეკონომიკური, სექსუალურ და პროსტიტუციის გამოცდილებასთან, ძალადობასთან, ნივთიერებათა მოხმარებასთან, უსაფრთხო სექსსა და პრევენციულ პრაქტიკებთან დაკავშირებული რაოდენობრივი მონაცემები რეგრესული ანალიზის მეთოდით დამუშავდა და აღიწერა მოცემულ ანგარიშში.

### ბ. თვისებრივი ანალიზი:

პირველ რიგში, შემდგომი დამუშავების მიზნით გაიშიფრა ფოკუს-ჯგუფების აუდიო ჩანაწერები და მომზადდა თითოეული დისკუსიის ტრანსკრიპტი. მონაცემთა ორგანიზებისთვის შეიქმნა კოდირების სისტემა და შემუშავდა სტრუქტურირებული ჩარჩო. მონაცემთა ორგანიზება ღერძული კოდირების (კოდების ორგანიზება კატეგორიებად და ქვეკატეგორიე-

ბად) მეშვეობით წარიმართა, რასაც მოჰყვა კოდებს შორის ურთიერთობის შემოწმება, კავშირების ძიება და ძირითადი მიგნებების იდენტიფიცირება. იდენტიფიცირებული პატერნების, საკითხებსა და კონცეფციებისა და მათ შორის კავშირების თვალსაჩინოებისათვის, მონაცემთა კოდირებისა და კატეგორიზებისათვის გამოვიყენეთ პროგრამა Nvivo12. ავთენტური ციტატებითა და იდენტიფიცირებული კონცეპტუალური ინტერპრეტაციებით გამდიდრებული თვისებრივი კვლევის მიგნებები წარმოდგენილია მოცემულ ანგარიშში.

## კვლევის შეზღუდვები

### ა. შერჩევა:

იმის გათვალისწინებით, რომ პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების ჯგუფი ერთ-ერთი ყველაზე დაფარულია, შეუძლებელია რეპრეზენტატული შერჩევის უზრუნველყოფა. ამასთან, შერჩევის დადგენილი კრიტერიუმითაც, კვლევაში მოხვდა პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების ის სეგმენტი, რომელიც მოცემულ მომენტში სარგებლობდა ან რომელსაც წარსულში უსარგებლია კონკრეტული ორგანიზაციების სერვისით და კვლევამ ვერ დაფარა სერვისებს მიღმა მყოფი პოპულაცია.

### ბ. რესპონდენტთა გულწრფელობა:

მიუხედავად მკვლევართა ჯგუფის მიმართ ნდობისა და რესპონდენტთათვის უსაფრთხო და განკითხვისგან თავისუფალი სივრცის უზრუნველყოფისა, მაღალია გაზიარებული ინფორმაციის შინაარსსა და გულწფელობის ხარისხზე სტიგმის გავლენას. ვინაიდან, ინტერვიუერებს აქვთ პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალებთან სექსუალური გზით გადამდები ინფექციების პრევენციის მიმართულებით მიმდინარე პროფესიული პრაქტიკა, ვფიქრობთ, მათ მიმართ გარკვეული ანგარიშვალდებულების გრძნობის გამო, ჯანდაცვის საკითხებზე განსაკუთრებით მაღალია არაგულწრფელი პასუხების ალბათობა.

## 3. დრო და რესურსები:

ასევე, ვაცნობიერებთ, რომ პროექტული ჩარჩოთი განსაზღვრული ლიმიტირებული დრო და რესურსები მოსაზღვრავს კვლევის მასშტაბს.

თუმცა, მკვლევრების, რეკრუტერების და ინტერვიუერების მიმართ ნდობა, მათი ცოდნა და გამოცდილება ჩამოთვლილი შეზღუდვების ნაწილის მიტიგაციის საშუალებას იძლეოდა, საკვლევი ჯგუფის და შერჩევის სპეციფიკის გათვალისწინებით, გაცნობიერებული გვაქვს, რომ გამოვლენილი თვისებრივი შეფასებები და სტატისტიკური ტენდენციები შეიძლება არაზუსტად ან/და არასრულად ასახავდეს პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების მდგომარეობას.

# კვლევის შედეგების მოკლე მიმოხილვა

საქართველოში პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების მდგომარეობის კვლევამ, რეალური ისტორიების შესწავლისა და სტატისტიკური ტენდენციების გაზომვის გზით, ჯგუფის სოციალური და ეკონომიკური მოწყვლადობის მნიშვნელოვანი შინაარსები და ადამიანის უფლებათა რეალიზების ბარიერები გამოავლინა. კვლევის მიგნებები ასახავს ქალთა ექსპლუატაციისა და იძულების ისეთი რისკ ფაქტორების ურთიერთკავშირებს როგორიცაა სიღარიბე, ჯანდაცვაზე, სოციალური დაცვის მექანიზმებსა და განათლებაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, ძალადობისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის გამოცდილებები. კვლევის შედეგები ცხადყოფს პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების კეთილდღეობისა და უფლებრივი მდგომარეობის ხელშეწყობის მიზნით კომპლექსური მხარდაჭერის სისტემების არსებობის აუცილებლობას, რაც მოიცავს ჯანდაცვაზე, ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებზე, ალტერნატიულ ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და სამართლებრივი დაცვის მექანიზმებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას. კვლევა ასევე წარმოაჩენს პროსტიტუციისა და სექსუალობის დესტიგმატიზების, პროსტიტუციით დაკავებული ინდივიდების აგენტობისა და ჩართულობის გაზრდის მნიშვნელობას ადვოკატირებისა და ინტერვენციების დაგეგმვის პროცესში.

## ეკონომიკური მდგომარეობა:

- ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა უმრავლესობა **პროსტიტუციაში ჩაბმის თავდაპირველ და ამჟამინდელი კომერციული სექს საქმიანობის უპირველეს მიზეზად შემოსავლის საჭიროებას ასახელებს.** ზოგიერთ შემთხვევაში ეს შემოსავალი საარსებო მინიმუმია, ზოგჯერ კი – იმ საჭიროებების დასაკმაყოფილებელი თანხა, რომელიც მათ ოჯახის ხანდაზმულ წევრებზე და სხვადასხვა ასაკის შვილებზე ზრუნვის ვალდებულებით იკისრეს.
- **გამოკითხული ქალების 71.5% (n=143) ამბობს, რომ კომერციული სექსს საქმიანობის გარდა არ აქვს შემოსავლის სხვა წყარო.** ამ კატეგორიაში გვხვდება სისგენდერი ქალების ¾-ზე მეტი (75.84%) და ტრანსგენდერი ქალების ნახევარზე მეტი (52.94%).

- **გამოკითხულთა 91.5%-ისათვის, მათ შორის, სის ქალების 91.28% (n=136) და ტრანს ქალების 96.08% (n=47), ამჟამად პროსტიტუციის მთავარი განმაპირობებელი ფულის გამომუშავების სურვილი და საჭიროებაა.**
- რესპონდენტთა უმრავლესობა (n=143, 71.5%) ცხოვრობს ქირით. რესპონდენტთა თითქმის ნახევარი (n=99, 49.5%) ცხოვრობს მარტო. მათ შორის, ყველა, ვინც მარტო არ ცხოვრობს და ვისი შინამეურნეობა მოიცავს შვილებს (n=33, 16.5%) სისგენდერი ქალია. მათგან ყოველ მეორეს ერთი მაინც არასრულწლოვანი შვილი ჰყავს, ყოველი მესამე კი ცხოვრობს მშობლებითა და ნათესავებით დაკომპლექტებულ გაფართოებულ ოჯახში.
- ორივე გენდერული ჯგუფის უმეტესობისთვის ხარჯის ძირითადი ნაწილია საკვები (სის ქალები – 90%, ტრანსი ქალები – 84.3%) და ბინის ქირა (სის ქალები – 62.4%, ტრანსი ქალები – 64.7%). ძირითად ხარჯებში რესპონდენტები ასევე ასახელებენ ტანსაცმელს (n=49, 34.5%), ოჯახის წევრების მხარდაჭერას (n=43, 21.5%), ჯანმრთელობას (n=38, 19%), სესხი/ვალი (n= 21, 10.5%), კომუნალურები (n=11, 5.5%), დანაზოგი (n=6, 3%) და სხვა.
- პირადი ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას გამოკითხულთა ნახევარი (N=101, 50.5%) ამბობს, რომ ფული ყოფნის საკვები პროდუქციისთვის, თუმცა, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე ფულის დაზოგვა უწევს; **ყოველ მეოთხე გამოკითხული (N=52, 26%) ძლივს ყიდულობს საკვებ პროდუქტებს.**
- გამოკითხულთა პირადი ყოველთვიური შემოსავლის მედიანური მაჩვენებელი არის 1000 ლარი, რაც უმნიშვნელოდ აღემატება ქვეყანაში მედიანურ ხელფასს და დადგენილი საცხოვრებელი ხელფასის დაახლოებით 56%-ს შეადგენს. სისგენდერი სექს-მუშაკი ქალების 55.07%-ისა და ტრანსგენდერი ქალების 47.1%-ის ყოველთვიური შემოსავალი ამ მაჩვენებელს არ აღემატება. საცოვრებელ ხელფასზე მეტი კი გამოკითხული სის ქალების 31.54%, ხოლო ტრანს ქალების 41.18%-ს აქვს.
- გამოკითხულთა **უმეტესობას (N=170, 85%) არ აქვს დანაზოგი.** გამოკითხულთა (N=200) ნახევარს (50%) აქვს სესხი/ვალი. აქედან 12.50%-ს პროცენტიანი, უპროცენტო ან ორივე ტიპის სესხი აქვს კერძო პირებისგან. მათ შორის, 3.5%-ს დამატებით პროცენტიანი

სესხი აქვს ბანკისგან ან/და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან. **ჯამში, ბანკისგან პროცენტიანი, და მათ შორის იპოთეკური, სესხი აქვს გამოკითხულთა მესამედზე მეტს (36.5%),** 7.5%-ს კი პროცენტიანი სესხი აქვს მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან.

## განათლება და დასაქმების გამოცდილება:

- ფოკუს-ჯგუფების გზით გამოკითხულთა უმეტესობას ხელი არ მიუწვდება განათლებაზე, როგორც სამომავლოდ ღირსეული პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელ პირობაზე. ამის მიზეზი კი პირველადი მხარდამჭერი ქსელის მხრიდან გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია, ძალადობრივი გამოცდილება და უგულებელყოფაა. ცხადია, რომ ამ **არაღირსეული მოპყრობისა და უარყოფის საფუძველი ჰეტერონორმატიული და ჰეტეროსექსისტური განწყობებია:** კაცების, პატრიარქალური ოჯახების და მიკროსოციუმების ქალებზე ეკონომიკური, კულტურული და სოციალური დომინაციის პირობებში, ტრანს ქალები ადრეული ასაკიდანვე იდევნებიან, უპირველესად – გენდერულად არაკონფორმული ქცევისა და თვითგამოხატვის გამო. სის ქალების შემთხვევაში კი მუშაობს სტერეოტიპული და ტრადიციული გენდერული როლების შესრულების იმპერატივი, რომელიც მათ ადრეული ასაკიდან დაქორწინებას და შვილების გაჩენას ავალდებულებს.
- ფორმალური განათლების სტატუსის მიხედვით, რაოდენობრივი კვლევის რესპონდენტთა უმეტესობას (60.5%) სრული (40%) ან არასრული (20.5%) საშუალო განათლება აქვს. პროფესიული განათლება აქვს 15%-ს, **სრული უმაღლესი განათლება კი გამოკითხულთა მხოლოდ მეხუთედს (21.5%).**
- გამოკითხულთა 36%-ს (N=72) დროებით ან სამუდამოდ აქვს სწავლა მიტოვებული. სწავლის შეწყეტის მიზეზად სისგენდერი ქალების 11% (N=17) ქორწინებას ასახელებს. ეს მიზეზი არ სახელდება ტრანსგენდერი ქალების მიერ, მაგრამ მათი 12% ამბობს, რომ მშობლებთან კონფლიქტის გამო მოუწია სწავლის მიტოვება. რესპონდენტთა უმეტესობა კი – ფინანსურ ბარიერს. სწავლის მიტოვების ამ მიზეზს ასახელებს სისგენდერი ქალების მეოთხედი (25.53%), ხოლო ტრანსგენდერი ქალების 40%.
- **ყოველი ათი გამოკითხულიდან რვა (81%) პროსტიტუციის გარდა,** ამჟამად არ არის დასაქმებული, მეოთხედზე მეტი კი (27.5%) არც

არასდროს ყოფილა დასაქმებული. ეს უკანასკნელი მონაცემი ორივე გენდერულ ჯგუფში თითქმის თანაბარია.

- ისინი კი, ვინც წარსულში ფორმალურად ან არაფორმალურად ყოფილა დასაქმებული, ორივე გენდერულ ჯგუფში, მცირე სხვაობით, თანაბრად არიან წარმოდგენილი: პროცენტულად, წარსულში არაფორმალურად დასაქმებული სის ქალების რაოდენობა აღემატება არაფორმალურად დასაქმებული ტრანსი ქალების რაოდენობას და პირიქით – წარსულში ფორმალურად დასაქმებული ტრანსი ქალების რაოდენობა აღემატება წარსულში ფორმალურად დასაქმებული სის ქალების რაოდენობას.
- ამჟამად პროსტიტუციის გარდა **ფორმალურად დასაქმებულთა ნახევარზე მეტი 25-34 ასაკობრივ ჯგუფშია,** ხოლო მათი მესამედზე მეტი, ვისი ერთადერთი საქმიანობის სფერო პროსტიტუციაა – 45-56 ასაკობრივ ჯგუფში.
- დაბალი ხელფასი ორივე გენდერულ ჯგუფის დიდი ნაწილისთვის სამსახურის მიტოვების მნიშვნელოვანი ფაქტორია – ტრანსგენდერი ქალების 44.44%-მა და სისგენდერი ქალების ნახევარმა სწორედ ამ მიზეზით მიატოვა სამსახური. ხოლო, **ცუდ პირობებსა და მტრულ გარემოს ტრანსი ქალების მნიშვნელოვნად დიდი ნაწილი ასახელებს სამსახურის მიტოვების მიზეზად.**
- სამსახურიდან დამსაქმებლის მიერ გათავისუფლებული, პროპორციულად, ტრანს ქალებს შორის უფრო მეტია (n=6, 22.22%), ვიდრე სის ქალების ჯგუფში (n=7, 7.07%).

## სექსუალური ურთიერთობები და ძალადობის გამოცდილება ინტიმური პარტნიორის მხრიდან პროსტიტუციაში ჩაბმამდე:

- ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ტრანსგენდერი ქალების დიდი ნაწილი სექსუალურ ცხოვრებას ადრეული მოზარდობის ასაკში იწყებს. არიან ისეთებიც, ვინც, ოჯახში დესტრუქციული გარემოს გამო, უმეტესად ქუჩაში, დაუცველ მდგომარეობაში არიან. აქ ისინი უფრო ადრეულ ასაკშიც (7-9 წელი) ხდებიან უფროსი კაცების მხრიდან სექსუალური შევიწროების სამიზნე. მნიშვნელოვანია, რომ თავად გამოკითხულების ნაწილი ამ ფაქტს არ აფასებს როგორც ღირსების შემლახავ ქმედებას თუ ძალადობას – მათთვის **შემთხვევით პარტნიორ კაცებთან**

**დაფარული ურთიერთობა გენდერული და სექსუალური თვითგამორკვევის გზაზე სექსუალობის ერთგვარი მანიფესტირების სივრცედ იქცევა.**

- სისგენდერი ქალების ისტორიათა უმეტესობაში საუბარია ადრეულ ასაკში განცდილ სიყვარულსა და სექსის ინტერესზე, რომელიც არასდროს რჩება კონვენციური კავშირის გაფორმების გარეშე და ქორწინებაში მანიფესტირდება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ ისტორიათა დიდ ნაწილში **ქორწინება, მათ შორის ადრეული, რესპონდენტთა მხრიდან ერთმნიშვნელოვნად იძულებად ან ძალადობად შეფასებული არ არის. მეტიც, ქორწინება ლოგიკური და მოსალოდნელი კონვენციური თანმდევია ხშირად პირველი ურთიერთობისა, რომელიც სიყვარულთან, რომანტიკასთანაა დაკავშირებული და, ტრანს ქალების მსგავსად, სექსუალობის მანიფესტირების სივრცედ არის აღქმული.**
- რაოდენობრივი კვლევის მონაწილე **სის ქალების სექსუალური გამოცდილება 13 წლის ასაკიდან იწყება. 13 წლამდე პირველი სექსუალური გამოცდილება კი გამოკითხული ტრანსგენდერი ქალების თითქმის მეოთხედს (n=9, 17.65%) ჰქონია.** მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც პირველი სექსუალური აქტის დროს იყვნენ 7 (n=2), 8 (n=1), 10 (n=2), 11 (n=2) და 12 (n=2) წლის.
- **სისგენდერი ქალების 65%-ს პირველი სექსი ჰქონდა მეუღლესთან/ოფიციალურ პარტნიორთან.** ეს მაჩვენებელი ტრანსგენდერი ქალების შემთხვევაში **2%-ზე ნაკლებია** და მათი უმეტესობისთვის პირველი სექსუალური პარტნიორი არის ნაცნობი (60.78%) ან უცნობი (25.49%) ადამიანი, რომელთანაც რომანტიკულ ანდა ოფიციალურ ურთიერთობაში არ იმყოფებიან.
- ასაკის მიხედვით განაწილება კი აჩვენებს, რომ რაც უფრო ახალგაზრდაა რესპონდენტი, მით ნაკლებად ჰქონია პირველი სექსი ოფიციალურ ანდა რომანტიკულ პარტნიორთან.
- რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი (n=160, 80%) ამბობს, რომ პირველი სექსი ჰქონდა ორმხრივი თანხმობის საფუძველზე. დანარჩენი შემთხვევების უმეტესობა გაუპატიურებაზე, „შეცდენასა“ და დაუგეგმავ შემთხვევებზე მოდის. გენდერის მიხედვით განაწილება აჩვენებს, რომ გამოკითხული ტრანსგენდერი ქალების მეოთხედს პირველი სექსი გაუპატიურების, ან შეცდენის/მოტყუების ნიადაგზე ჰქონდა.

- გამოკითხულთა 68.5% პროსტიტუციაში ჩაბმამდე ერთხელ მაინც გამხდარა ინტიმური პარტნიორის მხრიდან ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური თუ ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლი. გამოკითხულთა შორის, ძალადობის **ყველა** ფორმის გამოცდილება **ტრანსგენდერი ქალების უფრო დიდ ნაწილს აქვს, ვიდრე – სის ქალების.** თუმცა, მეორე მხრივ, ძალადობის სიხშირის მიხედვით, გამოცდილებებს, რომლებიც ორივე გენდერულ ჯგუფში გვხვდება, **სის ქალებთან მიმართებაში უფრო ხანგრძლივად განმეორებადი ანდა პერმანენტული სახე აქვს.** ეს მოცემულობა შეიძლება აიხსნას სის ქალების ურთიერთობების კონვენციური ხასიათით – ქორწინებიდან თავის დაღწევა ქალებისთვის უფრო რთულია, მითუმეტეს საერთო შვილების პირობებში, ვიდრე სხვა ტიპის რომანტიკული და სექსუალური ურთიერთობებისაგან.

## პროსტიტუციაში ჩაბმა:

- ტრანსი ქალების პროსტიტუციაში ჩაბმის ისტორიები უმეტესად საცხოვრებლის დატოვების აუცილებლობით იწყება, რაც იდენტობის გამო ოჯახთან კონფლიქტს მოსდევს. ისინი ერთ შემთხვევაში საკუთარი ნებით განერიდებიან ოჯახის წევრების მხრიდან ღირსების შემლახავ დამოკიდებულებებს, მეორე შემთხვევაში, ცდილობენ ოჯახის წევრები დაიცვან მტრულად განწყობილი მიკროსოციუმებისგან მომდინარე აგრესიისგან, რასაც მათი თვითგამოხატვა იწვევს. მესამე შემთხვევაში კი, ტრანს ქალებს სახლის დატოვებას ოჯახის წევრები ძალადობრივად აიძულებენ.
- ფოკუს-ჯგუფების მონაწილე ტრანსი ქალები ხშირად არასრულწლოვან ასაკში ხვდებიან ქალაქის ქუჩებში, იმ მომენტისთვის თვითგამორკვევის პროცესში მყოფნი, ფემინური თვითგამოხატვით, ძირითადად, გეი მამაკაცად თვითიდენტიფიცრებულნი. მათ უკვე აქტიური სექსუალური ცხოვრება აქვთ და, ახალი გამოწვევების პირობებში, ზემოთ აღნიშნული ფარული ურთიერთობების სანაცვლოდ ფულის აღებას იწყებენ. გამოკითხულთათვის **პროსტიტუცია არ არის ავტომატური გადაწყვეტილება და მითუმეტეს, მარტივი და უსაფრთხო არჩევანი. ზოგიერთ შემთხვევაში, მას წინ უძღვის დასაქმების მრავალი წარუმატებელი მცდელობა, სამუშაო ადგილას დისკრიმინაციისა და ძალადობის გამოცდილება.**

- რაც ეხება გამოკითხულ სისგენდერ ქალებს, განურჩევლად ამჟამინდელი დასაქმების სივრცისა (სასტუმრო, ქუჩა, ონლაინ), მათი პროსტიტუციამდე გზა შეგვიძლია ისეთი ცხოვრებისეული სირთულეებით აღვწეროთ, როგორიცაა: ადრეული ქორწინება, ძალადობრივი ანდა ღირსების შემლახავი ურთიერთობა ქმართან, განქორწინება/გაშორება, ზოგჯერ განქორწინების ან სხვა არაკონვენციური ურთიერთობის გამო მშობლების მხრიდან უარყოფა, ხანდაზმულ მშობლებზე ან, შემთხვევათა უმეტესობაში, შვილ/ებზე ზრუნვის ვალდებულება.
- გამოკითხული სისგენდერი ქალებისთვისაც პროსტიტუცია არ არის ავტომატური და მარტივი გადაწყვეტილება. იგი, როგორც წესი, მოსდევს დასაქმების არაერთ წარუმატებელ მცდელობას. გამოკითხულთა დიდ ნაწილს, როგორც თავშიც აღინიშნა, შეზღუდული აქვს წვდომა ნებისმიერი ტიპის პროფესიულ განათლებაზე. თუმცა, ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებს შორის არიან ისეთებიც, ვისაც გააჩნია ცოდნა და უნარები ამა თუ იმ ანაზღაურებადი საქმიანობისათვის. ყველა შემთხვევაში, **პროსტიტუციამდე მათი დასაქმების გამოცდილება არის პრეკარიული, ხოლო შემოსავალი – არასაკმარისი.**
- ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა დიდი ნაწილი ამ გამოწვევებს თავდაპირველ საცხოვრებელ ადგილას აწყდება და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების იმედით დიდ ქალაქში, უმეტესად დედაქალაქში ჩადის და ძირითადად მომსახურების სფეროში საქმდება. გამოკითხულთა დიდი ნაწილი სწორედ აქ, კოლეგა ქალებისგან იღებს პროსტიტუციაში ჩაბმის შეთავაზებას, როგორც მხარდაჭერას დამატებითი შემოსავლის გამომუშავების მიზნით.
- აუცილებელია, აღვნიშნოთ გამონაკლისი შემთხვევები – **როგორც ტრანსგენდერ, ისე სის ქალებს შორის არიან რესპონდენტები, რომლებიც თავდაპირველად ცნობისმოყვარეობის მიზნით დაკავდნენ პროსტიტუციით.** ამას რაოდენობრივი კვლევის მონაცემებიც ადასტურებს. იმის მიუხედავად, ჰქონდათ თუ არა საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილების აუცილებლობა, **ამ რესპონდენტთათვის ერთ-ერთი წამყვანი მოტივაცია სექსი და შემთხვევითი ურთიერთობებია.** ისინი პროსტიტუციას უყურებენ, როგორც აზარტული და სექსუალური გართობის შესაძლებლობას. **რაც ამ რესპონდენტებს სხვებისგან გამოარჩევს, არის თავდაჯერებულობა, უსაფრთხოებისა და კლიენტებზე ძალაუფლების განცდა.** ჩვენი რესპონდენ-

ტების შემთხვევაში ამ განცდის ერთ-ერთი გარანტორი შეიძლება დასაქმების სივრცეც იყოს – ვინც ამბობს, რომ მათი მოტივაცია უმეტესად გართობა და სექსია, სასტრუმროში ან მხოლოდ მუდმივ კლიენტებთან მუშაობს და არა მაგალითად, ისეთ მოწყვლად პირობებში, როგორიცაა ქუჩა.

- გარდა საქმეში გარკვევის და ურთიერთობებთან დაკავშირებული სირთულეებისა, ფოკუს-ჯგუფების მონაწილე ქალები ხშირად საუბრობენ კლიენტების მომსახურების თავდაპირველ გამოცდილებებზე. ეს მომენტები მათ მონათხრობში უმეტესად **ზიზღთან, სევდასთან, იმედგაცრუებასა და სასოწარკვეთილებასთანაა** დაკავშირებული. როგორც ირკვევა, **ამ განცდებს დიდწილად საფუძვლად უდევს კომერციულ სექსთან დაკავშირებული სტიგმა. მაგრამ, ამავე დროს, ისინი ხშირად პრაგმატულადაა აღწერილი, როგორც საკუთარი უსუსურობით გამოწვეული ემოციური რეაქცია.**
- **ყოველი მეათე გამოკითხული ქალი არასრულწლოვანი იყო როდესაც პროსტიტუციაში ჩაება.** მათ შორის, სის ქალების 4% და ტრანსი ქალების მეოთხედზე მეტი (n=14, 27.45%).
- პირველი კომერციული სექსის მიზეზი შემთხვევათა 94%-ში ეკონომიკურია. მათ შორის, გამოკითხულთა თითქმის მეხუთედისათვის (n=47. 23.5%) პროსტიტუციაში ჩაბმის მიზეზი საბაზისო საჭიროებების (საკვები, საცხოვრისი, ტანსაცმელი) დაკმაყოფილება წარმოადგენს. აქედან, გამოკითხულთა 6.5%-ის დამატებით მიზეზს ფინანსური ვალის დაფარვის ან/და შვილის მოვლასთან დაკავშირებული ვალდებულებები წარმოადგენს. ფინანსური ვალის დაფარვის ვალდებულება პირველად მიზეზად სახელდება გამოკითხულთა 17%-ის მიერ, ხოლო შვილის მოვლის ვალდებულება გამოკითხულთა 14.5%-ის მიერ. ეს უკანასკნელი საერთოა მხოლოდ სისგენდერი ქალებისათვის (n=29, გამოკითხული სის ქალების 19.46%).
- **გამოკითხული ქალების 7% პროსტიტუციაში ჩაბმის პირველად მიზეზთა შორის ცნობისმოყვარეობას ასახელებს. თუმცა, აქედან მხოლოდ 2% ამბობს რომ ეს იყო ერთადერთი მიზეზი.** დანარჩენი 5%-ისთვის კი (n=10, ტრანსი ქალების 19.61%) ცნობისმოყვარეობა ისეთ ეკონომიკურ ფაქტორებთან იკვეთება, როგორიცაა ფულის გამომუშავების სურვილი, ფინანსური ვალის დაფარვის ვალდებულება და საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილება.

- საკუთარი სურვილი, ცნობისმოყვარეობის მსგავსად, გამოკითხულთა 7%-ის (n=14) მიერ სახელდება პროსტიტუციაში ჩაბმის პირველად მიზეზად. შემთხვევათა ნახევარი აქაც იკვეთება ისეთ ეკონომიკურ ფაქტორებთან, როგორიცაა ფულის გამომუშავების სურვილი, შვილის მოვლის ვალდებულება, ფინანსური ვალის დაფარვის ვალდებულება და საბაზისო საჭიროების დაკმაყოფილება. შესაბამისად, **ცნობისმოყვარეობის მსგავსად, გამოკითხულთა მხოლოდ მცირე ნაწილისათვის (3.5%), სის ქალების 4%-ისა (n=6) და 1 გამოკითხული ტრანსი ქალისათვის, არის საკუთარი სურვილი პროსტიტუციაში ჩაბმის ერთადერთი მიზეზი.**
- გამოკითხულთა თითქმის ნახევარი (n=95, 47.5%) ამბობს, რომ თავდაპირველად თავად მოიძია სამუშაო ადგილი და კლიენტები, თუმცა მათი ნაწილისთვისაც (n=5) გარკვეული ტიპის შუამავლობა საქმიანობაში ჩასართავად მაინც გაწია პროსტიტუციაში ჩაბმულმა სხვა ქალმა.
- გამოკითხულთა უმეტესობისთვის პირი, ვისი შუამავლობითაც პროსტიტუციაში ერთვება, უმეტესად, პროსტიტუციაში ჩაბმული სხვა ქალია (n=65, 32.5%). მათ შორის, მეოთხედზე მეტისათვის (n=14, ამ ჯგუფის 21.5%) საქმიანობაში თავდაპირველი შუამავალი აღნიშნული ქალი მისი მეგობარი იყო ანუ, არაფორმალური ურთიერთობა აკავშირებდა. **უნდა აღინიშნოს, რომ ტრანსგენდერ ქალებს შორის უფრო მეტს ჰყავდა პროსტიტუციაში ჩაბმული სხვა ქალის სახით შუამავალი (n=29, 56.86%), ვიდრე სის ქალებს შორის (n=36, 24.16%).**
- გამოკითხულთა 17%, მათ შორის, სის ქალების 18.79% (n=28) და ტრანს ქალების 11.76% (n=6), ამბობს, რომ ჰყოლია ან ამჟამად ჰყავს სუტენიორი/"მამაშა". შემთხვევათა უმეტესობაში „მამაშა" იყო/არის პროსტიტუციაში ჩაბმული სხვა ქალი.
- მათი უმეტესი წილი, ვინც ოდესმე გარიგებაში ყოფილა „მამაშა" / სუტენიორთან (n=15, 7.5%), ამბობს რომ სარგებლის სახით მისგან უსაფრთხოებას იღებდა; რესპონდენტები „მამაშასგან" მიღებულ სარგებლად ასახელებენ უფასო საცხოვრისს (2.5%), უფასო ტრანსპორტირებას (1.5%), უფასო ტანსაცმელსა (1%) და უფასო კვებას (1%).
- მათი თითქმის მეოთხედი, ვისაც ჰყოლია სუტენიორი/"მამაშა" (n=8, 23.52%) ამბობს, რომ ერთხელ მაინც გამხდარა მისგან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი. მეათედზე მეტი (11.76%) სუტენიორს ერთხელ მაინც შეუვიწროვებია სექსუალურად; 41.17% ერთხელ მაინც გამხდა-

რა ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი; 38.23% კი ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლი. ასევე, თითქმის მესამედს (29.41%) სუტენიორი უკონტროლებდა ჩაცმულობასა და გარეგნობას. ჯამში, **თუ რესპონდენტს სუტენიორის მხრიდან აქვს ძალადობის გამოცდილება, ეს არ არის ერთეული შემთხვევა, როგორც წესი, განმეორებადია და მოიცავს სხვადასხვა სახის ძალადობას.**

## გასაიდუმლოებული საქმიანობა, ძირითადი გამოწვევები და გამკლავება

- პროსტიტუცია ქალებისთვის არაერთ ფიზიკურ, ფსიქო-ემოციურ და სოციალურ სირთულესთანაა დაკავშირებული. ეს ასეა ფინანსური უზრუნველყოფის იმედების და გარანტიების, პერსონალური ვნებების და სურვილების დაკმაყოფილების მიუხედავად. საერთო ჯამში ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა ნარატივების ანალიზით ირკვევა, რომ სირთულეებს უპირველესად განაპირობებს თვითსტიგმა, რომელიც, თავის მხრივ, გამკლავების სტრატეგიებშიც ინტენსიურად ვლინდება. შედეგად, გამოკითხული ქალების ჯგუფებიდან მეტნაკლებად ყველას აქვს მარტოობის განცდა პროსტიტუციასთან დაკავშირებული სირთულეების წინაშე. მათ შეზღუდული აქვთ წვდომა როგორც ინსტიტუციური, ისე პერსონალური ან სათემო მხარდაჭერის საშუალებებზე და პრობლემებსაც მეტწილად თავად უმკლავდებიან.
- გამოკითხული ქალები ხშირად საუბრობენ რისკების თავიდან არიდების პროცესში თავდაცვის, კონფლიქტის თავიდან არიდების, კომუნიკაციის უნარების დახვეწის აუცილებლობაზე. ჯანდაცვის გამოწვევების საპასუხოდ ისინი ხშირად მიმართავენ თვითმკურნალობას, სტრესთან გასამკლავებლად კი, უმეტესად იყენებენ ემოციის შესუსტების სტრატეგიებს, როგორიცაა შეგუება და არაადაპტაციურ სტრატეგიებს, რაც სხვადასხვა მავნე ზემოქმედების ნივთიერებების (უმეტესად ალკოჰოლი და ნარკოტიკები) მოხმარებას გულისხმობს.
- ძალადობისა და ჯანმრთელობის რისკები და მათთან გამკლავებაში ინსტიტუციურ მხარდაჭერაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, სტიგმასთან ერთად, პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალებს რიგი ფსიქოსოციალური გამოწვევების წინაშე ტოვებს. უპირველესად ეს არის საქმიანობის გასაიდუმლოების აუცილებლობა. **ანონიმურობა, ერთი მხრივ, წარმოადგენს თავდაცვის ბერკეტს, მეორე მხრივ კი, თავა-**

**დაა წყარო სტრესისა და მიზეზი მხარდამჭერ სისტემებთან შეზღუდული წვდომისა.**

- შემოსავლის ოდენობისა და საკმარისობის, მის მოსაპოვებლად საჭირო ძალისხმევაზე საუბრის გარდა, რესპონდენტები ხშირად აღნიშნავენ, რომ პროსტიტუციის შედეგად გასადავებული აქვთ სექსუალური ლტოლვა ან რომანტიკული მოთხოვნილებები. **ინტიმურობის კომოდიფიკაციას, იგივე გასაქონლებას, რასაც ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა უმეტესობა აღწერს, მნიშვნელოვანი გავლენა აქვს პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების ფსიქო-ემოციურ მდგომარეობზე, ურთიერთობებსა და ცხოვრების ხარისხზე.**
- როგორც ფოკუს-ჯგუფების განმავლობაში მოთხრობილი ამბებით ირკვევა, **ძალადობის ან მისი რისკების შემთხვევაში, პროსტიტუციაში ჩაბმული ქალები, უმეტესად რთული ბიუროკრატიული პროცედურების და უნდობლობის გამო, სამართალდამცავებს, ძირითადად, არ მიმართავენ.**
- **გამოკითხულთა სამ მეოთხედზე მეტის კომერციული სექს საქმიანობის შესახებ, პროსტიტუციაში ჩართული სხვა ადამიანების გარდა, მათთვის მნიშვნელოვანი ადამიანებიდან არავინ (32%) ან მხოლოდ მცირე ნაწილმა (44%) იცის.**
- გამოკითხულთა 89%-ს ამჟამად ყველაზე ხშირად სექსი აქვს კლიენტთან, დანარჩენს კი მეუღლესთან / სხვა პარტნიორთან. მათი ნახევარი, ვისაც ყველაზე ხშირად სექსი მეუღლესთან/არაფორმალურ პარტნიორთან აქვს, 10 და ნაკლები წელია რაც დაკავებულია პროსტიტუციით. შესაბამისად, **რაც უფრო დიდი ხანია ქალი პროსტიტუციაში ჩაბმულია, მით უფრო მოცულია მისი სექსუალური ცხოვრება კლიენტის მომსახურებით.**
- **გამოკითხულთა 74%, მათ შორის ბოლო ორი წლის მანძილზე, ერთხელ მაინც გამხდარა კლიენტის მხრიდან ძალადობის მინიმუმ ერთი ფორმის მსხვერპლი.** კლიენტის მხრიდან ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმა ეკონომიკურია – როდესაც შეთანხმების მიუხედავად, ფულის გადახდაზე უარს ამბობენ ან ნაკლებს იხდიან. ეს გამოცდილება გამოკითხული ქალების 59.5%-ისათვის (n=119) საერთოა. მათ შორის, სის ქალების 49.6% (n=74) და ტრანს ქალების 88.23% (n=45).
- გამოკითხულთა 30% ამბობს, რომ აქვს ქრონიკული მდგომარეობა/დაავადება, რომელიც ექიმის მუდმივ მეთვალყურეობას ან მედიკა-

მენტოზურ მკურნალობას საჭიროებს, **20.5%-ს კი ამ მკურნალობაზე ხელი არ მიუწვდება.** მათი უმეტესობის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი, ვისაც მკურნალობაზე ხელი მიუწვდება (17.5%), 1000 და მეტი ლარია (24/35).

- გამოკითხულთა **53% ამბობს, რომ რეგულარულად, წელიწადში ორჯერ მაინც იტარებს პროფილაქტიკურ ტესტირებას სექსუალური გზით გადამდებ ინფექციებზე.** მათ შორის, ვინც ტესტირებას რეგულარულად იტარებს სექსუალური გზით გადამდებ ინფექციებზე – თბილისში მაცხოვრებლები ჭარბობენ, ხოლო, მათ შორის, ვინც არასდროს – ბათუმში მაცხოვრებლები.
- 5-ბალიან სკალაზე საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილების შეფასება ორივე გენდერულ ჯგუფში საშუალო მაჩვენებელი 3 ქულაზე დაბალია. ეს მაჩვენებელი განსხვავდება ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობით კმაყოფილების შეფასებისგან, რომელსაც რაოდენობრივი კვლევის რესპონდენტთა უმეტესობა მაღალი ქულებით აფასებს.
- საინტერესოა, რომ როგორც ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობით, ისე ცხოვრებით კმაყოფილების მაჩვენებლები, თბილისსა და ბათუმთან შედარებით, მნიშვნელოვნად მაღალია ქუთაისში.
- გამოკითხულთა 57% სხვადასხვა რეგულარობით მოიხმარს ალკოჰოლს. **ყოველი მეათე გამოკითხული ალკოჰოლს ყოველდღე მოიხმარს ალკოჰოლს.** გამოკითხულთა 36% – სხვადასხვა სიხშირით, ხოლო 5%-ს ყოველთვის ალკოჰოლური თრობის ქვეშ აქვს სექსი.
- გამოკითხულთა შორის, თამბაქოსთან და ალკოჰოლთან შედარებით, დაბალია ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპული საშუალებების მოხმარება, 87% ამბობს, რომ საერთოდ არ მოიხმარს ამ საშუალებებს, მათგან 3% ყოფილი მომხმარებელია.
- გენდერული ნიშნით მონაცემთა განაწილება აჩვენებს, რომ სის ქალებთან შედარებით, **ტრანსგენდერი ქალების ჯგუფში მნიშვნელოვნად მაღალია ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპული საშუალებების მოხმარების მაჩვენებლები.**

## მომავლის ხედვა

- სახელმწიფოში არსებული რთული სოციალური და ეკონომიკური პირობები გავლენას ახდენს პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების როგორც ამჟამინდელ ცხოვრების ხარისზე, ისე – პერსპექტივის ხედვაზე. სამომავლო გეგმები, როგორც პირისპირი ინტერვიუების ღია კითხვის რესპონდენტებისთვის, ისე ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთათვის, ძირითადად, ბუნდოვანია. რესპონდენტები უმეტესად ამბობენ, რომ ამ საკითხზე არ უფიქრიათ ან რომ არანაირი გეგმა არ გააჩნიათ მომავალთან დაკავშირებით. რესპონდენტთა ნაწილი ბინის შეძენას და ბავშვებზე ზრუნვას გეგმავს, მნიშვნელოვანი ნაწილის მიზანი კი ემიგრაციაში წასვლაა.
- **მიუხედავად ემიგრაციასთან დაკავშირებული რისკებისა, იგი ღირსეული ცხოვრების ერთადერთ შესაძლებლობად განიხილება.** განსხვავდება რესპონდენტთა მოლოდინები დანიშნულების ადგილის მიხედვით. უარეს შემთხვევაში, თურქეთში ემიგრაციაც კი დისკუსიების მონაწილეთათვის უკეთესი პერსპექტივის მომცემია, ვიდრე საქართველოში დარჩენა. ევროპის ქვეყნებში ემიგრაციის შემთხვევაში, მოსალოდნელი ღირსეული შრომის შესაძლებლობები და პირობები, სერვისებზე ხელმისაწვდომობა ორი მთავარი მიზნის მიღწევის წინაპირობაა: სიმშვიდის, საკუთარი ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და ოჯახის წევრებზე (შვილებზე და ხანდაზმულ მშობლებზე) ადექვატური ზრუნვის განხორციელებისა. ტრანსგენდერი ქალების შემთხვევაში, ემიგრაციასთან დაკავშირებულ უკვე დასახელებულ ბენეფიტებს ემატება საკუთარი გენდერული იდენტობით დაუფარავად ცხოვრების შესაძლებლობა, რაც ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთათვის უპირველესი მოტივაციაა.
- ნიშანდობლივია, რომ **ტრანსგენდერ ქალებს უფრო ხშირად უფრო დიდი ხნით წარმოუდგენიათ კომერციულ სექს საქმიანობაში ყოფნა, ვიდრე სის ქალებს.**
- რესპონდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილი (8%) არც ერთ შემთხვევაში არ დათანხმდებოდა ალტერნატიული სამსახურის პოვნაში დახმარების შეთავაზებას.
- **გამოკითხულთა უმეტესობა (60%) დათანხმდებოდა ალტერნატიული სამსახურის პოვნაში დახმარების წინადადებას.** მათი ნახევარი, თითქმის 30% მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებდა ალტერნატიუ-

ლი სამსახურის პოვნაში დახმარების წინადადებას, თუ ის ღირსეულ (ნარატივებში აღწერილი, როგორც „ხარჯებისთვის საკმარისი“ ან კონკრეტულად, მაქსიმუმ 1800-ლარიანი სტაბილური ხელფასით განსაზღვრული) ან პროსტიტუციაზე მეტ შემოსავალს მოუტანდა; 30% კი ალტერნატიულ შემოთავაზებაზე უპირობოდ დათანხმდებოდა.

## დასკვნა

- პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების კეთილდღეობის მიზნით დაგეგმილი ადვოკაცია და სხვა ინსტიტუციური ინტერვენციები საჭიროა, უპირველესად მიემართებოდეს პროსტიტუციაში მათი მოწყვლადობის ისეთ განმაპირობებლებს, როგორიცაა სიღარიბე, განათლება და სოციალური მხარდაჭერა.
- პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალთა უსაფრთხოებისა და უფლებრივი დაცულობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია გადაუდებელი სამართლებრივი რეაგირების მექანიზმების გამართვა და შემუშავება.
- პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების გაძლიერებისა და მათი სურვილის შემთხვევაში, კომერციული სექს საქმიანობის მიტოვების შესაძლებლობის ხელშესაწყობად, საბაზისოა ღირსეული და ეფექტიანი ალტერნატივებისა და ქმედითი მხარდაჭერის სისტემების ჩამოყალიბება.
- კარგი პრაქტიკების გათვალისწინებით, ქალთა ფსიქოლოგიური კარგად ყოფნისა (well-being) და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭიროა პროსტიტუციასთან დაკავშირებული ადგილობრივი კანონმდებლობის გადახედვა, ნორმებში ქალთა საჭიროებების გათვალისწინება, მათი დაცვის მექანიზმების ინტეგრირება და კეთილდღეობის სერვისებზე ხელმისაწვდომობით შევსება.
- პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალთა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის გამოწვევებზე საპასუხოდ კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას, ზიანის შემცირების სტრატეგიებსა და ტრავმა-ინფორმირებული ზრუნვის (trauma-informed care) სერვისებს.
- პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების მდგომარეობის საფუძვლიანი შესწავლისა და შეფასებისათვის, ისევე როგორც, გამოწვევების საპასუხო პოლიტიკის ეფექტურად დაგეგმვისათვის ფუნდამენტურია ინტერსექციური ანალიზი.

# 1. საადვოკაციო კონტექსტის ანალიზი: სექს-სამუშაოსთან დაკავშირებული ადგილობრივი და საერთაშორისო აქტივისტური და სამართლებრივი პრაქტიკა

პროსტიტუციაში ჩაბმული ადამიანები – ქალები, კაცები და ტრანსგენდერი ზრდასრულები, რომელთაც რეგულარულად ან პერიოდულად აქვთ თანხმობაზე დაფუძნებული სექსი ფულისა და სხვა სარგებლის სანაცვლოდ[2] – საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად და მარგინალიზებულ ჯგუფს წარმოადგენენ. მსოფლიოში პროსტიტუციაში ჩაბმული პირები ექვემდებარებიან კრიმინალიზაციას, ძალადობას, დისკრიმინაციას და ადამიანის უფლებების დარღვევის მრავლობით ფორმებს, რაც ზრდის მათ ღირსეულ ცხოვრებასთან, კეთილდღეობასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს, მათ შორის აივ/შიდსის შეძენის რისკებს.

საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით[3], პროსტიტუციაში ჩაბმული ადამიანები წარმოადგენენ პოპულაციის იმ ჯგუფს, რომელთა წვდომა აივ/შიდსის მკურნალობისა და პრევენციის თვალსაზრისით კვლავ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. აივ/შიდსის პრევალენტობა პროსტიტუციაში ჩაბმული პირთა ჯგუფში 30-ჯერ მაღალია რეპროდუქციული ასაკის სხვა ჯგუფთან შედარებით.[4]

მრავალიმხრივი დისკრიმინაციის პრაქტიკებისაგან პროსტიტუციაში ჩაბმულ პირთა დასაცავად, ყოვლისმომცველი, ადამიანის უფლებების მიდგომაზე დაფუძნებული და ნიუანსირებული ძალისხმევა არის აუცილებელი. როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის რისკების შესამცირებლად, ისე პროსტიტუციაში ადამიანების სოციალური კეთილდღეობის ხელშეწყობისათვის. ეს უნდა იყოს მიდგომა, რომელიც არამხოლოდ აღიარებს იმ კონტექსტებს, სადაც ჯგუფის მიმართ სხვადასხვა ტიპის ძალადობა

2 UNAIDS, Guidance Note on HIV and Sex Work, 2009

3 WHO, Global HIV, Hepatitis and STI's Program, sex workers.

4 იქვე

წარმოიქმნება, არამედ ასევე უპასუხებს პროსტიტუციაში ჩაბმულ პირთა შორის არსებულ მრავალფეროვნებასაც და მასზე მიბმულ სტრუქტურულ უთანასწორობასა და სისტემურ ექსკლუზიას, რაც თავის მხრივ, ვიქტიმიზაციისა და ძალადობის ციკლს აწარმოებს.[5] მოწყვლადობის აღნიშნული ხარისხი გამოწვეულია, ერთი მხრივ, პროსტიტუციაში ჩაბმულ პირთა შესახებ მონაცემთა არარსებობის და, მეორე მხრივ, ადვოკატირების მექანიზმებში პროსტიტუციის პრაქტიკის მრავალფეროვნების, რისკების მრავალშრიანობის უგულებელყოფისა თუ გაუთვალისწინებლობის გამო.

სწორედ ამ გამოწვევების საპასუხოდ, საერთაშორისო საზოგადოება, მათ შორის, გაეროს სააგენტოები (WHO, UNAIDS, UN Women) და სათემო ორგანიზაციები (SWAN, NSWP) მოუწოდებენ სახელმწიფოებს ხელი შეუწყონ პროსტიტუციასთან დაკავშირებული სტიგმისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრას, რაც პირველ რიგში, აღნიშნული საქმიანობის კრიმინალიზებაზე უარის თქმას გულისხმობს.

საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ პროსტიტუციაში ჩაბმულ პირთა უფლებების დარღვევების მთავარ საფუძველს ხშირად სწორედ მათი საქმიანობის კრიმინალიზება და/ან ამ საქმიანობის მათ საზიანოდ რეგულირება წარმოადგენს. უკანასკნელი მონაცემებით, სექსუალური მომსახურების შეძენა და გაყიდვა მთლიანად ან ნაწილობრივ, ან მასთან დაკავშირებული გარკვეული ასპექტები კრიმინალიზებულია მსოფლიოს სულ მცირე 133 ქვეყანაში[6]. ქვეყანათა დიდ ჯგუფში პროსტიტუციის მხოლოდ გარკვეული ფორმების კრიმინალიზება ხდება, სახელმწიფოთა ნაწილში კი ის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფორმას იღებს.[7]

საქართველო იმ სახელმწიფოთა ჯგუფს მიეკუთვნება, სადაც პროსტიტუცია არ არის კრიმინალიზებული სისხლის სამართლის კანონმდებლობით და ის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად არის მიჩნეული, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა, პროსტიტუციაში ჩაბმულ პირთა მდგომარეობა არსებითად მძიმეა, რაც როგორც სამართლებრივი გარემოში არსებული ხარვეზებით, ისე, მხარდამჭერი სისტემების არარსებობით, ჯგუფის უხილავობით და პოლიტიკური იგნორირებითაა განპირობებული. აღნიშნულს ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ ჯანმრთელობის

5 IWRAW-AP, Framework on Rights of Sex Workers and CEDAW, 2017

6 UNAIDS, National Commitments and Policy Instruments 2017-2021

7 UNAIDS, Protecting Rights of sex workers, 2017

ვიწრო სპეციფიკურ საკითხთა მიღმა (როგორიცაა აივ ინფექცია/შიდსი), პროსტიტუციაში ჩაბმულ პირთა ზოგადი კეთილდღეობისა და ღირსეულ ცხოვრებაზე ხელმისაწვდომობის შესახებ მონაცემთა განსაკუთრებული სიმწირეა. პროსტიტუციაში ჩაბმულ პირთა უფლებები ძირითადად სამედიცინო ან/და ვიწროდ სამართლებრივ ჭრილში არის განხილული, რაც თავის მხრივ, ადასტურებს ამ ჯგუფის განსაკუთრებულ მოწყვლადობასაც. ჯგუფის სოციალური მხარდაჭერის აუცილებლობასა და საჭიროებაზე ადვოკატირების ხედვისა და სტრატეგიების არარსებობის, ისევე როგორც, მათ შესახებ გავრცელებული მსხვერპლობის დომინანტური ნარატივის გამო, ისინი გამორიცხულნი არიან საჯარო პოლიტიკიდან და არ ეძლევათ საკუთარი აგენტობით მობილიზებისა და პოლიტიკური ხმის გაჟღერების შესაძლებლობა.

## 1.1. პროსტიტუცია და საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები

### არსი

*ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა (WHO) და გაეროს აივ ინფექცია/შიდსის გაერთიანებული პროგრამის (UNAIDS)* მიხედვით, ტერმინი სექს-მუშაკი (პროსტიტუციაში ჩაბმული პირი) მოიცავს „ქალს, კაცს და ტრანსგენდერ ზრდასრულებსა და ახალგაზრდებს, რომლებიც რეგულარულად ან პერიოდულად იღებენ ფულსა და სხვა სარგებელს სექსუალური მომსახურების სანაცვლოდ“.[8] ხაზგასასმელია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მიხედვით, პროსტიტუციაში ჩაბმულობა, ისევე როგორც სექს-შრომის გაწევა მხოლოდ „გაცნობიერებულ თანხმობაზე“ დაფუძნებული შეიძლება იყოს.[9] სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე პროსტიტუციაში ჩაბმულად მიჩნეულია პირი, რომელიც არის 18 ან მეტი წლის.

UNAIDS-ის მიხედვით, პროსტიტუცია შესაძლოა განსხვავებული ფორმებით არსებობდეს სხვადასხვა საზოგადოებებსა და ქვეყნებში, კერძოდ, პროსტიტუცია შეიძლება იყოს „ფორმალური“ ან ორგანიზებული, ან განსხვავებული იყოს სექსუალობის ეკონომიკის შინაარსი. იქ, სადაც

8 WHO, Prevention and Treatment of HIV and other Sexually Transmitted Infections for Sex Workers in Low- and Middle-income Countries, 2012, ასევე, UNAIDS, Guidance Note on HIV and Sex Work, 2009

9 იქვე

პროსტიტუცია ორგანიზებულია, „მენეჯერები“ ასრულებენ ძალაუფლების მფლობელ და გამაშუალებელ როლს პროსტიტუციაში ჩაბმულ პირსა და კლიენტს შორის, და ზოგჯერ ადგილობრივ ხელისუფლებასთანაც.[10] პროსტიტუციაში ჩაბმულ თვითდასაქმებულ პირთა შემთხვევაში, სერვისის გამცემი არის ის, ვინც თავადაა კლიენტების მოძიების პროცესში ჩაბმული და ამისათვის სხვადასხვა გზას იყენებენ (მობილური ტელეფონი, ინტერნეტი, ქუჩა და სხვ).[11]

ქვეყანათა ნაწილში პროსტიტუციაზე მოთხოვნის შესამცირებლად კრიმინალიზება მიღებული პრაქტიკაა, თუმცა როგორც UNAIDS უთითებს, აღნიშნული ზომა ვერ ამცირებს მოთხოვნას, რადგანაც მას სხვა მრავალი ფაქტორი შეიძლება იწვევდეს.[12] კერძოდ, მოთხოვნა შესაძლოა გამოწვეული იყოს სოციალური და კულტურული ფაქტორებით, ასევე ინდივიდუალური გარემოებებით, მათ შორის, სამსახურთან დაკავშირებული მობილობით, განქორწინებით, სოციალური იზოლაციითა თუ მარტოობით. ამასთან, ორგანიზაცია პროსტიტუციაზე მოთხოვნის ერთ-ერთ მიზეზად ასახელებს დამაზიანებელ გენდერულ ნორმებსა და სტერეოტიპებს, რომელთა შორისაა ქალზე დომინაციისა თუ მასზე ფლობის განხორციელების (მესაკუთრული) სურვილი, რაც შესაძლოა პროსტიტუციაში ჩაბმულ პირთა მიმართ სექსუალური და ეკონომიკური ძალადობისა და ექსპლოატაციის მიზეზი გახდეს.[13]

რაც შეეხება პროსტიტუციაში ჩაბმულობის მიზეზებსა და განმაპირობებელ ფაქტორებს, „ის ორ რადიკალურ ფაქტორთა კონტინუუმზე შეიძლება იქნას განხილული – თავისუფალი არჩევანისა და იძულების, მათ შორის ტრეფიკინგს შორის“.[14]

ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ გაეროს კონვენციის პალერმოს პროტოკოლი „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და სასჯელის დადგენის შესახებ“ ტრეფიკინგს განმარტავს როგორც, *„ადამიანთა გადაბირებას, ტრანსპორტირებას, გადაყვანას, შეფარებას ან*

10 WHO, Prevention and Treatment of HIV and other Sexually Transmitted Infections for Sex Workers in Low- and Middle-income Countries, 2012

11 იქვე

12 UNAIDS, Report on the Global AIDS Epidemic, 2006.

13 UNAIDS, Guidance Note on HIV and Sex Work, 2009, გვ. 5.

14 იქვე, გვ. 5

*მიღებას, მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა საშუალებით, მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის უმწეობის ბოროტად გამოყენებით ან იმ პირის თანხმობის მისაღწევად თანხის ან სხვა სარგებლის მიცემით ან მიღებით, ვისი დამოკიდებულების ქვეშაც იმყოფება მეორე პირი, ამ ადამიანთა ექსპლოატაციის მიზნით".*[15]

ტრეფიკინგი ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევას წარმოადგენს, რომელთან ბრძოლაც გაერთიანებულ ძალისხმევას მოითხოვს. თუმცა ტრეფიკინგი განსხვავდება პროსტიტუციის იმ ფორმებისგან, რომლებიც დაფუძნებულია ინფორმირებულ თანხმობაზე. მართალია, პროსტიტუციაში ჩაბმულობა ასევე შეიძლება იყოს გარემოპირობებით გამოწვეული, თუმცა ის არ მოიცავს პირდაპირ ან არაპირდაპირ იძულებას. ასეთი განმაპირობებელი ფაქტორები შეიძლება იყოს სიღარიბე, სოციალური ექსკლუზია, განათლებასთან დაკავშირებული ფაქტორები, გენდერული უთანასწორობა თუ ცხოვრებისეული გამოცდილებები.[16]

## ფემინისტური პერსპექტივების მიმოხილვა

დასავლურ ფემინიზმში პროსტიტუციასთან დაკავშირებით დებატები ათწლეულს ითვლის და ის „სექს ომების" სახელით არის ცნობილი. აღნიშნული დებატები ბინარულ იდეოლოგიურ დამოკიდებულებებს მოიცავს და ხშირად განსაზღვრავს პროსტიტუციის რეგულირებისა და ადვოკატირების შესახებ ცენტრალურ ხედვებს. სექსუალობის, აგენტობის, შრომისა თუ სხეულის შესახებ ხედვების მრავალფეროვნების მიუხედავად, „სექს ომები" მათ ორ დიდ, ერთმანეთთან უკიდურესად დაპირისპირებულ, აბოლიციონისტი ფემინისტებისა და სექს-პოზიტიური ფემინისტების, ხედვებს მოიაზრებს.

აბოლიციონისტური მიდგომა პროსტიტუციასთან მიმართებით 1980-იან წლებიდან აღმოცენდა, რომლის იდეოლოგიური ხედვის მთავარ ფუნდამენტს პროსტიტუციის მხოლოდ ჩაგვრისა და ექსპლოატაციის ჭრილში განხილვა წარმოადგენდა.[17] 1990-იანი წლებიდან ამ ჩარჩოს დაემატა პროსტიტუციის არამხოლოდ როგორც ექსპლოატაციის, არამედ მისი,

15 გაერო, პალერმოს პროტოკოლი, მუხლი 3

16 UNAIDS, Guidance Note on HIV and Sex Work, 2009

17 International Committee on the Rights of Sex Workers in Europe, Feminism needs Sex Workers, Sex Workers need Feminism: Towards a Sex Worker Inclusive Women's Rights Movement, Intersection briefing paper N2. March 2016.

როგორც მონობის და გენდერული ძალადობის ფორმად განსაზღვრა.[18] ფემინისტების ამ ჯგუფის მიერ პროსტიტუციის გენდერული ძალადობის და ჩაგვრის ფორმად მოაზრება, თავის მხრივ, ქალის სექსუალობის ინსტრუმენტულობის შესახებ მათსავე მიდგომებს ეფუძნებოდა, რომელსაც ის პატრიარქატისა და შესაბამისად, გენდერული სუბორდინაციის იარაღად ხედავს.[19] ამრიგად, აბოლიციონისტი ფემინისტებისთვის კომერციული სექსი, მათ შორის თანხმობაზე დაფუძნებული და არაძალადობრივი, ყოველთვის გენდერული ძალადობის ერთდროულად შედეგი და მიზეზია, და ამრიგად, ის არასდროს არის შრომა, რადგან ის ქალის სექსუალობას, ანუ მათივე სუბორდინაციის მექანიზმს ეფუძნება.[20]

აღნიშნული მიდგომებიდან გამომდინარე, აბოლიციონისტი და ნეო-აბოლიციონისტი ფემინისტები ეწინააღმდეგებიან პროსტიტუციის რეგულირებას, მოითხოვენ მის სრულ აკრძალვას და შესაბამისად, ამ პრაქტიკის აღმოფხვრას.[21] სწორედ ფემინისტთა აღნიშნული ჯგუფის ადვოკატირებამ შეუქმნა ფუნდამენტი პროსტიტუციის რეგულირების ე.წ. ნორდიკულ მოდელს[22], რომელსაც თავის მხრივ, ბევრი კრიტიკოსი ჰყავს.

ფემინისტთა აღნიშნული ჯგუფისგან განსხვავებით, სექს-პოზიტიური მიდგომის ან პროსტიტუციის შრომად განხილვის მომხრე ფემინისტები პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალთა უფლებების დაცვის მოთხოვნებზე ორიენტირდებიან მსხვერპლობის ნარატივისა უარყოფისა და მათთვის არჩევანის უფლების უზრუნველყოფით. როგორც ფემინისტთა აღნიშნული ჯგუფი უთითებს, აბოლიციონისტური მიდგომა პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალებს, მიუხედავად მათი გამოცდილებისა და მრავალფეროვნებისა, უპირობო მსხვერპლებად სახავს. კერძოდ, მსხვერპლებად, ერთი მხრივ, გენდერული ძალადობის, მეორე მხრივ კი საკუთარი სიღარიბისა და უმწეობისა. ამ კონტექსტში, პროსტიტუციაში ჩაბმული პირები აგენტობისა და არჩევანის არმქონე სუბიექტები არიან, რომლებიც დახმარებას, გადარჩე-

18 IWRAW-AP, Framework on Rights of Sex Workers and CEDAW, 2017

19 MacKinnon, C. A. (1989). Toward A Feminist Theory of the State. Cambridge: Harvard University Press

20 International Committee on the Rights of Sex Workers in Europe, Feminism needs Sex Workers, Sex Workers need Feminism: Towards a Sex Worker Inclusive Women's Rights Movement, Intersection briefing paper N2. March 2016,

21 რეხვიაშვილი ანა, „სექს ომებში დაკარგული სექს-მუშაკთა შრომა", სოციალური სამართლიანობის ცენტრი

22 SWAN, Sex Work and Feminism, A Guide on the Feminist Principles of Sex Worker Organizing,

ნასა და რეაბილიტაციას საჭიროებენ.[23] მიუხედავად იმისა, რომ პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალთა მდგომარეობა, მათი შრომის მახასიათებლები და გამოცდილებები განსხვავებულია სხვადასხვა გეორგაფიულ არეალში და სხვადასხვა ეკონომიკური განვითარების ქვეყანაში, და შესაძლოა, პროსტიტუცია ყველგან და ყველასთვის „არჩევანის" შედეგი არ იყოს, სექს-პოზიტიური მიდგომა მეტად ახერხებს პროსტიტუციაში ჩაბმულ პირთა უფლებებზე და მათ საჭიროებებზე ორიენტირებული ხედვების ადვოკატირებას, რაც პირველ რიგში, მათთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მათსავე ჩაბმას გულისხმობს.[24]

სწორედ ამ უკანასკნელი მიდგომის/მიდგომების საშუალებით გახდა შესაძლებელი ადგილობრივი, პროსტიტუციაში ჩაბმულ პირთა/ქალთა ე.წ. "გრასრუთ" გაერთიანებების/უფლებათა დაცვის მოძრაობების შექმნა მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას. აღნიშნული ხედვა ეფუძნება ადამიანის უფლებების მიდგომას და უზრუნველყოფს პროსტიტუციაში ჩაბმულ პირთა ხმების გაჟღერებას მათი კეთილდღეობის, უფლებების დაცვისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიმართულებებით.[25] პროსტიტუციაში ჩაბმული პირების უფლებების დაცვის მოძრაობები მხარს უჭერენ ისეთი სამართლებრივი ჩარჩოების შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას, სადაც პროსტიტუციაში ჩაბმულ პირებს, მათი უფლებების დაცვის, პატივისცემისა და მხარდაჭერის გზით, ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობა მიეცემათ. აღნიშნული სხვა მექანიზმებთან ერთად, პროსტიტუციის შრომად აღიარებას მოითხოვს, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს პროსტიტუციაში ჩაბმულ ადამიანთა აგენტობისა და თვითგამორკვევის უფლებების დაცვასა და პატივისცემას.[26]

## სამართლებრივი რეგულირების ზოგადი მიდგომები

საერთაშორისო დონეზე პროსტიტუციის რეგულირების თვალსაზრისით, ცნობილია მისი კრიმინალიზების, დეკრიმინალიზების, დეპენალიზებისა და ლეგალიზების მოდელები, რომლებიც თავის მხრივ, ქალთა უფ-

23 IWRAW-AP, Framework on Rights of Sex Workers and CEDAW, 2017

24 SWAN, Sex Work and Feminism, A Guide on the Feminist Principles of Sex Worker Organizing

25 International Committee on the Rights of Sex Workers in Europe, Feminism needs Sex Workers, Sex Workers need Feminism: Towards a Sex Worker Inclusive Women's Rights Movement, Intersection briefing paper N2. March 2016

26 SWAN, Sex Work and Feminism, A Guide on the Feminist Principles of Sex Worker Organizing

ლებების, აგენტობისა და სექსუალობის შესახებ წინა თავში განხილული სხვადასხვა იდეოლოგიური ხედვიდან გამომდინარეობს.

პროსტიტუციის **კრიმინალიზება** მისი „რეგულირების“ ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს. როგორც წესი, აღნიშნულ მოდელში სექს-სამუშაოსთან ასოცირებული გარკვეული ელემენტები/ფორმებია კრიმინალიზებული, თუმცა არსებობს ქვეყნები, რომლებიც მის ყველა ფორმას კრძალავენ, კერძოდ, გაყიდვას, ყიდვას თუ ფასილიტაციას. ამგვარ ქვეყნებს შორისაა აშშ, სამხრეთ კორეა, ვიეტნამი და ეგვიპტე.[27]

არსებობს ნაწილობრივი კრიმინალიზების შემთხვევებიც, რაც გულისხმობს პროსტიტუციის ლეგალიზებას, თუმცა მისი კონკრეტული ფორმების, მაგ. საჯარო ან კერძო სივრცეში, მათ შორის, ე.წ. ბორდელებში აკრძალვას.[28]

პროსტიტუციის კრიმინალიზების თვალსაზრისით, რეგულირების ერთ-ერთ ცნობილ ფორმას შვედური ან ე.წ. ნორდიკული მოდელი წარმოადგენს. აღნიშნული მოდელი პირველად შვედეთში 1999 წელს ამოქმედდა (და შემდგომ გავრცელდა, ირლანდიაში, საფრანგეთში, ისლანდიაში, კანადასა და ნორვეგიაში[29]), რომლის მიხედვითაც, სექსის გაყიდვა „ლეგალურად“ ითვლება, თუმცა კლიენტები და მესამე პირები ექვემდებარებიან კრიმინალიზებას. თავდაპირველად, აღნიშნული სამართლებრივი ჩარჩო გენდერული თანასწორობის მიღწევის მიზანს ემსახურებოდა იმ იდეის საფუძველზე, რომ პროსტიტუცია და ტრეფიკინგი აღმოიფხვრებოდა მასზე „მოთხოვნის შემცირების“ გზით. თუმცა, აღნიშნულმა მოდელმა აკადემიურ და საერთაშორისო სამართლის ლიტერატურაში, ისევე როგორც, პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალთა მხრიდან, არსებითი კრიტიკა დაიმსახურა, ქალების საჭიროებების გაუთვალისწინებლობისა და მათ მიმართ დისკრიმინაციის გაზრდის შესაძლო რისკების გამო. ორგანიზაცია „სექს-სამუშაოს პროექტების გლობალური ქსელის“ (NSWP) მიხედვით, ნორდიკული მოდელის ამოქმედებამ ხელი შეუწყო პროსტიტუციის „მიწისქვეშეთში“ გადანაცვლებას, გახადა ის მეტად საფრთხისშემცველი და გააძლიერა სტიგმა პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალთა მიმართ.[30] რო-

27 IWRAW-AP, Framework on Rights of Sex Workers and CEDAW, 2017

28 იქვე

29 Sex Worker Advocacy and Resistance Movement, Everything you wanted to know about the Swedish Model (Aka the Nordic Model), 2020

30 Global Network of Sex Work Projects , The Real Impact of the Swedish Model on Sex Workers, Community Guide, 2015

გორც NSWP-ის სათემო სახელმძღვანელოშია მითითებული, კანონის რეფორმის შემდგომ, საჯარო პროსტიტუცია არაპირდაპირ კრიმინალიზებას დაექვემდებარა, რის შედეგადაც ბევრად ნაკლები კლიენტი ყიდულობს სერვისს, აღნიშნულმა კი პროსტიტუცია ფარულ სერვისად აქცია, რამაც გაზარდა ძალადობის რისკები, და შეამცირა ჯანდაცვისა და საპოლიციო სერვისებზე მისაწვდომობა.[31] ხოლო პროსტიტუციაში ჩაბმული ის ქალები, რომლებიც კვლავ ქუჩაში რჩებიან, იძულებულები არიან დათანხმდნენ დაბალ საფასურს; მათ ასევე საკუთარი სამუშაოს სხვა საშუალებებით წარმოების ნაკლები ცოდნა და გამოცდილება აქვთ, რაც ჯგუფის მარგინალიზებას ამწვავებს. ამრიგად, ნორდიკულმა მოდელმა, მიუხედავად მისი ინტენციისა, პრაქტიკაში გააძლიერა კლიენტთა ძალაუფლება და შეასუსტა პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალთა უფლებრივი დაცულობა.[32]

ტერმინი **დეკრიმინალიზება** გულისხმობს პროსტიტუციის და მასთან ასოცირებული აქტივობების სისხლის სამართლის კანონმდებლობის მოქმედებისგან გათავისუფლებას. აღნიშნულში იგულისხმება როგორც მისი შეთავაზება, ყიდვა, გაყიდვა, ისე, ბორდელების ფუნქციონირება. დეკრიმინალიზება არ გულისხმობს პროსტიტუციის რეგულირების მიღმა დატოვებას, არამედ ის გამოიყენება პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალთა უფლებების, მათ შორის, შრომითი უფლებებისა და სტანდარტების დასაცავად. დაწესებულებების ფუნქციონირება კი ექვემდებარება ბიზნესის რეგულირების სტანდარტებს. აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონზე ფოკუსირებული ქალთა უფლებადაცვითი ორგანიზაციის (IWRAW- ASIA PASIFIC) მიხედვით[33], დეკრიმინალიზების პრაქტიკამ (ახალი ზელანდია, ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატი და სლოვენია) აჩვენა, რომ მან გააუმჯობესა პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალთა შრომითი პირობები და უფლებების დაცვის ხარისხი. თუმცა, როგორც ორგანიზაცია აღნიშნავს, დეკრიმინალიზაციის პირობებშიც აუცილებელია დამატებითი სოციალური ზომების მიღება მათ მიმართ არსებული სტიგმისა და დისკრიმინაციის პრევენციისათვის, რადგან ის ვერ აღმოფხვრის საზოგადოებაში გამჯდარ დამოკიდებულებებს პროსტიტუციაში ჩაბმულ პირთა მიმართ.[34]

31 იქვე, გვ. 3

32 იქვე

33 IWRAW-AP, Framework on Rights of Sex Workers and CEDAW, 2017

34 იქვე, გვ. 22

**დეპენალიზება** დეკრიმინალიზების მოდელის მსგავსია – ამ შემთხვევაში პროსტიტუციაში ჩაბმულ პირთა საქმიანობა მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევას წარმოადგენს, თუმცა, მიუხედავად პასუხისმგებლობის შედარებითი მსუბუქი ხასიათისა, ის ფართე დისკრეციის საშუალებას აძლევს ადმინისტრაციულ და სამართალდამცავ ორგანოებს, რის საფუძველზეც პროსტიტუციაში ჩაბმული პირები შესაძლოა პოლიციის ან მესამე პირების მხრიდან ძალადობას, დისკრიმინაციას და მუდმივ ადმინისტრაციულ ჯარიმებს დაუქვემდებაროს. აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც წესი, საერთაშორისო სამართალში დეკრიმინალიზაციასთან ერთად, დეპენალიზაციაც აუცილებელია, რათა პროსტიტუციაში ჩაბმულ პირთა უფლებები სრულყოფილად იქნას დაცული.[35]

რაც შეეხება **ლეგალიზებას,** ის ხშირად გაგებულია პროსტიტუციის „ლეგალურ“ საქმიანობად გარდაქმნად, თუმცა აღნიშნული მცდარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, რადგანაც პროსტიტუციის ლეგალიზება მის სრულ დაშვებას არ გულისხმობს. ამასთან, სრული „დაშვების“ შემთხვევაში ლეგალიზება პროსტიტუციაში ჩაბმულ პირთა უფლებების ადვოკატების მიერ გაიგება არა სექს-მუშაკთა დაცვის, არამედ სპეციფიკურად პროსტიტუციის შესახებ შექმნილი ნორმატიულ ჩარჩოს გზით ამ საქმიანობის კონტროლის და ე.წ. „ლიცენზირების“ მექანიზმად, რომელიც ართულებს როგორც პროსტიტუციაში ჩაბმას, ასევე, გამოყოფს მას სხვა ბიზნესებისგან და სხვადასხვა ამკრძალველ ფორმას უქვემდებარებს. აღნიშნულის მაგალითია პროსტიტუციაში ჩაბმულ პირთა მხრიდან რეგისტრაციის ვალდებულება, რომელიც, ერთი მხრივ, მათ კონფიდენციალობას არღვევს, მეორე მხრივ კი, ძალადობის რისკების წარმომშობი გარემოება ხდება.

ამრიგად, „პროსტიტუციის სამართლებრივი აღიარება სამუშაოდ (work), და პროსტიტუციაში ჩაბმულ პირთა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების, მათ შორის, შრომის უფლების, დაცვა არ უნდა იქნას აღრეული ლეგალიზების ცნებასთან, რომელიც არსებითად მასტიგმატიზებელია და სინამდვილეში, პროსტიტუციისა და მასში ჩაბმულ პირთა კონტროლის სურვილს ეფუძნება“.[36]

35 იქვე, გვ. 22-23

36 იქვე, გვ. 24

## რეგულირების კარგი პრაქტიკა და საერთაშორისო სტანდარტები

მსოფლიოში აღიარებულია, რომ პროსტიტუციასთან დაკავშირებული სტიგმა და დისკრიმინაცია, კრიმინალიზება, ძალადობა, ფინანსური საჭიროებები და ვალი, ექსპლოატაცია და სოციალური მოწყვლადობა ხელს უწყობს მასში ჩაბმულ პირთა/ქალთა მარგინალიზებას. ფინანსური უსაფრთხოების სხვადასხვა ხარისხი და სამუშაოს სხვადასხვა პირობები გავლენას ახდენს პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალთა ავტონომიასა და საკუთარი უფლებებისა და ჯანმრთელობის დაცვის ხარისხზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმ კონტექსტის გააზრებას, სადაც ხორციელდება პროსტიტუცია, ძალაუფლებრივი სტრუქტურა, რომელიც მას შემოსაზღვრავს, და მასში ჩაბმულ ქალთა ზოგადი საჭიროებები ჯანმრთელობისა და სოციალური საჭიროებების თვალსაზრისით, ამიტომ ინტერვენციები, სწორედ ამ საჭიროებების და კონტექსტების გააზრებას უნდა დაეფუძნოს.[37]

მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაცია პროსტიტუციაში ჩაბმულ პირთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვის მიზნებისთვის გამოყოფს რამდენიმე კრიტიკულ რეკომენდაციას, რომელთა უზრუნველყოფა ჯგუფთან მიმართებით არსებული სტიგმის, დისკრიმინაციისა და სოციალური ექსკლუზიის აღმოფხვრის ფუნდამენტი შეიძლება გახდეს, კერძოდ, WHO-ს მიხედვით[38]:

- ყველა ქვეყანამ უნდა მოახდინოს პროსტიტუციის დეკრიმინალიზება და აღმოფხვრას მასში ჩაბმულ პირთა მიმართ არა-სისხლისსამართლებრივი კანონების უსამართლო გამოყენება და რეგულაცია.
- მთავრობებმა უნდა შექმნან დისკრიმინაციის ამკრძალველი და უფლებადაცვითი კანონმდებლობა ძალადობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ, მათ შორის, პროსტიტუციაში ჩაბმულ პირთა წინააღმდეგ, რათა მათი უფლებების რეალიზება და აივ-ინფექცია/შიდსთან მიმართებით არსებული რისკები იქნას აღმოფხვრილი. ანტიდისკრიმინაციულმა კანონმდებლობამ და რეგულაციებმა უნდა უზრუნველყონ პროსტიტუციაში ჩაბმულ პირთა სოციალურ, ჯანდაცვისა და ფინანსურ უფლებებზე მისაწვდომობა.

37 WHO, Prevention and Treatment of HIV and other Sexually Transmitted Infections for Sex Workers in Low- and Middle-income Countries, 2012

38 WHO, Policy Brief - Prevention And Treatment of HIV and other Sexually Transmitted Infections for Sex Workers In Low- And Middle-Income Countries, GRADE methodology, 2012

- ჯანდაცვის სერვისები უნდა იყოს მისაწვდომი და მისაღები და ეფუძნებოდეს სტიგმისა და დისკრიმინაციის აკრძალვისა და ჯანმრთელობის უფლების დაცვას.
- ძალადობა პროსტიტუციაში ჩაბმულ პირთა წინააღმდეგ წარმოადგენს აივ/ინფექცია შიდსის გამომწვევ რისკ ფაქტორს და მისი პრევენცია უნდა განხორციელედეს პროსტიტუციაში ჩაბმულ პირთა და მათ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების ჩაბმულობით და მათთან თანამშრომლობით.

სახელმწიფოებს ასევე ეკისრებათ ვალდებულება განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ აივ ინფიცირების მაღალი რისკის მქონე პირთა უფლებებს. გაეროს გენერალური ასამბლეის მიხედვით, იმ ადამიანთა კრიმინალიზაცია, რომლებიც ინფექციის უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან, რიყავს მათ და აივ ინფექციასთან დაკავშირებული მომსახურების მიღებას უზღუდავს. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს აივ დაინფიცირების მიმართ მათ კიდევ უფრო მოწყვლადობას, ასევე სტიგმატიზაციას, დისკრიმინაციას, მარგინალიზაციასა და ძალადობას.[39]

გარდა აღნიშნულისა, 2023 წელს იურისტთა საერთაშორისო კომისიამ (ICJ) სპეციფიკურად შეიმუშავა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის (human rights based approach) 8 მარტის პრინციპები სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან მიმართებით, რომელიც სექსთან ასოცირებულ ქცევას, რეპროდუქციასთან, ნარკოტიკების მოხმარებასთან, აივ-შიდსთან, უსახლკარობასა და სიღარიბესთან.[40] პროსტიტუციასთან დაკავშირებულ საკითხებს დოკუმენტი მიმოიხილავს მე-17 პრინციპში და აღნიშნავს, რომ სრულწლოვან ადამიანებს შორის თანხმობაზე დაფუძნებული სექსუალური კავშირი ფულის და/ან სხვა სიკეთის სანაცვლოდ, საჯარო თუ კერძო სივრცეში, არ შეიძლება იქნას კრიმინალიზებული. კომისია ასევე კრძალავს მესამე პირთა ჩართულობის კრიმინალიზებას, რომლებიც რაიმე სახის სარგებელს იღებენ ამ მომსახურების/სამუშაოს შედეგად, თუ ის არ არის დაფუძნებული იძულებასა თუ სხვა კრიმინალურ ქცევაზე.[41]

39 UN General Assembly, On the fast track to ending the AIDS epidemic, 1 April 2016, A/70/811

40 International Commission of jurists (ICJ), The 8 March Principles for a Human Rights-Based Approach to Criminal Law Proscribing Conduct Associated with Sex, Reproduction, Drug Use, HIV, Homelessness and Poverty, 2023

41 იქვე, პრინციპი 17

## 1.2. პროსტიტუციის რეგულირება საქართველოში: კანონმდებლობა და პოლიტიკა

საქართველოში სექსუალური მომსახურების ყიდვა-გაყიდვა/პროსტიტუცია არ არის სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი. კრიმინალიზებულია მასთან ასოცირებული გარკვეული ასპექტები, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლით დასჯად ქმედებას წარმოადგენს „პროსტიტუციის ხელშეწყობა", რაშიც იგულისხმება დაყოლიება[42] და ასევე, პროსტიტუციისთვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემა.[43] ამასთან, ცხადია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი კრძალავს ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგს).[44]

სექსუალური მომსახურების გაცემა (და არა მისი შეძენა) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1723 მუხლით რეგულირდება, რომლის საფუძველზე „პროსტიტუცია" ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას იწვევს[45]. კოდექსის მიხედვით, პროსტიტუცია გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას ნახევარ ოდენობამდე მინიმალური ხელფასისა, რაც 1999 წელს მიღებული საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების მიხედვით 20 ლარს შეადგენს. ამრიგად, საქართველოში პროსტიტუციის რეგულირების ფორმა „დეპენალიზების" მოდელის არსებობას გულისხმობს.

IWRAW- ASIA PASIFIC-ის მიხედვით, დეპენალიზების მოდელი მართალია სხვა რეგულირების ფორმებთან შედარებით ნაკლები ზიანის მომტანია, მაგრამ ის პრაქტიკაში კვლავ არსებით ბარიერებს ქმნის თემისთვის.[46] აღნიშნულს ადასტურებს საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკის ანალიზიც. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშების მიხედვით[47], პოლიცია ხშირად მიმართავს სპეციალურ საპოლიციო ღონისძიებებს, რომლის დროსაც პროსტიტუციაში ჩაბმულ პირებს ადგილის დატოვებას აიძულებს და აღნიშნულის საფუძვლად პროსტიტუციისა და სხვა შესაძლო სამართალდარღვევების პრევენციას ასახელებს. საპოლი-

42 სსკ, მუხლი 354, ნაწილი 1

43 სსკ, მუხლი 354, ნაწილი 2

44 სსკ, მუხლი $143^1$; მუხლი $143^2$; მუხლი $143^3$.

45 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია (22/03/2023 - 02/05/2023) იხ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=515

46 IWRAW-AP, Framework on Rights of Sex Workers and CEDAW, 2017,

47 საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, ადამიანის უფლებები სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ჭრილში: ქვეყნის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება, 2018

ციო ღონისძიების დროს, პოლიციის თანამშრომლები ხშირად თვითნებურად იყენებენ რეპრესიულ ღონისძიებებს და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ისეთ ზომებს, როგორიცაა ჯარიმა ან ადმინისტრაციული პატიმრობა, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ან/და პოლიციის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო[48], რომელიც როგორც ადმინისტრაციული, ისე სისხლის სამართლის ნორმებით რეგულირდება.

სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები მიუთითებს, რომ პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალები ფიზიკურ, სიტყვიერ და სექსუალურ ძალადობას თავიანთი კლიენტების მხრიდანაც განიცდიან. ისინი ასევე აღნიშნავენ სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევებს პოლიციის მხრიდან, განსაკუთრებით, ტრანსგენდერი სექმუშაკების მიმართ.[49]

ორგანიზაცია „თანადგომას“ მიერ განხორციელებული კვლევის მიხედვით (2018), პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების უმრავლესობა მუდმივი ზეწოლის, დისკრიმინაციისა და ძალადობის რისკის ქვეშ იმყოფება. სამუშაო გარემო (ქუჩა, ბარი-რესტორანი, საუნა, სხვა) გასაკუთრებით დიდი რისკის მატარებელია პროსტიტუციაში ჩაბმული ქალებისათვის, როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური ძალადობის კუთხით. როგორც კვლევა აღნიშნავს, „სექს-ბიზნესში ჩაბმული ქალები აცნობიერებენ საკუთარი უფლებების დაცვის მნიშვნელობას, მაგრამ არ მიუწვდებათ ხელი საჭირო ინსტრუმენტებზე (ინფორმაცია, ცოდნა, უნარები“).[50]

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) რატიფიცირებამ და ქალთა და გენდერულ ძალადობასთან მიმართებით საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის რეფორმამ[51], ძალადო-

48 საინფორმაციო-სამედიცინო ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა“, „სტიგმა, დისკრიმინაცია და ძალადობის ფორმები ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელ და სექს-ბიზნესში ჩაბმულ ქალებში“- თვისებრივი კვლევის ანგარიში, 2018

49 CEDAW კომიტეტში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ალტერნატიული შუალედური ანგარიში, 2016. ასევე, საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, ადამიანის უფლებები სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ჭრილში: ქვეყნის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება, 2018

50 საინფორმაციო-სამედიცინო ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა“, „სტიგმა, დისკრიმინაცია და ძალადობის ფორმები ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელ და სექს-ბიზნესში ჩაბმულ ქალებში“- თვისებრივი კვლევის ანგარიში, 2018

51 საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, 2017 წელი

ბის მსხვერპლ ყველა ქალს სავარაუდო მოძალადის მიმართ შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოყენების შესაძლებლობა მისცა. ეს მექანიზმები გამოიყენება მიუხედავად იმისა, თუ სად ხორციელდება ძალადობრივი ქმედება, რაც პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალებს საშუალებას აძლევს, თავიანთი კლიენტების მიმართ შემაკავებელი და დამცავი ორდერები გამოიყენონ იმ შემთხვევებში, როდესაც მათი მხრიდან ძალადობას განიცდიან. თუმცა პრაქტიკაში, პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების მხრიდან მსგავსი ინსტრუმენტის გამოყენების შემთხვევა დღემდე არ არის დოკუმენტირებული.

აღსანიშნია, რომ საქართველოში პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, მათ შორის, სოციალურ დაცვაზე, ჯანდაცვასა თუ სხვა უფლებებზე წვდომის შესახებ მონაცემთა განსაკუთრებული სიმწირეა. ამასთან, პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალთა უფლებები ძირითადად სამედიცინო, სამართლებრივ და უფრო ზოგადად, „მსხვერპლობის“ ჭრილში არის განხილული, რაც თავის მხრივ, ადასტურებს ამ ჯგუფის პოლიტიკურ და უფლებრივ გარიყულობას საქართველოს კონტექსტში.

## უფლებებზე ორიენტირებული ადვოკაცირება საქართველოში

საქართველოში პროსტიტუციაში ჩაბმულ ადამიანთა უფლებებზე ფოკუსირებული ორგანიზაცია არ არსებობს. არსებობს მხოლოდ გარკვეული ინიციატივები, რომელთაც არ აქვთ მდგრადი ფორმა და რესურსები. თუმცა, პროსტიტუციაში ჩაბმულ ჯგუფებს გარკვეულწილად ფარავენ სხვადასხვა პროფილის მქონე ორგანიზაციები, მათ შორის, სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე (სრჯუ) მომუშავე, ქალთა და ასევე, სექსუალურ/გენდერულ მრავალფეროვნების საკითხზე (ლგბტქ) ორიენტირებული ორგანიზაციები. აღნიშნულ ორგანიზაციათა ნაწილი („თანადგომა“, საია) ჩაბმული იყო პროსტიტუციაში ჩაბმულ პირთა უფლებადარღვევების დოკუმენტირებაზე ორიენტირებულ პროექტებში, რაც უფლებრივ წარმომადგენლობასაც გულისხმობდა, მაგრამ დღეს პროსტიტუციაში ჩაბმულ პირებს მსგავსი სერვისები მხოლოდ იმ შემთხვევაში გაეწევათ, თუ კონკრეტული საქმე სტრატეგიული სამართალწარმოების ნაწილი შეიძლება გახდეს, ან რესურსის არარსებობის გამო, მათი რეფერირება სხვა ორგანიზაციებთან ხდება.

როგორც წინამდებარე კვლევის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციებთან ჩატარებულმა ფოკუს ჯგუფმა აჩვენა, მიმდინარედ, პროსტიტუციაში ჩაბმულ პირთა უფლებებზე ორიენტირებული კონკრეტული პროექტები არცერთ ორგანიზაციას[52] არ აქვს და არც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ჰქონია. აღნიშნული ორგანიზაციები, მათი სტრატეგიების, გეგმებისა და ხედვების ფარგლებში, პროსტიტუციაში ჩაბმულ ადამიანებს მხოლოდ ერთ-ერთ სამიზნე ჯგუფად აქცევენ და იმ შემთხვევაში ფარავენ, როცა კონკრეტული სერვისი აღნიშნულის შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნულ სათემო სერვისებში ძირითადად იგულისხმება სოციალური, ინფორმირების გაზრდის და ჯანდაცვის სერვისები (რომელიც სგგი-სა და აივ/შიდსის პრევენციას და ასევე, ნარკოტიკებსა და ალკოჰოლზე დამოკიდებული პირების მკურნალობის სერვისებს გულისხმობს).

ამრიგად, დღევანდელი მოცემულობით, სრჯუ-ზე, ქალთა და სექსუალურ/გენდერულ მრავალფეროვნების საკითხზე მომუშავე ორგანიზაციათა ადვოკატირების სტრატეგიები, სხვადასხვა ფაქტორთა გამო, არ არის სპეციფიკურად პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალთა როგორც სამოქალაქო-პოლიტიკური, ისე სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვაზე ფოკუსირებული. საგულისხმოა, რომ პროსტიტუციაში ჩაბმული ჯგუფის საჭიროებები ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების სამუშაო არეალისა და აქტივისტური ფემინისტური დღის წესრიგისგანაც ყურადღების მიღმაა დარჩენილი, და როგორც წესი, მხოლოდ ვიქტიმიზაციისა და მოწყვლადობის ჭრილში განიხილებიან. აღნიშნულს ართულებს პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების მიერ შექმნილი/მართული მდგრადი ადგილობრივი სათემო ორგანიზაციის არარსებობაც, რაც კიდევ ერთხელ აჩვენებს, ამ ჯგუფის გარიყულობას პოლიტიკური, სამართლებრივი თუ სოციალური ცხოვრებიდან.

არასამთავრობო ორგანიზაციებთან ჩატარებულმა ფოკუს ჯგუფმაც აჩვენა, რომ პროსტიტუციაში ჩაბმულ პირთა სათემო მობილიზების არარსებობა ამ ჯგუფის პოლიტიკურ აქტორად ჩამოყალიბების მთავარი ფაქტორია. სრჯუ-ზე, ქალთა და სექსუალურ/გენდერულ მრავალფეროვნების საკითხზე მომუშავე ორგანიზაციათა ადვოკატირების მექანიზმების ჩამოუყალიბებლობა კი საერთო და წინასწარგანსაზღვრული სტრატეგიების არარსებობას უკავშირდება.

52 ფოკუს ჯგუფში მონაწილე ორგანიზაციათა შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი 01

ფოკუს ჯგუფის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ამ ჯგუფის პოლიტიკური მობილიზების ნაკლებობის პრობლემას საფუძვლად უდევს მათი მაღალი მოწყვლადობა, ეკონომიკური სიდუხჭირე, კონფიდენციალობის დარღვევის მაღალი საფრთხეები, არაჯანსაღი ურთიერთობა სამართალდამცავ უწყებებთან, შანტაჟი – ძალოვან უწყებებთან თანამშრომლობის იძულება, თვითსტიგმატიზაციის მაღალი დონე და ასევე, განათლებასა და ინფორმირებულობაზე წვდომის დაბალი შესაძლებლობები. შესაბამისად, პროსტიტუციაში ჩაბმულ პირთა მობილიზების პრობლემები, ბარიერები და მათი შედეგები ურთიერთგამომწვევი ციკლის ნაწილია, რომლის გადალახვა სხვადასხვა ფაქტორის გამო დღემდე ვერ ხერხდება. ამ ფაქტორებს შორისაა, პროსტიტუციაში ჩაბმულ პირთა უფლებების დაბალი პრიორიტეტულობა, დონორთა მხრიდან ამ ჯგუფზე ორიენტირებული ინიციატივების მხარდაჭერის ნაკლებობა, პოლიტიკურ აქტორთა მხრიდან აღნიშნული ჯგუფის საჭიროებებზე საუბრის „არამომგებიანობა“, ხელისუფლებასთან ადვოკატირების სივრცეების არარსებობა და ასევე, პოლიტიკური ელიტის მხრიდან პროსტიტუციის ორგანიზებულ ფორმებთან მიმართებით არსებული შესაძლო ფინანსური ინტერესები. ეს უკანასკნელი კი საქართველოში არასდროს გამხდარა შესწავლის საგანი.

ამრიგად, ფოკუს ჯგუფში მონაწილე ორგანიზაციები პრიორიტეტულად თავად პროსტიტუციაში ჩაბმულ ინდივიდთა გაძლიერებას უთითებენ. გაძლიერება კი მრავალმხრივი შეიძლება იყოს, მათ შორისაა, ინფორმირებულობის გაზრდა მათი უფლებების დაცვის სამართლებრივ მექანიზმებზე, ჯანდაცვასა და სოციალურ დაცვაზე მისაწვდომობის უზრუნველყოფა, პოლიტიკური ცნობიერების გაჩენაზე მუშაობა და სხვ. თუმცა, ყველა ორგანიზაციის წარმომადგენელი ერთხმად აღნიშნავს, რომ პროსტიტუციაში ჩაბმულ პირთა უფლებებზე მუშაობა „არ ავნო“ პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს. ამრიგად, როდესაც არ არსებობს შეთანხმებული პოზიცია თემის მხრიდან, თუ რა ფორმისა და შინაარსის ადვოკატირებამ შეიძლება უპასუხოს მათ საჭიროებებს, მათ უფლებებზე „მესამე“ ორგანიზაციათა მხრიდან ადვოკატირება ყოველთვის შენელდება და შეიძლება ვერც განხორციელდეს.

# 2. პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების ანგარიში

## 2.1. პროსტიტუციაში ჩაბმის წინაპირობა

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა უმრავლესობა პროსტიტუციაში ჩაბმის თავდაპირველ და ამჟამინდელი კომერციული სექს საქმიანობის უპირველეს მიზეზად შემოსავლის საჭიროებას ასახელებს. ზოგიერთ შემთხვევაში ეს შემოსავალი საარსებო მინიმუმია, ზოგჯერ კი, იმ საჭიროებების დასაკმაყოფილებელი თანხა, რომელიც მათ ოჯახის ხანდაზმულ წევრებზე და სხვადასხვა ასაკის შვილებზე ზრუნვის ვალდებულებით იკისრეს.

გამოკითხულთა უმეტესობას ხელი არ მიუწვდება განათლებაზე, როგორც სამომავლოდ ღირსეული პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელ პირობაზე. ამის მიზეზი კი პირველადი მხარდამჭერი ქსელის მხრიდან გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია, ძალადობრივი გამოცდილება და უგულებელყოფაა. ცხადია, რომ ამ **არაღირსეული მოპყრობისა და უარყოფის საფუძველი ჰეტერონორმატიული და ჰეტეროსექსისტური განწყობებია:** კაცების, პატრიარქალური ოჯახების და მიკროსოციუმების მხრიდან ქალებზე ეკონომიკური, კულტურული და სოციალური დომინაციის პირობებში, ტრანს ქალები ადრეული ასაკიდანვე იდევნებიან, უპირველესად, გენდერულად არაკონფორმული ქცევისა და თვითგამოხატვის გამო. სის ქალების შემთხვევაში კი მუშაობს სტერეოტიპული და ტრადიციული გენდერული როლების შესრულების იმპერატივი, რომელიც მათ ადრეული ასაკიდან დაქორწინებას და შვილების გაჩენას ავალდებულებს.

აღსანიშნავია, რომ ტრანსი ქალების პროსტიტუციაში ჩაბმის ისტორიები უმეტესად საცხოვრებლის დატოვების აუცილებლობით იწყება, რაც იდენტობის გამო ოჯახთან კონფლიქტს მოსდევს. ისინი ერთ შემთხვევაში საკუთარი ნებით განერიდებიან ოჯახის წევრების მხრიდან ღირსების შემლახავ დამოკიდებულებებს, მეორე შემთხვევაში, ცდილობენ, ოჯახის წევრები დაიცვან მტრულად განწყობილი მიკროსოციუმებისგან მომდინარე აგრესიისგან, რასაც მათი თვითგამოხატვა იწვევს. მესამე შემთხვევაში კი, ტრანს ქალებს სახლის დატოვებას ოჯახის წევრები ძალადობრივად აიძულებენ.

ზემოთ აღწერილი გარემოებების შედეგად, ტრანსგენდერი ქალები (ფორმირებული იდენტობით ან თვითგამორკვევის პროცესში) მარტო რჩებიან, საბაზისო შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობისა და პირველად მხარდამჭერ ქსელთან კავშირის გარეშე. ფოკუს-ჯგუფების მონაწილე პროსტიტუციაში ჩაბმული ყველა ტრანსგენდერი ქალი ცხოვრობს ქირით, მარტო ან, უმეტესად, მეგობრებთან, სხვა ტრანსგენდერ ქალებთან ერთად, რომლებიც ასევე პროსტიტუციაში არიან ჩაბმული. თბილისში მარტო დარჩენილი ტრანს ქალებს ნაცნობობა ან მეგობრობა აკავშირებთ. უმეტესად სწორედ ერთმანეთის შუამდგომლობითა და მხარდაჭერით ერთვებიან ისინი პროსტიტუციაში თვითგადარჩენისთვის, ქირის და სხვა საბაზისო ხარჯების დასაფარავად.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ტრანსგენდერი ქალების დიდი ნაწილი სექსუალურ ცხოვრებას ადრეული მოზარდობის ასაკში იწყებს. არიან ისეთებიც, რომლებიც, ოჯახში დესტრუქციული გარემოს გამო, უმეტესად ქუჩაში, დაუცველ მდგომარეობაში არიან. აქ ისინი უფრო ადრეულ ასაკშიც (7-9 წელი) ხდებიან უფროსი კაცების მხრიდან სექსუალური შევიწროების სამიზნე. მნიშვნელოვანია, რომ თავად გამოკითხულების ნაწილი ამ ფაქტს არ აფასებს როგორც ღირსების შემლახავ მოპყრობას, ძალადობას – მათთვის **შემთხვევით პარტნიორ კაცებთან დაფარული ურთიერთობა გენდერული და სექსუალური თვითგამორკვევის გზაზე სექსუალობის ერთგვარი მანიფესტირების სივრცედ იქცევა.**

ზემოთ აღწერილი მიზეზების გამო, ქალაქის ქუჩებში ძირითადად ხვდებიან არასრულწლოვანი, იმ მომენტისთვის თვითგამორკვევის პროცესში მყოფნი, ფემინური თვითგამოხატვით, ძირითადად, გეი მამაკაცად თვითიდენტიფიცრებულნი. მათ უკვე აქტიური სექსუალური ცხოვრება აქვთ და, ახალი გამოწვევების პირობებში, აღნიშნული ფარული ურთიერთობების სანაცვლოდ ფულის აღებას იწყებენ. **გამოკითხულთათვის პროსტიტუცია არ არის ავტომატური გადაწყვეტილება და მითუმეტეს, მარტივი და უსაფრთხო არჩევანი. ზოგიერთ შემთხვევაში, მას წინ უძღვის დასაქმების მრავალი წარუმატებელი მცდელობა, სამუშაო ადგილას დისკრიმინაციისა და ძალადობის გამოცდილება.**

*„რომ წამოვედი იქიდან, ჩამოვედი თბილისში, არ ვიცოდი არანაირად რა იყო ცირკი, სად იყო, როგორ იყო და გამიჭირდა ძაან. 100 ლარი მქონდა და სადამდე გეყოფა... ვიძინებდი ვაგზალზე, ცოტა ხანი 5 ლარი ღირდა ერთი საათი სასტურმო, მაგრამ ვთხოვდი*

*ხოლმე და ერთი დღე მტოვებდნენ 5 ლარად. ხოდა, შემდეგ ფული რომ აღარ მქონდა, ვეძებდი სამსახურს, შემოვიარე მთელი სასტუმროები, რესტორნები იქ... რომ ვერ დავიწყე მუშაობა, გადავწყვიტე რომ მემუშავა ცირკთან. ჯერ ვმუშაობდი როგორც გეი. მერე გადავწონე, ვიფიქრე და დავრწმუნდი რომ ტრანსგენდერი ვიყავი. ეხლა, პატარაობაში კი კაბებს ვიცვამდი, მაკიაჟს ვიკეთებდი, მაგრამ 10 წლის ბავშვი როგორც გაიკეთებს... მერე უკვე რომ დავრწმუნდი, რომ მე ეს ვარ... შემდეგ დამაწყებინა ჩემმა დაქალმა მუშაობა [მუნიციპალური სერვისის კომპანიაში]. დავიწყე მუშაობა და რაღაც... გავიდა 1 თვე, 2 თვე, 5 თვე და იქაც ვერ დავმალე რომ ტრანსი ვარ. ვთქვი, პირდაპირ ვუთხარი რომ მე ვარ ეს და ეს. პირში ვუთხარი ყველაფერი. იყო დისკრიმინაციაც, შემოძახილებიც, მაგრამ არ ვაქცევდი ყურადღებას იქ. მერე რაღაც დამავალეს, გავაკეთე, გადაამოწმა, ნახა რომ იყო შესრულებული, 12 საათზე პერერივი გვიწევდა და ვთხოვე წასვლა, წამოვედი. მთავარმა უფროსმა დამიჭირა შუა ტრასაზე. დამინახა რომ 12 საათზე ადრე მივდივარ სახლში, ავუხსენი რომ ბრიგადირს ვესაუბრე და გამიშვა. ამან კიდე პრინციპულად გამიკეთა, დაწერა გაგდება. არც გაგდება, ვითომ თვითონ წავედი სამსახურიდან. მომაწერინა ხელი, გამიშვა...".*

*„ვაგზალზე ვიყავი ხოლმე და იქ იჩითებოდნენ ძაან ბევრი ხნის გეები. ხოდა, ერთხელ დამჭირდა ვთქვათ, იქ ლიანდაგებთან დგებიან იმდენი გეი რომ რავიცი. მერე ერთმა, წამოხვალო? და კაპიკი ფული არ მქონდა. და მეთქი ფასიანია ჩემი წამოსვლა-მეთქი და რა ჯდებაო და მინეტი 30 ლარიმეთქი. და იმან მითხრა, იქ არის ადგილი მაგისთვისო, ცირკთან ჩადიო ბოლოში, ჩავედი. იმ დღეს ჩავედი ერთმა რაღაცა ქვა მესროლა მანქანიდან, მეორემ შემაგინა, მესამემ გააჩერა და ბოთლი მესროლა... ამომივიდა ყელში, ის ერთი დღე, ორი დღე, სამი დღე და მერე მივეჩვიე ჩვეულებრივად და ეხლაც ვდგავარ ხოლმე ქუჩაში".*

*„...იყო გარკვეული ადგილები, სადაც ვჩერდებოდით მე და ჩემი თანატოლები, ვისაც სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. მოდიოდნენ უფროსი მამაკაცები და მივყავდით".*
*(ფოკუს-ჯგუფი პროსტიტუციაში ჩაბმულ ტრანსგენდერ ქალებთან)*

რაც ეხება გამოკითხულ სისგენდერ ქალებს, განურჩევლად ამჟამინდელი დასაქმების სივრცისა (სასტუმრო, ქუჩა, ონლაინ), მათი პროსტიტუციამდე გზა შეგვიძლია ისეთი ცხოვრებისეული სირთულეებით აღვწეროთ, როგორიცაა: ადრეული ქორწინება, ძალადობრივი ანდა ღირსების შემლახავი ურთიერთობა ქმართან, განქორწინება/გაშორება, ზოგჯერ განქორწინების ან სხვა არაკონვენციური ურთიერთობის გამო მშობლების მხრიდან უარყოფა, ხანდაზმულ მშობლებზე ან, შემთხვევათა უმეტესობაში, შვილ/ებზე ზრუნვის ვალდებულება.

სისგენდერი ქალების შემთხვევაში მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ისტორიათა დიდ ნაწილში ქორწინება, მათ შორის ადრეული, რესპონდენტთა მხრიდან ერთმნიშვნელოვნად იძულებად ან ძალადობად შეფასებული არ არის. მეტიც, **ქორწინება ლოგიკური და მოსალოდნელი კონვენციური თანმდევია ხშირად პირველი ურთიერთობისა, რომელიც სიყვარულთან, რომანტიკასთანაა დაკავშირებული და, ტრანს ქალების მსგავსად, სექსუალობის მანიფესტირების სივრცედ არის აღქმული.**

გამოკითხული სისგენდერი ქალებისთვისაც პროსტიტუცია არ არის ავტომატური და მარტივი გადაწყვეტილება. იგი, როგორც წესი, მოსდევს დასაქმების არაერთ წარუმატებელ მცდელობას. გამოკითხულთა დიდ ნაწილს, როგორც თავშიც აღინიშნა, შეზღუდული აქვს წვდომა ნებისმიერი ტიპის პროფესიულ განათლებაზე. თუმცა, ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებს შორის არიან ისეთებიც, ვისაც გააჩნია ცოდნა და უნარები ამა თუ იმ ანაზღაურებადი საქმიანობისათვის. ყველა შემთხვევაში, პროსტიტუციამდე მათი დასაქმების გამოცდილება არის პრეკარიული, ხოლო შემოსავალი – არასაკმარისი. გამოკითხულთა დიდი ნაწილი ამ გამოწვევებს თავდაპირველ საცხოვრებელ ადგილას აწყდება და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების იმედით დიდ ქალაქში, უმეტესად დედაქალაქში ჩადის და ძირითადად მომსახურების სფეროში საქმდება. გამოკითხულთა დიდი ნაწილი სწორედ აქ, კოლეგა ქალებისგან იღებს პროსტიტუციაში ჩაბმის შეთავაზებას, როგორც მხარდაჭერას დამატებითი შემოსავლის გამომუშავების მიზნით.

> *„რომ დავრჩი ორსულად, მეთქი, იყოს, ჩემი პატრონი მაინც მეყოლება... გავაჩინე და მერე მეორეც მივაყოლე. ის წავიდა... და დავრჩი... 4 წელი ვიყავით ერთად, მერე აირია, ქუთაისელი, სულ ბლატაობდა, სულ ქუჩაში იყო და, მე პატარა ვიყავი მაშინ, აირია, წავიდა*

*და წავიდა სამუდამოდ ჩემგან. მერე ესე ჩამოვედი თბილისში და რავიცი... დაიწყო მერე... ჯერ საბანკეტოში ვმუშაობდი. 15 ლარი მქონდა დღეში, ვმუშაობდი ყოველ მეორე დღეს. მერე, ქალი მუშაობდა ერთი, სადაა ის ქალი ეხლა, და ესე, ესე დავდივარ მე ხანდახანო და შენც წამოდი, ესე რომ წვალობო, ცოდო ხარო, რაღაცა ხომ გინდაო.. ხოდა, ესე წავედი და დავრჩი და დავრჩი".*
*(ფოკუს-ჯგუფი პროსტიტუციაში ჩაბმულ სასტუმროებში მომუშავე სისგენდერ ქალებთან)*

*„იყო მომენტი მაგალითად, 200-250-300 ლარში პოულობდი. კაი, ვთქვათ, წავედი და აღარ მინდა ეს სამუშაო. ქირა, კომუნალურები და ჩემს შვილებს რა ვუყო? ვიცხოვრო იმ კედლებში? წესიერ სამსახურს აქ ვერ იპოვნი. ან უნდა იყო ისეთი, გქონდეს ჩაბარებული, რაღაცა. ეხლა ეგ ტყუილია ჩემთვის რა. მე წავედი გავთხოვდი".*
*(ფოკუს-ჯგუფი პროსტიტუციაში ჩაბმულ ქუჩაში მომუშავე სისგენდერ ქალებთან)*

*„ვმუშაობდი ყოველთვის, ხან ბარმენად, ხან მაღაზია მქონდა, ხან რესტორანი. მაგრამ მერე უკვე ისე წავიდა საქმე, რომ აღარ მყოფნიდა. ერთი ქალი ვნახე და ვიღაცას მოეწონეო და შენში ამდენ ფულს იხდისო. ახალი ქმარგაშვებული ქალი რომ ვიყავი, მაინც... ერთხელ წავედი, ორჯერ, სამჯერ და... "*
*(ფოკუს-ჯგუფი პროსტიტუციაში ჩაბმულ ონლაინ მომუშავე სისგენდერ ქალებთან)*

აუცილებელია, აღვნიშნოთ გამონაკლისი შემთხვევები – **როგორც ტრანსგენდერ, ისე სის ქალებს შორის არიან რესპონდენტები, რომლებიც თავდაპირველად ცნობისმოყვარეობის მიზნით დაკავდნენ პროსტიტუციით.** ამას რაოდენობრივი კვლევის მონაცემებიც ადასტურებს. იმის მიუხედავად, ჰქონდათ თუ არა საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილების აუცილებლობა, ამ რესპონდენტთათვის ერთ-ერთი წამყვანი მოტივაცია სექსი და შემთხვევითი ურთიერთობებია. ისინი პროსტიტუციას უყურებენ, როგორც აზარტული და სექსუალური გართობის შესაძლებლობას. რაც ამ რესპონდენტებს სხვებისგან გამოარჩევს, არის თავდაჯერებულობა, უსაფრთხოებისა და კლიენტებზე ძალაუფლების განცდა. ჩვენი რესპონდენტების შემთხვევაში ამ

განცდის ერთ-ერთი გარანტორი შეიძლება დასაქმების სივრცეც იყოს – ვინც ამბობს, რომ მათი მოტივაცია უმეტესად გართობა და სექსია, სასტრუმროში ან მხოლოდ მუდმივ კლიენტებთან მუშაობს და არა მაგალითად, ისეთ მოწყვლად პირობებში, როგორიცაა ქუჩა.

> *„მე ვერთობი, ყველას არ მივყვები, თუ მომეწონა ვარსკვლავთბიჭუნა. შეიძლება არც არაფერი არ გააკეთოს იმ ვარსკვლავმა, მაგრამ რაღაც გაჩუქოს, გასიამოვნოს. კაი, თუ არ შევალ ნომერში, მიყვარს ისე გართობაც. ჩემში ეს არის. მე პირადად ესე ვარ. ეხლა მეგობარი მყავდა, მაგრამ, ეს სასიამოვნო პიროვნება, ნუ, ზოგადად, გავუშვი რა. არ მჭირდებოდა, ზედმეტი ისა და... ცოტა ისინი ჰქონდა, რა ქვია, დაძაბული ვიყავი და ეს ჩაკეტილობას ვერ ვიტან“.*
> *(ფოკუს-ჯგუფი პროსტიტუციაში ჩაბმულ სასტუმროებში მომუშავე სისგენდერ ქალებთან)*

## 2.2 თავდაპირველი გამოცდილება და განცდები

**პროსტიტუციაში ჩაბმული ქალები, განსაკუთრებით პირველ პერიოდში, ხშირად ეხვევიან სუტენიორის/„მამაშას“ არაკეთილსინდისიერ გარიგებებში.** ეს პრობლემა არ ეხებათ იმათ, ვინც მეტ აგენტობას ამჟღავნებს საკუთარ ცხოვრებისეულ გადაწყვეტილებებსა და ასევე, კომერციულ სექს საქმიანობასთან დაკავშირებით.

ფოკუს-ჯგუფების განმავლობაში მოთხრობილი საკუთარი თუ სხვათა ისტორიებიდან ირკვევა, რომ სოციალურად და ფსიქოლოგიურად მეტად მოწყვლადი ქალები ეკონომიკურად ხშირად ექვემდებარებიან სექს ბიზნესთან დაკავშირებულ, გამოცდილებისა და ძალაუფლების მქონე ინდივიდებს: ეს შეიძლება იყოს სხვა სექს მუშაკი ან უშუალოდ მენეჯერის ფუნქციის შემსრულებელი ქალი, ან კომერციულ სექს საქმიანობასთან ირიბად დაკავშირებული კაცები: ემოციურად მანიპულატორი კლიენტები ან მუდმივი პარტნიორები. ემოციური მანიპულირებით, დაშინებითა და შანტაჟით ფინანსური ვალდებულებები უმეტესად საქმეში ახალბედა ქალებს ეკისრებათ. ზოგჯერ ეს „მსხვერპლი“ არის ისეთი სარგებლის მომტანი, როგორიცაა სიყვარული ან უსაფრთხოება, კლიენტების შოვნის ახალი გზების მოპოვებაში დახმარება. ზოგჯერ კი ეს მცდელობები მხოლოდ ზარალით და ემოციური ზიანით მთავრდება.

*"„ალაქში გაბაზრებული მქონდა, რომ მე ასეთ საქმეზე ვმუშაობ. ყველამ იცოდა, რომ მე გოგოების მიმართ ვარ ძალიან ყურადღებიანი. ჩემს გვერდით გოგოს არასდროს არაფერი დაუშავდება, არ გაუჭირდება. ხოდა მოვიდა ტიპი ჩვეულებრივად, ჩემი უბნელი, ერთი ქალი დავითრიეო, ქმარს შორდებაო, ჩამოდისო და ამუშავებო?.. არადა იმ საცოდავს ეგონა, რომ ცოლად მოყვებოდა".*

*„კაცი რომ გიყვარს... ძალიან გავრცელებულია სუტინიორობა. სუტინიორი ის კი არ არის, რომ პირდაპირ მოდის და მიდი, დროზე იმუშავე. არა! კაცი რომ გიყვარს, რომ იცი, იმას რაღაც უჭირს და შენ აქეთ ერთ საათში რომ ფულს შოულობ, აქეთ ეხვეწები, რომ მიდი აიღე. ეს ბიჭები ისეთი ფსიქოლოგები არიან, რომ ვინც გინდა დაუსვი, აქეთ დაგაფსიქოლოგებენ".*
*"*

*[საუბრობს სუტენიორებზე] წინა წლებში, სასტუმროში რომ ვმუშაობდით, ტაქსისტები... საიტები რაც გაიჩითა... ყველას არ ჰქონდა ამდენი ცნობიერება, რომ საიტზე დარეგისტრირდეს, მეილი უნდა, ის უნდა... ხოდა, ცოტა მოხოდილი ტიპები აკეთებდნენ საიტზე და ეს გოგოები ესხდათ მანქანაში და ტელეფონებს გოგოები პასუხობდნენ, მაგრამ ამ ტიპების იყო".*
*(ფოკუს-ჯგუფი პროსტიტუციაში ჩაბმულ ონლაინ მომუშავე სისგენდერ ქალებთან)*

*„ადრე მყავდა მამაშა და მართლა მოტყუებით ერთოთახიანი ბინა დამაკარგინა. თვითონ იყო ადრე ქუჩაში და თუ ნახავდა ვინმე სულელს, მთლიან წილზე ამუშავებდა. მერე პოლიცია ისა, და არავის არ დააყენებდა. ქუჩაში ვიყავი ოღონდ მაგის კონტროლის ქვეშ. იმას საყვარელი ყავდა, ყოფილი თანამშრომელი, სცემდა – აბა ფული არ მოეტანა, დღეში 200 ლარი".*
*(ფოკუს-ჯგუფი პროსტიტუციაში ჩაბმულ ქუჩაში მომუშავე სისგენდერ ქალებთან)*

გარდა საქმეში გარკვევისა და ურთიერთობებთან დაკავშირებული სირთულეებისა, ფოკუს-ჯგუფების მონაწილე ქალები ხშირად საუბრობენ კლიენტების მომსახურების თავდაპირველ გამოცდილებებზე. ეს მომენ-

ტები მათ მონათხრობში უმეტესად **ზიზღთან, სევდასთან, იმედგაცრუებასა და სასოწარკვეთილებასთანაა** დაკავშირებული. როგორც ირკვევა, **ამ განცდებს დიდწილად საფუძვლად უდევს კომერციულ სექსთან დაკავშირებული სტიგმა. მაგრამ, ამავე დროს, ისინი ხშირად პრაგმატულადაა აღწერილი, როგორც საკუთარი უსუსურობით გამოწვეული ემოციური რეაქცია.**

*„...ეს სამუშაო არის ყველაზე რთული. იმიტომ რომ როცა პირველად ურთიერთობა მქონდა, როცა პირველად წავედი, არც კლიენტი დამავიწყდება, არც სად ვიყავი ის არ დამავიწყდება და რომ მოვდიოდი, საკუთარი თავი მეზიზღებოდა“.*
*(ფოკუს-ჯგუფი პროსტიტუციაში ჩაბმულ ტრანსგენდერ ქალებთან)*

*„თურქებთან რომ მიმიყვანეს და კოკა-კოლა თხოვე მაგ კაცსო, კოკა-კოლის თხოვნა შემრცხვა იმ კაცისთვის. იმდენად არ ვიყავი ამისთვის. შენ კოკა-კოლას ვერ თხოვ კლიენტს და ფულს მოთხოვო?... პირველად რომ დავწექი, ვტიროდი. და იმ გოგოს უთხრა ჩემს დაქალს – ეს სატირლად მომიყვანე აქო?“*
*(ფოკუს-ჯგუფი პროსტიტუციაში ჩაბმულ ონლაინ მომუშავე სისგენდერ ქალებთან)*

*„თავიდან ხომ სამარცხვინოდ თვლი ამას, აი ვინმემ რომ გამიგოს, რა იქნება. ხანდახან ისე ვიყავი, რომ არც ვფიქრობდი, რას ვაკეთებდი. მეგონა, რომ ეს ვალდებულებაა ჩემი და სულ არ მრცხვენოდა იმ მომენტში. ხანდახან მერე რომ დავფიქრდებოდი, რომ დღეს ამდენ კაცთან ვიყავი... დედა, დედა, ავტირდებოდი, გავიხდიდი ყველაფერს, რომ მაინც იმის ხელმონაკიდები და რაღაც. მაგრამ ხანდახან არც ვფიქრობდი მაგაზე. გეგონა, რომ რაღაც კაი საქმეს აკეთებდი. ჩეულებრივ საქმეს. თავიდან ჭირს, თორე მერე ჩვეულებრივი ხდება“.*
*(ფოკუს-ჯგუფი პროსტიტუციაში ჩაბმულ ქუჩაში მომუშავე სისგენდერ ქალებთან)*

რესპონდენტები, რომლებიც მეტი აგენტობით გამოირჩევიან, თავდაპირველ განცდებსაც ნაკლები დრამატულობით აღწერენ, მაგრამ არა – ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურად. პირველი გამოცდილების მღელვარე-

ბა მათთვის ცნობისმოყვარეობასთან, პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების რომანტიზებულ ხატებთან (მაგალითად, კურტიზანები, ჯულია რობერტსის პერსონაჟი ფილმიდან "Pretty Woman") და ახალი გამოცდილებების მოლოდინთან არის დაკავშირებული.

## 2.3. რისკები, გამკლავების მექანიზმები და მხარდაჭერა

პროსტიტუცია ქალებისთვის არაერთ ფიზიკურ, ფსიქო-ემოციურ და სოციალურ სირთულესთანაა დაკავშირებული. ეს ასეა ფინანსური უზრუნველყოფის იმედების და გარანტიების, პერსონალური ვნებების და სურვილების დაკმაყოფილების მიუხედავად. საერთო ჯამში ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა ნარატივების ანალიზით ირკვევა, რომ სირთულეებს უპირველესად განაპირობებს თვითსტიგმა, რომელიც, თავის მხრივ, გამკლავების სტრატეგიებშიც ინტენსიურად ვლინდება. შედეგად, გამოკითხული ქალების ჯგუფებიდან მეტ-ნაკლებად ყველას აქვს მარტოობის განცდა პროსტიტუციასთან დაკავშირებული სირთულეების წინაშე. მათ შეზღუდული აქვთ წვდომა როგორც ინსტიტუციური, ისე პერსონალური ან სათემო მხარდაჭერის საშუალებებზე და პრობლემებსაც მეტწილად თავად უმკლავდებიან.

გამოკითხული ქალები ხშირად საუბრობენ რისკების თავიდან არიდების პროცესში თავდაცვის, კონფლიქტის თავიდან არიდების, კომუნიკაციის უნარების დახვეწის აუცილებლობაზე. ჯანდაცვის გამოწვევების საპასუხოდ ისინი ხშირად მიმართავენ თვითმკურნალობას, სტრესთან გასამკლავებლად კი, უმეტესად იყენებენ ემოციის შესუსტების სტრატეგიებს, როგორიცაა შეგუება და არაადაპტაციურ სტრატეგიებს, რაც სხვადასხვა მავნე ზემოქმედების ნივთიერებების (უმეტესად ალკოჰოლი და ნარკოტიკები) მოხმარებას გულისხმობს.

დისკუსიების განმავლობაში აღწერილი სირთულეები ცხადყოფს, რომ **კომერციული სექს საქმიანობის თავისებურებები არა თუ მოითხოვს ძალისხმევასა და უნარებს და არის რისკის შემცველი, ის ცდება მარტივი ეკონომიკური აქტივობის ფარგლებს. ეს სურათი იკვეთება იმის მიუხედავად, არქმევენ თუ არა ქალები საკუთარ საქმიანობას „შრომას". გასამრჯელოს მოპოვება იმაზე რთულ ურთიერთმიმართებებზე გადის, ვიდრე მხოლოდ ფულის სანაცვლოდ სექსუალური აქტია.** ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები ხშირად ახსენებენ „მარტივი ფულის" ცნებას,

რაც პროსტიტუციით ფულის გამომუშავებისთვის რაიმე განსაკუთრებული ძალისხმევის, უნარების ან რისკების არარსებობას გულისხმობს. გამოკითხულთა უმეტესობის აზრით, ეს რწმენა უსამართლოა პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების მიმართ.

როგორც ვთქვით, ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა უმეტესობა პროსტიტუციაზე საუბრობს, როგორც სიდუხჭირით განპირობებულ იძულებით გადაწყვეტილებაზე. სხვადასხვაგვარია კომერციული სექს საქმიანობის, როგორც ფინანსური კეთილდღეობის გარანტორის აღქმა. გამოკითხული ქალების ჯგუფებში არიან რესპონდენტები, რომლებიც პარალელურად რამდენიმე ადგილას, ძირითადად პრეკარიული შრომით არიან დაკავებული, საარსებო მინიმუმის უზრუნველსაყოფად. ტრანსი ქალებისათვის ასეთი შესაძლებლობა, როგორც წესი, თვითგამოხატვის კომპრომისს ან მეორე მხრივ, ძალადობის რისკებს უკავშირდება. შესაბამისად, ტრანსგენდერი ქალები საუბრობენ რისკებსა და ისეთი შრომის აუცილებლობაზე, რომელიც მათ ძალებს აღემატება და რომლის სურვილი არ აქვთ.

> *„მე პირადად არ მყოფნის, არ გეყოფა. ვერ ვიქნები სექს სამუშაოზე დამოკიდებული, ქირით ვცხოვრობ და არ შემიძლია. ფსიქოლოგიურადაც, ფსიქოლოგიურად ცუდად ვხდები“.*
> *(ფოკუს-ჯგუფი პროსტიტუციაში ჩაბმულ ტრანსგენდერ ქალებთან)*

> *„თუ არ გავედი და არ ვიმუშავე, ხვალ-ზეგ დავრჩები მშიერი, მაგრამ მე არ შემიძლია კაცის ფორმით გარეთ გასვლა. კიდევ კაი, ხაზეიკა მყავს ისეთი რომ მაცლის“.*
> *(ფოკუს-ჯგუფი პროსტიტუციაში ჩაბმულ ქუჩაში მომუშავე სისგენდერ ქალებთან)*

ამის პარალელურად, სის ქალების ჯგუფებში ვხვდებით კომერციული სექსით მიღებული ფულის თავისებურებების შეფასებას: სტერეოტიპული აზრის საპირისპიროდ, პროსტიტუციით მიღებული ფინანსური სარგებელი არ აღიქმება მარტივ ფულად, მაგრამ ამის მიუხედავად, სიმბოლურად იგი უღირსი შრომით მიღებულ, დაუმსახურებელ და უმნიშვნელო შემოსავლადაა შეფასებული:

*„აი, ოჯახის გამო, შვილების გამო... მაგრამ ეგ არ არის გამოსავალი. ნახევარ საქართველოზე მეტი მასეა, მაგრამ ეს ჩვენი ბრალიც არის. ჩვენ რაღაცა გვგონია, რომ ეს იოლი ფულის შოვნის გზაა, მაგრამ ფაქტს რომ აწყდები, არა. უკვე ჭაობში ეფლობი რა, ფულს შოულობ. შენ გგონია, იმ ფულით რამეს შვები? კაი ფულს ვაკეთებ ყოველდღე. მაგრამ ხვალ ვერ ვანახე ამ ფულს რა. იმიტომ რომ ეს ჩვენ მარტო იმის, აი გაჭირვებით... ადრე სულ ვამბობდი, რომ არასდროს არ გავაკეთებ ცუდს არაფერს, აი, ხელგაწვდილი ვიქნები, ვიმათხოვრებ და მაგ საქმეს არასდროს არ ვიზამ-მეთქი, მაგრამ დღეს აქა ვარ. ეგ არავინ არ იცის ხვალ და ზეგ რა იქნება“.*

*„ის ბევრად ბარაქიანი იყო, 15 ლარი [მომსახურების სფეროში მუშაობის დროს]. ეხლა 100 ლარად რომ წავიდე, არაფერი არაა. ის მაინც გემრიელია ნაწვალები... ის პატიოსნად ნაშოვნი ფულია და იმიტომაა გემრიელი. სხვანაირი გემო აქვს მაინც“.*
*(ფოკუს-ჯგუფი პროსტიტუციაში ჩაბმულ სასტუმროებში მომუშავე სისგენდერ ქალებთან)*

შემოსავლის ოდენობისა და საკმარისობის, მის მოსაპოვებლად საჭირო ძალისხმევაზე საუბრის გარდა, რესპონდენტები ხშირად აღნიშნავენ, რომ პროსტიტუციის შედეგად გასადავებული აქვთ სექსუალური ლტოლვა ან რომანტიკული მოთხოვნილებები. **ინტიმურობის კომოდიფიკაციას, იგივე გასაქონლებას, რასაც ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა უმეტესობა აღწერს, მნიშვნელოვანი გავლენა აქვს პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების ფსიქოემოციურ მდგომარეობზე, ურთიერთობებსა და ცხოვრების ხარისხზე.**

*„...მე ვერ წარმომიდგენია უფულოდ სექსი“*
*(ფოკუს-ჯგუფი პროსტიტუციაში ჩაბმულ ონლაინ მომუშავე სისგენდერ ქალებთან)*

*„უფულოდ სექსი აღარც წარმომიდგენია. სამუშაოა ჩვენთვის – ჯერ ფული, მერე... ხო, ეს სამსახური. როგორც აქ, მოხვალ, შეჭამ და არ გადაიხადო ფული. ეგრეა ჩვენთანაც“.*
*(ფოკუს-ჯგუფი პროსტიტუციაში ჩაბმულ ქუჩაში მომუშავე სისგენდერ ქალებთან)*

*„აი რომ აღარ გინდა რა, აღარ გინდა. არც არავის მიკარება აღარ გინდა და რომ ფიქრობ რომ სხვა გამოსავალი არ გაქვს. სხვა გამოსავალი რომ არ გაქვს და იძულებული რომ მოდიხარ. და მე თვითონ ვამუშავებ ჩემს თავს, რომ ეხლა უნდა ადგე, წახვიდე. ეხლა ბოდიში, რამდენჯერ მირწყევია ტუალეტში. რომ აღარ გინდა... შეიძლება მეგობარი კაცი გყავს და აღარც ის აღარ გინდა. შეიძლება ჩახუტება გინდოდეს, თავზე ხელი რომ გადაგისვას, მაგრამ რასაც ქვია, სექსი, აღარ გინდოდეს“.*
*(ფოკუს-ჯგუფი პროსტიტუციაში ჩაბმულ სასტუმროებში მომუშავე სისგენდერ ქალებთან)*

როგორც ფოკუს-ჯგუფების განმავლობაში მოთხრობილი ამბებით ირკვევა, **ძალადობის ან მისი რისკების შემთხვევაში, პროსტიტუციაში ჩაბმული ქალები, უმეტესად რთული ბიუროკრატიული პროცედურების და უნდობლობის გამო, ძირითადად, არ მიმართავენ სამართალდამცავებს.** პოტენციური მოძალადეები, უმეტეს წილად, არაფხიზელი კლიენტები არიან. მათ განეიტრალებასა და კონფლიქტის თავიდან არიდებას ქალები მარტო ან ერთმანეთის დახმარებით ახერხებენ, რაც ხშირად შეურაცხყოფის მოთმენისა და საკუთარი ბრაზის დათრგუნვის ხარჯზე ხდება.

*„[პოლიციის გამოძახების] აზრი? უნდა წაგიყვანონ, უნდა გაყურყუტონ. 2 საათში იმდენ რამეს ვაკეთებ. პოლიცია წავა ხო? ის ისევ გარეთ უნდა შეხვდე იმას. მაშინ დაცვა უნდა დააყენო რომ არავინ არ შეგეხოს შენ ისევ უნდა მოაგვარო შენი საქმე“.*

*„ეს უკვე თავიდან რომ ხედავ ძალადობა რომ არის, უნდა მოერიდო. კი არის, მთვრალი დაგელაპარაკება დობრად, დობრად, მერე წაგიყვანს, თავისი რომ უნდა გააკეთოს, მერე უნდა გამოექცე, აბა რა. ძალადობა როგორ არ არის, პროსტა უნდა შენ თვითონ მოერიდო და ვსო“.*

*„ვაფრთხილებთ ერთმანეთს – აი, ის მოდის, მოერიდე, ამას არ გაყვე. თუ დავუშვათ, ერთად ვართ ყველა. ტელეფონით ხელში მივდივართ... ან ისეთ ფასს ვუბრახუნებთ, ერთი საათი – 200 ლარი, ფუ თქვენი და მიდიან“.*

*„საშიში არის, მაგრამ შენი თავის იმედი უნდა გქონდეს ადამიანს, „ხიტრობა“ შეგეძლოს – დამაცადე ერთი წუთი, მირეკავენ და გაიქცე, ვსო. კონფლიქტს ვარიდებ თავს. როდესაც შეგიძლია გაიქცე, რატომ უნდა იჩხუბო და დადგე?“*
*(ფოკუს-ჯგუფი პროსტიტუციაში ჩაბმულ ქუჩაში მომუშავე სისგენდერ ქალებთან)*

*„იმდენი ადამიანი შემოდის, ზოგი პრეტენზიებით, ზოგი რა და შენ ცდილობ, რომ მოაწონო თავი. ოღონდ, იმ წუთას იმას კი არ ფიქრობ, იმას კიარ ფიქრობ, რომ ამას მოეწონო, უბრალოდ რომ შენ თვითონ პრობლემა არ შეგექმნას, მიკეტილ ოთახში, კარების შიგნით, და ცდილობ ყველანაირად რომ ლამაზად... შეიძლება არ მოგწონდეს იმის საქციელი, იმის სიტყვა-პასუხი, არც იმის, უკაცრავად და სექსი, რომ გეკითხება რომ „მოგწონს?“ კი, მომწონს! ოღონდ დროზე გავიდეს“.*

*„ზოგჯერ აგრესიულები რომ ხდებიან, გვეხმარება, რომ გავიყვანოთ გარეთ. ჩხუბით და იმით არა. მოფერებით და გაგვყავს მერე გარეთ. მოვკიდებთ ხელს, ვეუბნებით ტაქსი მოვიდა და ვტოვებთ გარეთ. ისე რომ პოლიცია დაგვჭირდეს ან რაღაცა, არა“.*
*(ფოკუს-ჯგუფი პროსტიტუციაში ჩაბმულ სასტუმროებში მომუშავე სისგენდერ ქალებთან)*

მართალია, პოლიციასთან ურთიერთობის და ზოგადად, პოლიციაზე საუბრისგან თავის არიდების ტენდენცია ორივე გამოკითხულ გენდერულ ჯგუფში აღინიშნება. მაგრამ, იმ შემთხვევაში თუ რესპონდენტები საუბრობენ, ერთი რამ ერთმნიშვნელოვანია – **არც პოლიციის მხრიდან პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების წინააღმდეგ და არც პირიქით, ქალების მიერ თავდაცვის მიზნით, პროსტიტუციასთან დაკავშირებული კანონმდებლობა ან სხვა სამართლებრივი ბერკეტები ძირითადად არ გამოიყენება.** არის შემთხვევები, როდესაც კონკრეტულ დაწესებულებებში (სასტუმრო, საუნა, კაფე, ბარი) პოლიციის რეიდების შესახებ აზიარებენ რესპონდენტები ინფორმაციას, სადაც, როგორც წესი, სივრცის მესაკუთრის ან დაწესებულების მენეჯერის წინააღმდეგ გამოიყენება პროსტიტუციასთან დაკავშირებული სამართლებრივი ბერკეტები. ეს პირები, როგორც წესი,

განსხვავებულ და მეტად პრივილეგირებულ მდგომარეობაში არიან, ვიდრე ამავე დაწესებულებებში ონლაინ თუ ქუჩაში მომუშავე ქალები. კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტებიც ადასტურებენ, რომ ამ უკანასკნელთა წინააღმდეგ სამართალდამცავები უმეტესად სხვა, ზოგად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ნორმებს იყენებენ მათთვის წინააღმდეგობის გაწევის ან კონფრონტაციაში შესვლის საფუძვლით.

საინტერესოა გამოკითხულთა მიერ ჯანმრთელობის რისკებისა და სექსუალური გზით გადამდები ინფექციების (სგგი) პრევენცია-მკურნალობის შეფასება. **გამოკითხულებისთვის ეს საკითხი არასასურველ ხარჯებთანაა დაკავშირებული და რიგ შემთხვევებში, პრიორიტეტს არ წარმოადგენს.** რესპონდენტთა ნაწილი დისკუსიების დროს საუბრობს პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების თემში სექსუალური ცნობიერების ნაკლებობაზე და რეგულარული სერვისების ხელმისაწვდომობის პრობლემაზე, ფინანსური და გეოგრაფიული დაფარვის თვალსაზრისით. ამასთანავე გამოირკვა, რომ პროსტიტუციაში ჩაბმული ქალის ინფორმირებულობის და ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარების ფლობის შემთხვევაშიც, თავის დასაცავად მას მაინც სხვადასხვა ბარიერთან გამკლავება უწევს. პირველ რიგში, ეს არის კლიენტების მხრიდან მაღალი მოთხოვნა კონდომის გარეშე სექსზე და მეორე მხრივ, სხვა ქალების მხრიდან დაუცველ სექსზე თანხმობის პრეცენდენტები. ეს უკანასკნელი, ისევე როგორც, თვითმკურნალობის პრაქტიკა ან, სერვისზე ხელმისაწვდომობის მიუხედავად, სამედიცინო ჩარევაზე უარი, ხშირად საკუთარი ჯანმრთელობის საჭიროებების უგულებელყოფითა და ნიჰილიზმით იხსნება.

ძალადობისა და ჯანმრთელობის რისკები და მათთან გამკლავებაში ინსტიტუციურ მხარდაჭერაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, სტიგმასთან ერთად, პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალებს რიგი ფსიქო-სოციალური გამოწვევების წინაშე ტოვებს. უპირველესად ეს არის საქმიანობის გასაიდუმლოების აუცილებლობა. **ანონიმურობა, ერთი მხრივ, წარმოადგენს თავდაცვის ბერკეტს, მეორე მხრივ კი, თავადაა სტრესის წყარო და მხარდამჭერ სისტემებთან შეზღუდული წვდომის მიზეზი.** გამოკითხული ქალები ხშირად ყვებიან საკუთარ თუ სხვათა ამბებს საქმიანობის გამო საცხოვრებელი ადგილის შეცვლის, ნაცნობების შეხვედრისა და ამის შედეგად საჯარო რეპუტაციის შელახვის, ძალადობის ახალი რისკებით გამოწვეული შიშების შესახებ. ამას თან ერთვის მათთვის მნიშვნელოვანი ადამიანების მოტყუებით გამოწვეული ემოციურ სირთულეები.

*„ცნობადობის ეშინიათ. რომ სადმე, რამე, ვინმე... ამიტომ ბევრი თბილისელი გოგო რუთავში მუშაობს და რუსთაველი გოგოები – თბილისში. რომ ვინმე ნაცნობი არ შეხვდეს... თუმცა, რუთავი და თბილისი კი არა, საქართველო ისეთი პატარაა, ისეთ მოულოდნელ ადგილას შეიძლება ნაცნობი შეგხვდეს რომ..“.*

*„ხომ იცი, ყველაფერს ეჩვევი. და მე ცოტა ისე ვუყურებდი, სანამ ბავშვები ჩემთან ცხოვრობდნენ, სულ მეშინოდა. რამეზე თუ დაიყვირებდა შვილი, ან მეორე შვილი, ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ვაიმე, ჩემზე ხომ არაფერი გაიგეს მეთქი. ხომ იცი, როცა დამნაშავე ხარ, გგონია, რომ ვაიმე, ჩემზე ხომ არაფერი გაიგეს“.*
*(ფოკუს-ჯგუფი პროსტიტუციაში ჩაბმულ ონლაინ მომუშავე სისგენდერ ქალებთან)*

*„ხშირად ისე იზრდებიან, გოგო, ეს პატარა ბავშვები... რომ ჩახვალ ამხელაა და მეორედ ჩახვალ, წვერებიანია. ვაკვირდები ხოლმე – დღეს ამნაირია, ხვალ სხვანაირია – შიშში ვარ. ქალო, რამე ვინმე რომ მოვლენ – სადაურია, საიდან არის. აი სულ ესეა“.*
*(ფოკუს-ჯგუფი პროსტიტუციაში ჩაბმულ სასტუმროებში მომუშავე სისგენდერ ქალებთან)*

აღწერილი გარემოებების გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის, რომ გამოკითხული ქალების დიდი ნაწილი პროსტიტუციის მთავარ სირთულედ ფსიქოლოგიურ გამოწვევებს ასახელებს. როგორც დისკუსიებიდან ირკვევა, ძალადობისა და ჯანმრთელობის რისკების თავიდან არიდების მუდმივი ძალისხმევის პარალელურად, სტრესთან გამკლავების უპირველესი მექანიზმი ნივთიერებების მოხმარებაა. აქვე უნდა აღინიშნოს სათემო გაერთიანებების მნიშვნელობა. ძალადობის რისკებისგან ერთმანეთის დაცვაში წვლილის შეტანის გარდა, გამოკითხული ქალები ხშირად საუბრობენ ერთმანეთის მიმართ ზრუნვის მნიშვნელობაზე. თუმცა, ასეთი გამოცდილებები უმეტესად იმ ქალებს შორისაა, რომელთაც ქუჩაში ერთ ტერიტორიაზე ან ერთ სასტუმრო/საუნაში უწევთ მუშაობა. ასეთივე სურათია ტრანსგენდერ ქალებს შორის, რომელთაც ერთმანეთთან არაფორმალური ურთიერთობები აკავშირებთ. მხარდაჭერის მსგავს გამოცდილებაზე ნაკლები წვდომა აქვთ ქუჩაში ცალკე ან ონლაინ მომუშავე ქალებს. მსგავ-

სი კავშირების კიდევ ერთი ბარიერი, რომელზეც გამოკითხული ქალები საუბრობენ, არის კონკურენცია და პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალებს შორის უნდობლობა.

> *„უსაფრთხოდ რომ ვიყოთ, ძირითადად, მარტო ძნელია მუშაობა. მე ასაკიდან გამომდინარე [50 წელს ზემოთ ასაკის რესპონდენტი], არ მაქვს პრობლემა, მაგრამ ძირითადად მარტო არ უნდა ვმუშაობდეთ, რომ გვქონდეს ერთმანეთის იმედი, რომ, თუნდაც გასული იყოს სახლიდან, კლიენტმა იცის, რომ მარტო არ ვარ, ვიღაც მოსასვლელია, ან, ვიღაცამ იცის, რომ ის აქ არის..“.*
> *(ფოკუს-ჯგუფი პროსტიტუციაში ჩაბმულ ონლაინ მომუშავე სისგენდერ ქალებთან)*

## 2.4. მომავლის ხედვა

ამჟამინდელ საჭიროებებზე საუბრისას ფოკუს-ჯგუფების მონაწილე ქალები უპირველესად სოციალურ და ეკონომიკურ საჭიროებებს ასახელებენ. პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების განსაკუთრებულ, ეკონომიკური მოწყვლადობაზე საუბრობენ ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები, განურჩევლად მათი პირადი პირველადი მოტივაციისა და პროსტიტუციით მიღებული შემოსავლის ოდენობისა.

პროსტიტუციაში ჩაბმულ სხვადასხვა სოციალური გამოცდილების ქალებს ერთმანეთისგან განსხვავებული ეკონომიკური საჭიროებები აქვთ. თვისებრივად განსხვავებულია ამ საჭიროებების განმაპირობებელი გარემოებები. მაგალითად: ტრანსგენდერი ქალები უფრო ხშირად საუბრობენ ოჯახის მიერ დევნის და ქონებაზე წვდომის დაკარგვით გამოწვეულ უსახლკარობაზე. სის ქალების ჯგუფებში წუხილები უმეტესად ფოკუსირებულია ბავშვებზე ზრუნვის საჭიროებაზე, რომლებსაც ისინი, მუდმივად გაუმართავ სახელმწიფო ზრუნვის სისტემის გამო, ძირითადად მარტონი უმკლავდებიან. დისკუსიებმა ცხადყო, რომ **საბაზისო პროდუქტებზე და საცხოვრისზე ქირის ფასის ზრდამ, სხვა მოწყვლადი ჯგუფების მსგავსად, განსაკუთრებული ზიანი პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალებსაც მოაყენა.**

*„ძაან ბევრია ჩვენს თემში ბინაც რომ არ აქვს, არც ქირით და ქუჩაში რომ ღამეს ათევენ“.*
*(ფოკუს-ჯგუფი პროსტიტუციაში ჩაბმულ ტრანსგენდერ ქალებთან)*

*„მე არ ვიცი ქუჩაში გოგო იდგეს და თავისი სახლი ქონდეს. ზოგი ვილაცას ყავს შეფარებული. ვინც რეგიონიდანაა, ყველა ნაქირავებშია. აქაურებიც. ყველა“.*

*„ჩვენ ზოგი ერთად ვცხოვრობთ, ქირით. ზოგი ცალკე იყო და ველარ იხდის“.*
*(ფოკუს-ჯგუფი პროსტიტუციაში ჩაბმულ ქუჩაში მომუშავე სისგენდერ ქალებთან)*

*მარტოხელა დედა როდესაც ხარ სამი ბავშვით, რაღაც ხომ უნდა არსებობდეს? 5 ლარს მიხდიდა შევარდნაძე, რაში იცი? უმუშევრობაში. მარტოხელა დედის სტატუსი არ მქონდა, ბავშვები მამის გვარზე იყვნენ. უმუშევარი დედა რომ ვიყავი, სამ ბავშვზე 5 ლარს ვიღებდი. უმუშევარი მრავალშვილიანი დედა.*
*(ფოკუს-ჯგუფი პროსტიტუციაში ჩაბმულ ონლაინ მომუშავე სისგენდერ ქალებთან)*

სახელმწიფოში არსებული რთული სოციალური და ეკონომიკური პირობები გავლენას ახდენს პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების როგორც ამჟამინდელ ცხოვრების ხარისზე, ისე – პერსპექტივის ხედვაზე. სამომავლო გეგმები, როგორც პირისპირი ინტერვიუების ღია კითხვის[53] რესპონდენტებისთვის, ისე ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთათვის, ძირითადად, ბუნდოვანია. რესპონდენტები უმეტესად ამბობენ, რომ ამ საკითხზე არ უფიქრიათ ან რომ არანაირი გეგმა არ გააჩნიათ მომავალთან დაკავშირებით. რესპონდენტთა ნაწილი ბინის შეძენას და ბავშვებზე ზრუნვას გეგმავს, მნიშვნელოვანი ნაწილის მიზანი კი ემიგრაციაში წასვლაა.

როგორც ვნახეთ, პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების ჯგუფში, ქვეყნის შიდა მიგრაცია საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა, უპირველესად

53 იგულისხმება პირისპირი ინტერვიუს ინსტრუმენტის ბოლო კითხვა: B.3. და ბოლოს, მოკლედ რომ მითხრათ, როგორია თქვენი სამომავლო გეგმა/გეგმები?

– ანონიმურობის გარანტიის საჭროების გამო. ქვეყნის გარეთ მიგრაციასთან დაკავშირებით კი ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები უმეტესად საუბრობენ თურქეთსა და ევროპის ქვეყნებში, შრომითი ან დევნილის სტატუსის მიღების მიზნით იძულებითი მიგრაციის გამოცდილებებზე. ასეთი გამოცდილება გამოკითხულებში მხოლოდ ტრანსი ქალების დისკუსიაში გამოიკვეთა.

შრომითი ემიგრაციის ისტორიები ევროპასა თუ თურქეთში ძირითადად არალეგალური, მძიმე პრეკარიული შრომის გამოცდილებებს მოიცავს. მათ შორის არის თურქეთში პროსტიტუციის გამოცდილებებიც. რესპონდენტთა მონათხრობის მიხედვით, თურქეთში არალეგალურად კომერციული სექს საქმიანობისათვის მიგრაცია ძალიან ხშირია პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალებს შორის. ამ, პრაქტიკულად, **ტრეფიკინგში მოხვედრილ ქალებს ხელი არ მიუწვდებათ დაცვის მექანიზმებზე და თავის დაღწევაც, ისევე როგორც სხვა ბარიერებთან გამკლავება, მოხერხებულობასა და გამართლებაზეა დამოკიდებული.**

> *„წარმოიდგინე, ქალს რომ იმდენად ეშინია, რომ აქ არ გაუბაზრდეს და მიდის გაურკვევლობაში, იქაც ეშინია იმას. უბრალოდ ზოგი ყოჩაღია. მე გამოვიპარე ქვია, ხო. ესენი თუ ჩამიგდებდნენ ისევ ხელში, დედას მიტირებდნენ. იყო ესეთი შემთხვევები, რომ ქალები ისეთ ადგილას გაუშვეს, რომ სიკვდილამდე უნდა ეჯიჯგნათ მწყემსებს, მთაში“.*

> *„[თურქეთში] ზოგს ძალიან ცუდად ექცეოდნენ, ზოგს ყიდიდნენ საერთოდ, ერთი სუტინიორიდან მეორე სუტინიორამდე, მზეს არ აჩვენებდნენ საერთოდ, ისე ამუშავებდნენ და თვითონ იღებდნენ ფულს“.*
> *(ფოკუს-ჯგუფი პროსტიტუციაში ჩაბმულ ონლაინ მომუშავე სისგენდერ ქალებთან)*

**მიუხედავად ემიგრაციასთან დაკავშირებული ამ და სხვა რისკებისა, იგი ღირსეული ცხოვრების ერთადერთ შესაძლებლობად განიხილება.** ცხადია, განსხვავდება მოლოდინები დანიშნულების ადგილის მიხედვით. უარეს შემთხვევაში, თურქეთში ემიგრაციაც კი დისკუსიების მონაწილეთათვის უკეთესი პერსპექტივის მომცემია, ვიდრე საქართვე-

ლოში დარჩენა. რესპოდენტების აზრით, ევროპის ქვეყნებში ემიგრაციის შემთხვევაში, მოსალოდნელი ღირსეული შრომის შესაძლებლობები და პირობები, სერვისებზე ხელმისაწვდომობა ორი მთავარი მიზნის მიღწევის წინაპირობაა: სიმშვიდის, საკუთარი ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და ოჯახის წევრებზე (შვილებზე და ხანდაზმულ მშობლებზე) ადექვატური ზრუნვისა. ტრანსგენდერი ქალების შემთხვევაში, ემიგრაციასთან დაკავშირებულ უკვე დასახელებულ ბენეფიტებს, საკუთარი გენდერული იდენტობით დაუფარავად ცხოვრების შესაძლებლობა ემატება, რაც უპირველესი მოტივაციაა ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთათვის.

ფოკუს-ჯგუფების ფარგლებში გამართული დისკუსიებიდან ირკვევა, რომ პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების თემში დაბალია ცნობიერება კომერციული სექს საქმიანობის რეგულირების ინსტრუმენტების შესახებ. დისკუსიები მწირია და როგორც წესი, მოიცავს მხოლოდ ზედაპირულ მსჯელობებს ლეგალიზების ავკარგიანობის შესახებ: ერთი მხრივ, ის განიხილება როგორც საფრთხე ანონიმურობის დაკარგვისა და გადასახადების გადახდის ვალდებულების კონტექსტში, მეორე მხრივ კი, – როგორც რეგულირების მექანიზმი, რომელსაც სახელმწიფო აპრიორი ქალების დაცვის მიზნით განახორციელებს.

# 3. პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალებთან პირისპირი ინტერვიუების რაოდენობრივი შედეგები

## 3.1. საკვლევი ჯგუფის დემოგრაფიული მახასიათებლები

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში საქართველოს სამ დიდ ქალაქში, თბილისში (40%), ქუთაისსა (30%) და ბათუმში (30%), სულ გამოიკითხა 200 რესპონდენტი. ეროვნული თვითიდენტიფიკაციის მიხედვით, გამოკითხულთა მნიშვნელოვანი უმრავლესობა არის ქართველი (87%), თუმცა, მათ შორის არიან სხვადასხვა არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებიც: სომეხი (8 რესპონდენტი), თურქი (4), ოსი (3), ყაზახი (3), აზერბაიჯანელი (2), იეზიდი (2), თითო რესპონდენტი კი თავს მიაკუთვნებს პოლონურ, რუსულ, უკრაინულ და ებრაულ ეროვნულ ჯგუფებს. (დიაგრამა 3.1.1)

**დიაგრამა 3.1.1.**
**რესპონდენტთა განაწილება გენდერის და გამოკითხვის ადგილის მიხედვით (N=200)**



გამოკითხულთა 74.5% (n=149) სისგენდერი ქალია, ხოლო 24.5% (n=51) ტრანსგენდერი ქალი. რაც ეხება ასაკს, რესპონდენტთა ძირითადი ნაწილი 25-34 (25.5%), 35-34 (25%) და 35-44 (29.5%) ასაკობრივ ჯგუფებს წარმოადგენს; რესპონდენტთა მეათედი (10%) – 55-64, ხოლო 9.5% 18-24 ასაკობრივ კატეგორიებში ხვდება. (დიაგრამა 3.1.2.)

**დიაგრამა 3.1.2.**
**რესპონდენთა განაწილება ასაკის და გენდერის მიხედვით (N=200)**




გამოკითხულთა (N=200) 42% პროსტიტუციით დაკავებულია ქუჩაში, მეხუთედზე მეტს (21%) კლიენტები ონლაინ პლატფორმების საშუალებით უკავშირდებიან (სექს-სერვის და გაცნობის ვებ-გვერდები), 17%-ს მხოლოდ ტელეფონის საშუალებით, 12% – სასტუმრო/საუნებში, 8% კი – კაფე-ბარებსა და კლუბებში. **ქუჩაში მომუშავეთა უმეტესობა (41.67%) 45-54 ასაკობრივ ჯგუფშია,** ონლაინ მომუშავეთა ნახევარი (50%) კი – 25-34 ასაკის. მოცემული განაწილების გენდერის ცვლადთან მიმართებაში ანალიზი აჩვენებს, რომ **სისგენდერი ქალები უმეტესად ქუჩაში არიან პროსტიტუციით დაკავებულები, ხოლო ტრანსგენდერი ქალები – ონლაინ პლატფორმების გამოყენებით**. (დიაგრამა 3.1.3.)

**დიაგრამა 3.1.3.**
**რესპონდენტთა განაწილება პროსტიტუციის ტიპისა და გენდერის მიხედვით (N=200)**




ეს მოცემულობა, სავარაუდოდ, დაკავშირებულია გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე თავდასხმის რისკებით, რომელიც ტრანსგენდერი ქალების მკაფიო არანორმატიულ თვითგამოხატვას ახლავს თან – ტრანსგენდერი ქალები ირჩევენ, თავი აარიდონ ქუჩას, როგორც ნაკლებად დაცულ სივრცეს; ამ მხრივ, მართალია, სის ქალების უფრო ნორმატიული თვითგამოხატვა მათ კონკრეტულ შემთხვევებში მეტი მანიპულაციის საშუალებას აძლევს, თავი დაიცვან ძალადობის რისკისგან, მაგრამ შეუძლებელია იმის თქმა, რომ ისინი ნაკლებად ექვემდებარებიან ძალადობას – ქალად ყოფნა და კომერციული სექს საქმიანობა, პატრიარქალური სტრუქტურული ჩაგვრისა და სექსუალობაზე სტიგმის პირობებში, თავისთავად არის მაღალი რისკის ფაქტორი.

ფორმალური განათლების სტატუსის მიხედვით, რესპონდენტთა უმეტესობას (60.5%) სრული (40%) ან არასრული (20.5%) საშუალო განათლება აქვს. პროფესიული განათლება აქვს 15%-ს, სრული უმაღლესი განათლება კი გამოკითხულთა მხოლოდ მეხუთედს (21.5%). შიდა გენდერულ პოპულაციებში ფორმალური განათლების სტატუსის განაწილების მიხედვით, **პროსტიტუციაში ჩაბმულ მეტ ტრანსგენდერ ქალს აქვს უმაღლესი განათლება, ვიდრე სისგენდერ ქალს.** (დიაგრამა 3.1.4.)

**დიაგრამა 3.1.4.**
**რესპონდენტთა განაწილება ფორმალური განათლების დონის და გენდერის მიხედვით (N=200)**




საგულისხმოა, რომ გამოკითხულებში ვხვდებით სხვადასხვა ეტაპზე სწავლის შეწყვეტის მაღალ მაჩვენებელს. მთლიანობაში, დროებით ან სამუდამოდ, სწავლა გამოკითხულთა მესამედზე მეტმა (36%) შეწყვიტა. ეს მაჩვენებელი ტრანსგენდერ პოპულაციაში კიდევ უფრო მაღალია – მათ ნახევარს აქვს სწავლის დროებით ან სამუდამოდ შეწყვეტის გამოცდილება.

სწავლის შეწყეტის მიზეზად სისგენდერი ქალების 11% (n=17) ქორწინებას ასახელებს. ეს მიზეზი **საერთოდ არ სახელდება** ტრანსგენდერი ქალების მიერ. მათი 12% ამბობს, რომ **მშობლებთან კონფლიქტის გამო მოუწია სწავლის მიტოვება,** რაც სისგენდერი ქალებისთვის უცხო გამოცდილებაა (მხოლოდ ერთი რესპონდენტი ასახელებს სწავლის მიტოვების ამ მიზეზს). რესპონდენტთა უმეტესობა კი სწავლის მიტოვების მიზეზად ფინანსურ ბარიერს ასახელებს, მათ შორის, სისგენდერი ქალების მეოთხედი (25.5%) და ტრანსგენდერი ქალების 40%.

ქორწინების სტატუსის მიხედვით, რესპონდენტთა თითქმის ნახევარი (n=95, 47.5%) არის განქორწინებული ან განცალკევებით მცხოვრები,

30% არასდროს ყოფილა ქორწინებაში, 12% არის ქვრივი, 5.5% არის არარეგისტრირებულ, ხოლო 5% რეგისტრირებულ ქორწინებაში.

აღსანიშნავია, რომ **პროსტიტუციაში ჩაბმული გამოკითხული სისგენდერი ქალების დიდი ნაწილი (59.7%) განქორწინებული/განცალკევებით მცხოვრებია,** 16.1% ქვრივია და **მათი მხოლოდ 12.8% არასდროს ყოფილა ქორწინებაში. განსხვავებული სურათი გვაქვს ტრანსგენდერ ქალთა შორის, რომელთა 80.4% არასდროს ყოფილა ქორწინებაში,** 11.8% კი განქორწინებული/განცალკევებით მცხოვრებია.

მსგავსი მიმართებაა სის და ტრანს ქალებს შორის მშობლობის სტატუსის მიხედვითაც: გამოკითხული ტრანსგენდერი ქალების 90%-ზე მეტს (92.2%) არ ჰყავს შვილი. რაც შეეხება სისგენდერი ქალებს, თითქმის 80%-ს (77.2%) ჰყავს სხვადასხვა ასაკის ერთი შვილი მაინც და მათ შორის, გამოკითხულთა მესამედზე მეტის (34.2%) ერთი შვილი მაინცაა არასრულწლოვანი. ამასთან, **განქორწინებული სისგენდერი ქალების მედამედს ჰყავს მინიმუმ ერთი არასრულწლოვანი შვილი.**

რესპონდენტთა თითქმის ნახევარი (n=99, 49.5%) ცხოვრობს მარტო. მათ შორის, ყველა, ვინც მარტო არ ცხოვრობს და ვისი შინამეურნეობაც მოიცავს შვილებს (n=33, 16.5%) სისგენდერი ქალია. მათგან ყოველ მეორეს ერთი მაინც არასრულწლოვანი შვილი ჰყავს, ყოველი მესამე კი ცხოვრობს მშობლებითა და ნათესავებით დაკომპლექტებულ გაფართოებულ ოჯახში.

რესპონდენტთა 12.5% (n=25) ცხოვრობს პროსტიტუციაში ჩაბმულ სხვა ქალებთან, ხოლო 9% (n=18) მეგობართან/მეგობრებთან ერთად. აღსანიშნავია, რომ თანაცხოვრების ეს პრაქტიკა გამოკითხულ ტრანსგენდერ ქალებში უფრო გავრცელებულია, ვიდრე სისგენდერ ქალებში. პროსტიტუციაში ჩაბმულ სხვა ქალებთან ერთად ცხოვრობს ყოველი მეხუთე გამოკითხული ტრანსი და ყოველი მეათე სის ქალი.

მნიშვნელოვანია, რომ **რესპონდენტთა უმრავლესობა (n=143, 71.5%) ცხოვრობს ქირით.** 11.5%-ს (n=23) ეკუთვნის საკუთარი საცხოვრისი. ეს პროპორცია მსგავსია და უმნიშვნელოდ განსხვავდება ამ ორ გენდერულ ჯგუფში. 9%-ის (n=18) საცხოვრისი წარმოადგენს ოჯახის საკუთრებას, 6.5%-ის (n=13) საცხოვრისი უფასო სარგებლობაშია (არ ეკუთვნის, მაგრამ არ იხდის საფასურს), 1% (n=2) გირაობს, ხოლო 1 რესპონდენტი ამბობს, რომ უსახლკაროა. (დიაგრამა 3.1.5.) ამასთან, საინტერესოა, რომ პროპორციულად, ბათუმში გვხვდება ყველაზე მეტი გამოკითხული, ვინც ქირით ცხოვრობს (88.3%), ყველაზე ნაკლები კი – ქუთაისში. (დიაგრამა 3.1.6)

**დიაგრამა 3.1.5.**
**რესპონდენტთა განაწილება საცხოვრისის საკუთრების ტიპის და გენდერის მიხედვით (N=200)**




**დიაგრამა 3.1.6.**
**რესპონდენტთა განაწილება საცხოვრისის ტიპის და გამოკითხვის ქალაქის მიხედვით (N=200)**



## 3.2. საკვლევი ჯგუფის სოციო-ეკონომიკური მახასიათებლები

პირადი ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას გამოკითხულთა ნახევარი (n=101, 50.5%) ამბობს, რომ ფული ყოფნის საკვები პროდუქციისთვის, თუმცა, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე ფულის დაზოგვა უწევს; **ყოველ მეოთხე გამოკითხული (n=52, 26%) ძლივს ყიდულობს საკვებ პროდუქტებს,** მეხუთედს (n=43, 21.5%) ფული ყოფნის საკვებსა და სამოსზე, მაგრამ მანქანის ან ბინის საყიდლად დაზოგვა ან სესხება მოუწევს. გამოკითხულთა მცირე ნაწილი 2% (n=4) ამბობს, რომ შეუძლია ნებისმიერ დროს იყიდოს, რაც სურს. (დიაგრამა 3.2.1.)

**დიაგრამა 3.2.1.**
**პირადი ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება, გენდერული ნიშნით განაწილება (N=200)**




**მათი 70%, ვინც საკვებ პროდუქტებს ძლივს ყიდულობს, 40 და მეტი წლისაა.** ეს კატეგორია ორივე გენდერულ ჯგუფში თითქმის თანაბრად არის წარმოდგენილი.

**გამოკითხულთა პირადი ყოველთვიური შემოსავლის მედიანური მაჩვენებელი არის 1000 ლარი, რაც უმნიშვნელოდ აღემატება ქვეყანაში მედიანურ ხელფასს[54] და დადგენილი საცხოვრებელი ხელფასის[55] დაახლოებით 56%-ს შეადგენს.** გამოკითხული სის ქალების 55.1%-ისა და ტრანსგენდერი ქალების 47.1%-ის ყოველთვიური შემოსავალი ამ მაჩვენებელს არ აღემატება. საცხოვრებელ ხელფასზე მეტი კი გამოკითხული სის ქალების 31.5%, ხოლო ტრანს ქალების 41.2%-ს აქვს.

მნიშვნელოვნად განსხვავდება შემოსავლის რაოდენობა პროსტიტუციის ტიპის მიხედვით. კერძოდ, ქუჩაში მომუშავე ქალების ყველაზე დიდი ნაწილის, დაახლოებით 2/3-ის, შემოსავალი არ აღემატება შემოსავლის მედიანურ მაჩვენებელს მაშინ, როდესაც ონლაინ მომუშავეთა 2/3-ის ყოველთვიური შემოსავალი აღემატება დადგენილ საცხოვრებელ ხელფასს. (დიაგრამა 3.2.2.)

**დიაგრამა 3.2.2.**
**პირადი ყოველთვიური შემოსავალი, პროსტიტუციის ტიპის მიხედვით (N=200)**




54 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021 წლის მონაცემებით განისაზღვრება 900 ლარით

55 ღირსეული შრომის პლარფორმის მონაცემები, www.shroma.ge

ასევე საინტერესოა, ქალაქის მიხედვით პირადი ყოველთვიური შემოსავლის მაჩვენებელი: ქუთაისში გამოკითხულთა თითქმის 60% (58.3%)-ის ყოველთვიური შემოსავალი 2000 და მეტ ლარს შეადგენს, მაშინ როდესაც იგივე მაჩვენებელი თბილისსა (28.8%) და ბათუმში (16.7%) ბევრად დაბალია. ამ ქალაქებში გამოკითხულთა ყველაზე დიდ წილს, დაახლოებით 60-60%-ს, შეადგენენ ისინი, ვისი შემოსავალიც მედიანურ ხელფასზე დაბალია.

## შემოსავლის წყაროები და ხარჯები

**გამოკითხული ქალების 71.5% (n=143) ამბობს, რომ კომერციული სექს საქმიანობის გარდა არ აქვს შემოსავლის სხვა წყარო.** ამ კატეგორიაში გვხვდება სისგენდერი ქალების ¾ზე მეტი (75.8%) და ტრანსგენდერი ქალების ნახევარზე მეტი (52.9%).

მათ შორის, ვისთვისაც პროსტიტუცია ერთადერთი წყაროა, ჭარბობს საქმიანობიდან მიღებული რეგულარული და არარეგულარული შემოსავლის მქონენი (n=26, 13%), მათ შორის, გამოკითხული ტრანსგენდერი ქალების თითქმის მესამედი (31.4%), ხოლო სის ქალების მხოლოდ 6.7%. შესაბამისად, **გამოკითხულთა შორის, სისგენდერი ქალების ჯგუფთან შედარებით ტრანსი ქალების ჯგუფში უფრო მეტს აქვს სხვა საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის წყარო.** გამოკითხულთა 6% (n=12) არარეგისტრირებული თვითდასაქმებულია.

5% (n=10) დახმარებას იღებს ორგანიზაციებისა თუ კერძო პირებისაგან. ყველა მათგანი ტრანსგენდერი ქალია. საპირისპიროდ ამისა, **სოციალური მხარდაჭერის ქსელის** – მეგობრების, ოჯახის წევრების, ინტიმური პარტნიორისა თუ ყოფილი ქმრის სახით, **ფინანსური ხელშეწყობაზე წვდომა უფრო ხშირად სისგენდერ ქალებს აქვთ.**

გამოკითხულთა 4.5% (n=9) იღებს სახელმწიფო დახმარებას, 3% (n=6) სარგებლობს სახელმწიფო სოციალური პაკეტით, 3% საკუთარი შემოსავლის გარდა, სარგებლობს ოჯახის/შინამეურნეობის სხვა წევრების შემოსავლით, 2% კი – ინტიმური პარტნიორის შემოსავლით.

შემოსავლის წყაროებთან ერთად, რესპონდენტებს ვთხოვდით დაესახელებინათ სამი კატეგორია, რომელშიც ძირითადად იხარჯება მათი შემოსავალი. ასეთი კატეგორიებია: საკვები (n=178, 89%), ქირა (n=126, 63%) და თავის მოვლა, ჰიგიენა და კოსმეტიკა (n=69, 34.5%). (დიაგრამა 3.2.3.)

**დიაგრამა 3.2.3.**
**ძირითადი ხარჯები, გენდერული ნიშნით განაწილება (N=200)**




ორივე გენდერული ჯგუფის უმეტესობისთვის ხარჯის ძირითადი ნაწილია საკვები (სის ქალები – 90%, ტრანსი ქალები – 84.3%), ისევე როგორც ბინის ქირა (სის ქალები – 62.4%, ტრანსი ქალები – 64.7%). განსხვავდება მაჩვენებლები თავის მოვლასთან მიმართებაში. კერძოდ, გამოკითხულთაგან ყოველი ათი გამოკითხული ტრასგენდერი ქალიდან შვიდისათვის, ხოლო **ყოველი ათი გამოკითხული სისგენდერი ქალიდან მხოლოდ ორისათვის არის თავის მოვლა, ჰიგიენა და კოსმეტიკა ძირითადი ხარჯების ნაწილი. სისგენდერი ქალების მესამედისთვის (n=49, 32.9%) ძირითადი ხარჯების ნაწილია ბავშვის მოვლა, რასაც გამოკითხული ტრანსგენდერი ქალებიდან არც ერთი არ ასახელებს ხარჯების პირველ სამეულში.**

რაც ეხება სხვა კატეგორიებს, ძირითად ხარჯებში რესპონდენტები ასევე ასახელებენ ტანსაცმელს (n=49, 34.5%), ოჯახის წევრების მხარდაჭერას (n=43, 21.5%), ჯანმრთელობას (n=38, 19%), სესხი/ვალი (n= 21, 10.5%), კომუნალურები (n=11, 5.5%), დანაზოგი (n=6, 3%) და სხვა.

**გამოკითხულთა უმეტესობას (n=170, 85%) არ აქვს დანაზოგი.** მათ შორის, ვისაც აქვს დანაზოგი, ნახევარი არის 25-34 ასაკის. მათი ნახევარი კი, ვისაც არ აქვს დანაზოგი 45-54 წლისაა. (ცხრილი 3.2.4.)

**ცხრილი 3.2.4.**
**გაქვთ თუ არა დანაზოგი? (N=200, ასაკის მიხედვით განაწილება)**

| | 19-24 | 25-34 | 35-44 | 45-54 | 55-64 | 65+ | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დიახ | 10% | 50% | 20% | 16.7% | 3.3% | 0 | 100% |
| 2. არა | 9.4% | 21.9% | 25.9% | 31.7% | 11.2% | 0.6% | 100% |

**გამოკითხულთა ნახევარს (N=200) აქვს სესხი/ვალი.** აქედან, 12.50%-ს პროცენტიანი, უპროცენტო ან ორივე ტიპის სესხი აქვს კერძო პირებისგან. მათ შორის, 3.5%-ს დამატებით პროცენტიანი სესხი აქვს ბანკისგან ან/და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან. **ჯამში, ბანკისგან პროცენტიანი, და მათ შორის იპოთეკური, სესხი აქვს გამოკითხულთა მესამედზე მეტს (36.5%),** 7.5%-ს კი პროცენტიანი სესხი აქვს მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან. 3.5%-ს აქვს სესხი როგორც ბანკისგან, ისე მიკროსაფინანსო ორგანიზაციისგან.

## ფორმალური დასაქმების სტატუსი

ყოველი ათი გამოკითხულიდან რვა (81%) პროსტიტუციის გარდა, ამჟამად არ არის დასაქმებული, მეოთხედზე მეტი კი (27.5%) არც არასდროს ყოფილა დასაქმებული. ეს უკანასკნელი მონაცემი ორივე გენდერულ ჯგუფში თითქმის თანაბარია.

ყოველი ათი გამოკითხულიდან დაახლოებით 1 (10.5%) არის არაფორმალურად დასაქმებული, თითქმის ამდენივე (8.5%) კი – ფორმალურად. საგულისხმოა, რომ ტრანსგენდერი ქალების ჯგუფში პროცენტულად მეტია ვინც დასაქმებულია, ვიდრე სისგენდერი ქალების ჯგუფში: ყოველი ათი გამოკითხული ტრანსი ქალიდან ოთხი (40%) არის ფორმალურად ან არაფორმალურად დასაქმებული მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი სის ქალებში 12%-ა. (ცხრილი 3.2.5.)

**ცხრილი 3.2.5.**
**პროსტიტუციის გარდა, ხართ თუ არა ამჟამად დასაქმებული? (N=200, გენდერული ნიშნით განაწილება)**

| | სისგენდერი ქალი | ტრანსგენდერი ქალი | სულ |
|---|---|---|---|
| 1. დიახ, ფორმალურად | 3.4% | 23.5% | 8.5% |
| 2. დიახ, არაფორმალურად | 8.7% | 15.7% | 10.5% |
| 3. არა | 87.9% | 60.8% | 81.0% |
| **სულ** | **100%** | **100%** | **100%** |

ამჟამად, პროსტიტუციის გარდა **ფორმალურად დასაქმებულთა ნახევარზე მეტი 25-34 ასაკობრივ ჯგუფშია,** ხოლო მათი მესამედზე მეტი, ვისი ერთადერთი საქმიანობის სფერო პროსტიტუციაა – 45-56 ასაკობრივ ჯგუფში. (ცხრილი 3.2.6.)

**ცხრილი 3.2.6.**
**პროსტიტუციის გარდა, ხართ თუ არა ამჟამად დასაქმებული? (N=200, ასაკის ნიშნით განაწილება)**

| | 19-24 | 25-34 | 35-44 | 45-54 | 55-64 | 65+ | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დიახ, ფორმალურად | 7.6% | 52.2% | 6.5% | 23.9% | 9.8% | 0 | 100% |
| 2. დიახ, არაფორმალურად | 5.5% | 13.1% | 33.1% | 41.1% | 7.1% | 0 | 100% |
| 3. არა | 4.9% | 16.8% | 25.1% | 36.5% | 15.7% | 1% | 100% |

ისინი კი, ვინც წარსულში ფორმალურად ან არაფორმალურად ყოფილა დასაქმებული, ორივე გენდერულ ჯგუფში, მცირე სხვაობით, თანაბრად არიან წარმოდგენილი: პროცენტულად, წარსულში არაფორმალურად დასაქმებული სის ქალების რაოდენობა აღემატება არაფორმალურად დასაქმებული ტრანსი ქალების რაოდენობას და პირიქით – წარსულში ფორმალურად დასაქმებული ტრანსი ქალების რაოდენობა აღემატება წარსულში

ფორმალურად დასაქმებული სის ქალების რაოდენობას. (ცხრილი 3.2.7.) **უნდა აღინიშნოს, რომ პროსტიტუციაში ჩაბმული გამოკითხული სისგენდერი ქალების მეოთხედზე მეტი, კომერციული სექს საქმიანობის გარდა არასდროს არსად ყოფილა დასაქმებული.**

**ცხრილი 3.2.7.**
**დასაქმების გამოცდილება წარსულში**

| | სისგენდერი ქალი | ტრანსგენდერი ქალი | სულ |
|---|---|---|---|
| 1. დიახ, ფორმალურად | 33.6% | 39.2% | 35.0% |
| 2. დიახ, არაფორმალურად | 38.9% | 33.3% | 37.5% |
| 3. არა | 27.5% | 27.5% | 27.5% |
| **სულ** | **100%** | **100%** | **100%** |

წარსულში დასაქმებულთა შორის, სამსახურის მიტოვების (n=127, ტრანს n=27, სის n=99) რამდენიმე ძირითადი მიზეზი სახელდება: დაბალი ხელფასი, ცუდი სამუშაო პირობები, მტრული სამუშაო გარემო, საცხოვრებლის შეცვლა და დამსაქმებლის მხრიდან გათავისუფლება.

დაბალი ხელფასი ორივე გენდერულ ჯგუფის დიდი ნაწილისთვის სამსახურის მიტოვების მნიშვნელოვანი ფაქტორია – ტრანსგენდერი ქალების 44.4%-მა და სისგენდერი ქალების ნახევარმა სწორედ ამ მიზეზით მიატოვა სამსახური.

რაც ეხება ცუდ პირობებს, ტრანსი ქალები უფრო ხშირად ტოვებდნენ ამ მიზეზით (n=13, 48.15%) წარსულში სამსახურს, ვიდრე სის ქალები (n=18, 18.2%); ისევე, როგორც მტრულ გარემოს ტრანსი ქალები (n=10, 37%) უფრო ხშირად ასახელებენ სამსახურის მიტოვების მიზეზად, ვიდრე სის ქალები (n=5, 5.1%).

ასევე, სამსახურიდან დამსაქმებლის მიერ გათავისუფლებული, პროპორციულად, ტრანს ქალებს შორის უფრო მეტია (n=6, 22.2%), ვიდრე სის ქალების ჯგუფში (n=7, 7.1%).

## 3.3. სექსუალური ცხოვრება

რესპონდენტთა უმეტესობას (n=35, 17.5%) პირველი სექსი 16 წლის ასაკში ჰქონდა. **სის ქალების ყველაზე დიდ ნაწილს პირველი სექსუალური გამოცდილება 17-19 წლის ასაკში აქვს, ხოლო ტრანსი ქალების ყველაზე დიდ ნაწილს უფრო ადრე, 13-14 წლის ასაკში.** (დიაგრამა 3.3.1.)

**დიაგრამა 3.3.1.**
**ასაკი პირველი სექსუალური გამოცდილების დროს, გენდერული ნიშნით განაწილება (N=200)**




გამოკითხული **სის ქალების სექსუალური გამოცდილება 13 წლის ასაკიდან იწყება. 13 წლამდე პირველი სექსუალური გამოცდილება კი გამოკითხული ტრანსგენდერი ქალების თითქმის მეოთხედს (n=9, 17.7%) ჰქონია.** მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც პირველი სექსუალური აქტის დროს იყვნენ 7 (n=2), 8 (n=1), 10 (n=2), 11 (n=2) და 12 (n=2) წლის.

რაც ეხება პირველ სექსუალურ პარტნიორს, **სისგენდერი ქალების 65%-ს პირველი სექსი ჰქონდა მეუღლესთან/ოფიციალურ პარტნიორთან.** ეს მაჩვენებელი ტრანსგენდერი ქალების შემთხვევაში **2%-ზე ნაკლებია** და მათი უმეტესობისთვის პირველი სექსუალური პარტნიორი არის ნაცნობი (60.8%) ან უცნობი (25.5%) ადამიანი, რომელთანაც რომანტიკულ ანდა ოფიციალურ ურთიერთობაში არ იმყოფებოდნენ. (დიაგრამა 3.3.2.)

**დიაგრამა 3.3.2.**
**პირველი სექსუალური პარტნიორი, გენდერული ნიშნით განაწილება (N=200)**




**დიაგრამა 3.3.3.**
**პირველი სექსუალური პარტნიორი, ასაკის მიხედვით (N=200)**



ასაკის მიხედვით განაწილება კი აჩვენებს, რომ რაც უფრო ახალგაზრდაა რესპონდენტი, მით ნაკლებად ჰქონია პირველი სექსი ოფიციალურ ანდა რომანტიკულ პარტნიორთან. (დიაგრამა 3.3.3.)

რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი (n=160, 80%) ამბობს, რომ პირველი სექსი ჰქონდა ორმხრივი თანხმობის საფუძველზე. დანარჩენი შემთხვევების უმეტესობა გაუპატიურებაზე, „შეცდენასა“ და დაუგეგმავ შემთხვევებზე მოდის.

გენდერული ნიშნით განაწილება აჩვენებს, რომ გამოკითხული ტრანსგენდერი ქალების მეოთხედს პირველი სექსი გაუპატიურების, ან „შეცდენის“/მოტყუების ნიადაგზე ჰქონდა. (დიაგრამა 3.3.4.)

**დიაგრამა 3.3.4.**
**პირველი სექსი და თანხმობა, გენდერული ნიშნით განაწილება (N-200)**



## 3.4. პროსტიტუციაში ჩაბმამდე ძალადობის გამოცდილება ინტიმური პარტნიორის მხრიდან

**ათი გამოკითხულიდან დაახლოებით შვიდი (68.5%) პროსტიტუციაში ჩაბმამდე ერთხელ მაინც გამხდარა ინტიმური პარტნიორის მხრიდან ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური თუ ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლი.** გამოკითხულთა შორის, ძალადობის **ყველა** ფორმის გამოცდილება **ტრანსგენდერი ქალების უფრო დიდ ნაწილს აქვს, ვიდრე – სის ქალების.** თუმცა, მეორე მხრივ, ღირსების შემლახავი მოპყრობისა და ძალადობის სიხშირის მიხედვით, გამოცდილებებს, რომლებიც ორივე გენდერულ ჯგუფში გვხვდება, სის ქალებთან მიმართებაში უფრო ხანგრძლივად განმეორებადი ანდა პერმანენტული სახე აქვს. ეს მოცემულობა შეიძლება აიხსნას სის ქალების ურთიერთობების კონვენციური ხასიათით – **ქორწინებიდან თავის დაღწევა ქალებისთვის უფრო რთულია, მითუმეტეს საერთო შვილების პირობებში, ვიდრე სხვა ტიპის რომანტიკული და სექსუალური ურთიერთობებისაგან.**

### ფიზიკური ძალადობა

პროსტიტუციაში ჩაბმამდე გამოკითხული ქალების 29.5% (n=79) ერთხელ მაინც გამხდარა ინტიმური პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი. მათ შორის, ტრანსგენდერი ქალების 43.1% (n=22) და სის ქალების 24.8% (n=37). მათ შორის, ვინც ერთხელ, ორჯერ და სამჯერ-ოთხჯერ გამხდარა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი ტრანს ჯგუფში უფრო მეტია, ვიდრე სის ქალებს შორის. მაგრამ, ვინც ამბობს, რომ ხუთჯერ ან მეტჯერ გამხდარა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი, სისგენდერი ქალების ჯგუფში მეტია (n=23, 15.4%), ვიდრე ტრანსი ქალების ჯგუფში (n=6, 11.8%). (დიაგრამა 3.4.1.)

### სექსუალური ძალადობა

სხვაობა გენდერულ ჯგუფებს შორის კიდევ უფრო დიდია ინტიმური პარტნიორის მხრიდან სექსთან დაკავშირებული ძალადობის ფორმების გავრცელებასა და სიხშირეში:

არასასურველი სექსუალური კავშირის იძულების მსხვერპლი კი გამხდარა გამოკითხული ტრანსი ქალების 64.7% და სის ქალების 26.9%. ეს

ერთადერთი სექსთან დაკავშირებული ღირსების შემლახავი მოპყრობის გამოცდილებაა, რომელიც პროსტიტუციაში ჩაბმამდე სის ქალების ჯგუფში უფრო მეტ გამოკითხულს ჰქონია ხუთჯერ ან მეტჯერ, ვიდრე ტრანს ქალებს შორის. (დიაგრამა 3.4.2.)

**დიაგრამა 3.4.1.**

**პროსტიტუციაში ჩართვამდე, ინტიმური პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობის გამოცდილება, გენდერული ნიშნით განაწილება (n=79)**




**დიაგრამა 3.4.2.**

**პროსტიტუციაში ჩართვამდე, ინტიმური პარტნიორის მხრიდან არასასურველი სექსუალური კავშირის იძულების გამოცდილება, გენდერული ნიშნით განაწილება (n=73)**



მაშინ როდესაც სის ქალების თითქმის 90% ამბობს, რომ არასდროს ყოფილა ინტიმური პარტნიორის მხრიდან მისთვის შეურაცხმყოფელი სექსუალური პრაქტიკის იძულების მსხვერპლი, ეს გამოცდილება გამოკითხული ტრანსი ქალების ნახევარზე მეტს (n=27, 52.9%) აქვს. მოთხოვნის მიუხედავად უსაფრთხო სექსის საშუალებაზე პარტნიორის მხრიდან უარის გამოცდილება ერთხელ მაინც ჰქონია გამოკითხული ტრანსი ქალების თითქმის 60%-ს (n=30, 58.8%) და სის ქალების 90%-ზე მეტს ასეთი გამოცდილება არ ჰქონია. სექსუალური გზით გადამდები ინფექციით ინტიმური პარტნიორს დაუინფიცირებია ტრანსი ქალების თითქმის ნახევარი, მაშინ როდესაც მსგავსი გამოცდილება სის ქალების მხოლოდ 3%-ს აქვს. სიხშირითაც, ტრანს ქალებს შორის მნიშვნელოვნად მეტია ისეთი, ვისაც ეს უკანასკნელი გამოცდილებები ერთხელ, ორჯერ, სამჯერ-ოთხჯერ ან ხუთჯერ და მეტჯერ ჰქონია.

## ფსიქოლოგიური ძალადობა

პროსტიტუციაში ჩაბმული გამოკითხული ქალებიდან 15% ერთხელ მაინც გამხდარა ცეცხლსასროლი ანდა ცივი იარაღით მუქარისა ან მათ წინააღმდეგ მისი გამოყენების მსხვერპლი ინტიმური პარტნიორის მხრიდან. მათ შორის, ტრანსგენდერი ქალების თითქმის 30% (n=14) და სის ქალების 10%-ზე მეტი (n=16). ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძვირფასი ადამიანებისათვის ზიანის მიყენების მუქარის მსხვერპლი ერთხელ მაინც გამხდარა გამოკითხულთა 13% (n=26). ხუთჯერ ან მეტჯერ მსგავსი შინაარსის მუქარა მიუღიათ მხოლოდ სის ქალებს (n=5). რაოდენობრივად ორივე გენდერულ ჯგუფში ერთსა და იმავე რაოდენობას აქვს მსგავსი გამოცდილება (13 რესპონდენტი თითო ჯგუფში), რაც პროპორციულად ტრანსი გამოკითხულების ჯგუფის უფრო დიდ წილს წარმოადგენს. ინტიმური ხასიათის ფოტოებისა თუ მიმოწერის გასაჯაროებით მუქარის გამოცდილებაც, როგორც რაოდენობრივად, ისე პროპორციულად, უფრო მეტ ტრანსგენდერ ქალს აქვს (n=22, 43.1%), ვიდრე სის ქალებს (n=4. 2.7%). სახლიდან გაგდების მუქარას პერმანენტული სახე (ხუთჯერ ან მეტჯერ გამოცდილება) პროპორციულად და რაოდენობრივად მეტ სის ქალს (n=4) აქვს, ვიდრე ტრანს ქალს (n=1). თუმცა, ტრანსგენდერი ქალების ჯგუფში ეს გამოცდილებაც პროპორციულად მეტისთვისაა საერთო (27.5%), ვიდრე სის ქალების ჯგუფში (12.1%).

რესპონდენტთა 39%-ს (n=78) ინტიმურმა პარტნიორმა ერთხელ მაინც მიაყენა შეურაცხყოფა ან მოექცა იმგვარად, რომ საკუთარ თავზე ცუდი წარმოდგენა შეექმნა. ეს გამოცდილება პროპორციულად ტრანს ქალებს შორის მეტს აქვს (n=30, 58.8%), ვიდრე სის ქალებს (n=48, 32.2%). გამოკითხულთა 32% (n=64) ინტიმური პარტნიორის მხრიდან ერთხელ მაინც გამხდარა სხვების წინაშე დამცირების ან შეურაცხყოფის მსხვერპლი. ეს გამოცდილებაც ტრანს ქალების ჯგუფში პროპორციულად მეტ რესპონდენტს აქვს (43.1%), ვიდრე სის ქალების ჯგუფში (28.2%).

თუმცა, ამ ორი ტიპის ღირსების შემლახავ მოპყრობასთან მიმართებაში, სიხშირის მიხედვით, სის ქალების ჯგუფიდან მეტი ამბობს, რომ ხუთჯერ ან მეტჯერ ჰქონია ამგვარი გამოცდილება ინტიმური პარტნიორის მხრიდან, ვიდრე ტრანს ქალების ჯგუფიდან (პირველ შემთხვევაში (დიაგრამა S.4.7.) პროპორციულად 1.5ჯერ მეტი, მეორეში – 2.5ჯერ მეტი. (დიაგრამა 3.4.3. და 3.4.4.)

**დიაგრამა 3.4.3.**

**პროსტიტუციაში ჩართვამდე, გქონიათ თუ არა შემდეგი გამოცდილება ინტიმური პარტნიორის მხრიდან: შეურაცხყოფა მოგაყენათ ან ისე მოიქცა, რომ საკუთარ თავზე ცუდი წარმოდგენა შეგექმნათ? გენდერული ნიშნით განაწილება (N=n-78)**



**დიაგრამა 3.4.4.**

**პროსტიტუციაში ჩართვამდე, გქონიათ თუ არა შემდეგი გამოცდილება ინტიმური პარტნიორის მხრიდან: შეურაცხყოფა მოგაყენათ ან დაგამცირათ სხვების წინაშე? გენდერული ნიშნით განაწილება (n=64)**




გამოკითხულთა 16.5% ამბობს, რომ ერთხელ მაინც ყოფილა შემთხვევა, როდესაც ინტიმური პარტნიორი უგზავნიდა მუქარისა და სიძულვილის გამომხატველ წერილებსა და მეილებს. მსგავსი გამოცდილება ერთხელ მაინც ჰქონია გამოკითხული ტრანსი ქალების 43.1%-სა (n=22) და სის ქალების 6.7%-ს (n=10).

გამოკითხულთა 8%-ს აქვს გამოცდილება, როდესაც ინტიმური პარტნიორი ინტერნეტის საშუალებით აკეთებდა მათ მიმართ/შესახებ შეურაცხმყოფელ კომენტარებს. მათ შორის ყველა ტრანსი ქალია.

ყოველ მეათე გამოკითხულ ქალს ინტიმური პარტნიორის მხრიდან განუცდია მანიპულაციის მიზნით ურთიერთობაზე უარი და იგნორი. ეს გამოცდილება ტრანსი ქალების 47% და სის ქალების 10%-ისთვისაა საერთო. ამ შემთხვევაშიც, სის ქალების გამოცდილებას უფრო პერმანენტული ხასიათი აქვს, ვიდრე ტრანსი ქალების გამოცდილებას.

გამოკითხულთა 30% (n=60) გამხდარა ინტიმური პარტნიორის მხრიდან ოჯახის წევრებთან ანდა მეგობრებთან ურთიერთობის აკრძალვის მსხვერპლი. მეგობრებთან ურთიერთობის აკრძალვის გამოცდილება ტრანსი ქალების ნახევარზე მეტს (54.0%) და სის ქალების მეხუთედზე მეტს (21.5%) გამოუცდია ინტიმური პარტნიორის მხრიდან. ოჯახის წევ-

რებთან ურთიერთობის აკრძალვას რაც ეხება, სის ქალების 14.1%-სა და ტრანსი ქალების 29.4%-ს გამოუცდია. ორივე გამოცდილება ერთ რესპონდენტს ხუთჯერ ან მეტჯერ პროპორციულად სის ქალების ჯგუფში უფრო ხშირად ჰქონია, ვიდრე ტრანსი ქალების ჯგუფში.

ინტიმური პარტნიორის მხრიდან ჩაცმულობისა და გარეგნობის კონტროლის გამოცდილება ერთხელ მაინც ჰქონია გამოკითხული ქალების მესამედს. მათ შორის, ტრანსგენდერი ქალების ნახევარზე მეტსა (n=28, 54.9%) და სის ქალების მეოთხედზე მეტს (25.5%, n=38). ხუთჯერ ან მეტჯერ ამგვარი შეზღუდვის გამოცდილებაც სის ქალების უფრო დიდ ნაწილს ჰქონია (17.5%), ვიდრე ტრანსი ქალებისას (13.7%).

### ეკონომიკური ძალადობა

ინტიმური პარტნიორის მხრიდან ერთი მხრივ მუშაობის აკრძალვისა ანდა მეორე მხრივ, ნების საწინააღმდეგოდ შემოსავლის წართმევის გამოცდილება ერთხელ მაინც ჰქონია გამოკითხულთა თითქმის 40%-ს (n=78). მუშაობის აკრძალვის გამოცდილება ჯამში გამოკითხული სის ქალების 16.1%-სა და ტრანს ქალების მესამედს აქვს. ხუთჯერ ან მეტჯერ ამგვარი შეზღუდვის მსხვერპლი ყოველი მეათე სის ქალი და ტრანსი ქალების 5.9% გამხდარა.

ინტიმური პარტნიორის მხრიდან შემოსავლის წართმევის გამოცდილება ორივე გენდერულ ჯგუფში ერთსა და იმავე რაოდენობის ქალებს აქვთ (18 რესპონდენტი თითო ჯგუფში). პროპორციულად, ეს მონაცები ტრანსი ქალების ჯგუფის მესამედზე მეტს (35.39%-ს) და სის ქალების მეათედზე მეტს (12%) გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ ძალადობის ეს ფორმაც, ტრანს ქალებთან შედარებით (5.88%), მეტი სის ქალის (6.71%) მიმართ ატარებს პერმანენტულ ხასიათს.

## 3.5. პროსტიტუციასთან დაკავშირებული გამოცდილება

### პროსტიტუცია, როგორც გასაიდუმლოებული საქმიანობა

**გამოკითხულთა სამ მეოთხედზე მეტის კომერციული სექს საქმიანობის შესახებ, პროსტიტუციაში ჩართული სხვა ადამიანების გარდა, მათთვის მნიშვნელოვანი ადამიანებიდან არავინ (32%) ან მხოლოდ მცირე ნაწილმა (44%) იცის.** 7% ამბობს, რომ დიდმა ნაწილმა, ხოლო

8.5%-ის შემთხვევაში ყველამ ან თითქმის ყველამ მათთვის მნიშვნელოვანი ადამიანებიდან იცის მათი კომერციული სექს საქმიანობის შესახებ. 8.5%-ს კი უჭირს პასუხის გაცემა. (დიაგრამა 3.5.1.)

**დიაგრამა 3.5.1.**
**პროსტიტუციაში ჩართული სხვა ადამიანების გარდა, მთლიანობაში, თქვენთვის მნიშვნელოვანი ადამიანებიდან რამდენმა იცის თქვენი კომერციული სექს საქმიანობის შესახებ? გენდერული ნიშნით განაწილება (N=200)**




**გენდერული ნიშნით განაწილება აჩვენებს, რომ როგორც სისგენდერ, ისე ტრანს ქალებს, კომერციული სექს საქმიანობის შესახებ უმეტესად არ აქვთ გამჟღავნებული მათთვის მნიშნელოვანი ადამიანებისთვის. თუმცა, სისგენდერ ქალებს მეტად გასაიდუმლოებული აქვთ ეს ინფორმაცია სხვა ადამიანებისათვის, ვიდრე ტრანს ქალებს.**

## პროსტიტუციაში ჩაბმის წინაპირობა: გარემოებები, შუამავლები, მიზეზები

**ყოველი მეათე გამოკითხული ქალი არასრულწლოვანი იყო როდესაც პროსტიტუციაში ჩაება.** პროპორციულად, გამოკითხული ტარნსგენდერი ქალები (27.5%) დაახლოებით შვიდჯერ უფრო ხშირად ერთვე-

ბიან პროსტიტუციაში არასრულწლოვან ასაკში, ვიდრე სის ქალები (4%). რესპონდენტთა ყველაზე დიდი წილი (39%) პროსტიტუციას 25-34 წლის ასაკში იწყებს, მეხუთედზე მეტი (27%) 18-24 წლის ასაკში, 35-44 წლის ასაკში კი თითქმის მეოთხედი (18%). **ტრანსი ქალების პროსტიტუციაში ჩაბმის უგვიანესი ასაკი 36 წელია, გამოკითხული სის ქალებისა კი – 53.** თუმცა, ეს მონაცემი ლიმიტირებული შერჩევის პირობებში რაიმე კონკრეტული მტკიცების საფუძველს არ იძლევა, რამდენადაც პროპორციულად გამოკითხული ტრანსი ქალები უფრო ახალგაზრდები არიან.

**კვლევის მონაცემები ცხადყოფს, რომ პროსტიტუციაში ჩაბმის გადაწყვეტილებას გამოკითხული სხვადასხვა სოციალური გამოცდილებების მქონე ქალებისათვის უპირველასად ეკონომიკური ფაქტორები განაპირობებს. თავისუფალი ნება, სურვილი და ინტერესი კი უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ მეორეხარისხოვან განწყობას წარმოადგენს.**

პირველი კომერციული სექსის მიზეზი შემთხვევათა 94%-ში ეკონომიკურია. მათ შორის, გამოკითხულთა თითქმის მეხუთედისათვის (n=47. 23.5%) პროსტიტუციაში ჩაბმის მიზეზს საბაზისო საჭიროებების (საკვები, საცხოვრისი, ტანსაცმელი) დაკმაყოფილება წარმოადგენს. აქედან, გამოკითხულთა 6.5%-ის დამატებით მიზეზს ფინანსური ვალის დაფარვის ან/და შვილის მოვლასთან დაკავშირებული ვალდებულებები წარმოადგენს. ფინანსური ვალის დაფარვის ვალდებულება პირველად მიზეზად სახელდება გამოკითხულთა 17%-ის მიერ, ხოლო **შვილის მოვლის ვალდებულება გამოკითხულთა 14.5%-ის მიერ. ეს უკანასკნელი საერთოა მხოლოდ სისგენდერი ქალებისათვის (n=29, გამოკითხული სის ქალების 19.46%).**

**გამოკითხული ქალების 7% პროსტიტუციაში ჩაბმის პირველად მიზეზთა შორის ცნობისმოყვარეობას ასახელებს. თუმცა, აქედან მხოლოდ 2% ამბობს რომ ეს იყო ერთადერთი მიზეზი,** მათ შორის ტრანს ქალების 21.6% (n=11) და სის ქალების 2% (n=3), დანარჩენი 5%-ისთვის კი (n=10, ტრანსი ქალების 19.6%) ცნობისმოყვარეობა ისეთ ეკონომიკურ ფაქტორებთან იკვეთება, როგორიცაა ფულის გამომუშავების სურვილი, ფინანსური ვალის დაფარვის ვალდებულება და საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილება.

საკუთარი სურვილი, ცნობისმოყვარეობის მსგავსად, გამოკითხულთა 7%-ის (n=14) მიერ სახელდება პროსტიტუციაში ჩაბმის პირველად მიზეზად. მათ შორის, სის ქალების 7.4% (n=11) და ტრანს ქალების 5.9%

(n=3). საერთო მაჩვენებლის ნახევარი იკვეთება ისეთ ეკონომიკურ ფაქტორებთან, როგორიცაა ფულის გამომუშავების სურვილი, შვილის მოვლის ვალდებულება, ფინანსური ვალის დაფარვის ვალდებულება და საბაზისო საჭიროების დაკმაყოფილება. შესაბამისად, **ცნობისმოყვარეობის მსგავსად, გამოკითხულთა მხოლოდ მცირე ნაწილისათვის (3.5%), სის ქალების 4%-ისა (n=6) და 1 გამოკითხული ტრანსი ქალისათვის, არის საკუთარი სურვილი პროსტიტუციაში ჩაბმის ერთადერთი მიზეზი.** სის ქალები ასევე ასახელებენ პროსტიტუციაში ჩაბმის ისეთ პირველად მიზეზებს, როგორიცაა იძულება სხვა ადამიანის მხრიდან (n=3) და საკუთარი ჯანმრთელობის საჭიროებები (n=1).

ისევე როგორც თავდაპირველი არჩევანის განმაპირობებლად, კომერციული სექს საქმიანობის ამჟამინდელ მიზეზადაც გამოკითხულთა უმეტესობა ეკონომიკურ მიზეზს ასახელებს. (დიაგრამა 3.5.2.)

**დიაგრამა 3.5.2.**
**რა არის კომერციულ სექს საქმიანობაში ამჟამინდელი მიზეზი? (N=200)**




**გამოკითხულთა 91.5%-ისათვის, მათ შორის, სის ქალების 91.3%-ისა (n=136) და ტრანსი ქალების 96.1%-ისათვის (n=47), ამჟამად პროსტიტუციის მთავარი განმაპირობებელი ფულის გამომუშავების სურვილი და საჭიროებაა.** მათ შორის, ვინც ამბობს, რომ ამჟამად პროსტიტუციის მიზეზი საკუთარი ნებაა, არის სის ქალების 7.4% (n=11) და ტრანს ქალების 6% (N=3).

გამოკითხულთა უმეტესობას (n=112, 56%) ჰყავდა შუამავალი კომერციულ სექს საქმიანობაში ჩართვისათვის. უმეტეს წილად ესენი არიან პროსტიტუციაში ჩაბმული სხვა ქალები, რომელიც რიგ შემთხვევაში რესპონდენტთა ახლო გარემოცვას წარმოადგენენ – არიან მეგობრები, ახლობლები და ოჯახის წევრები.

გამოკითხულთა თითქმის ნახევარი (n=95, 47.5%) ამბობს, რომ თავდაპირველად თავად მოიძია სამუშაო ადგილი და კლიენტები, თუმცა მათი ნაწილისთვისაც (n=5) გარკვეული ტიპის შუამავლობა საქმიანობაში ჩასართავად მაინც გაწია პროსტიტუციაში ჩაბმულმა სხვა ქალმა. გამოკითხულთა უმეტესობისთვის პირი, ვისი შუამავლობითაც პროსტიტუციაში ერთვება, უმეტესად, პროსტიტუციაში ჩაბმული სხვა ქალია (n=65, 32.5%). მათ შორის, მეოთხედზე მეტისათვის (n=14, ამ ჯგუფის 21.5%) საქმიანობაში თავდაპირველი შუამავალი აღნიშნული ქალი მისი მეგობარი იყო ანუ, არაფორმალური ურთიერთობა აკავშირებდა. **უნდა აღინიშნოს, რომ ტრანსგენდერ ქალებს შორის უფრო მეტს ჰყავდა პროსტიტუციაში ჩაბმული სხვა ქალის სახით შუამავალი (n=29, 56.9%), ვიდრე სის ქალებს შორის (n=36, 24.2%).**

გამოკითხული ქალების ნაწილისთვის (n=8) პირველად შუამავალს პროსტიტუციაში წარმოადგენს ოჯახის წევრები და ახლობლები, როგორიცაა და, მშობელი/მშობლები, დედინაცვალი, ნათესავი, ნათლია და ინტიმური პარტნიორი / მეუღლე (სის ქალების ჯგუფიდან n=2). ქუჩაში მომუშავე ამ ქალებისათვის ნაწილისთვის (n=2) კი ეს იყო ნაცნობი – მეზობელი და ტაქსის მძღოლი, ვინც შემდგომში სუტენიორის / „მამაშას“ ფუნქციას წევს. დეკლარირებულად უშუალოდ სუტენიორის ფუნქციით მომუშავე ადამიანი აღმოჩნდა პროსტიტუციაში რესპონდენტთა 4%-ისათვის.

## „მამაშა” / სუტენიორი

პროსტიტუციაში თავდაპირველი შუამავლის მონაცემებითაც ჩანს, რომ სუტერნიორის, ან, მინიმუმ, ქალების დარეკრუტების ფუნქციას, თავად პროსტიტუციაში ჩაბმული ქალები ითავსებენ.

გამოკითხულთა 17%, მათ შორის, სის ქალების 18.8% (n=28) და ტრანს ქალების 11.8% (n=6), ამბობს, რომ ჰყოლია ან ამჟამად ჰყავს სუტენიორი/ “მამაშა“. მათი ნახევარი ამბობს, რომ „მამაშა“ მათ შემთხვევაში იყო/არის პროსტიტუციაში ჩაბმული სხვა ქალი, მესამედისთვის კი – იმ სასტუმროს

/ბარის ადმინისტრატორი ან მეპატრონე, სადაც იმ პერიოდისთვის მუშაობდნენ. დანარჩენ შემთხვევებში (4%) მამაშას ფუნქცია არის ექსკლუზიური კონკრეტული ადამიანისათვის, რომელიც უმეტესად არის ქალი და ზოგიერთი გამოკითხულის შემთხვევაში ტაქსის მძღოლი (n=1) ან მეუღლე / ინტიმური პარტნიორი (n=2).

მათი უმეტესი წილი, ვინც ოდესმე გარიგებაში ყოფილა „მამაშა“ / სუტენიორთან (n=15, 7.5%), ამბობს, რომ სარგებლის სახით მისგან უსაფრთხოებას იღებდა; რესპონდენტები „მამაშასგან“ მიღებულ სარგებლად ასახელებენ უფასო საცხოვრისს (2.5%), უფასო ტრანსპორტირებას (1.5%), უფასო ტანსაცმელსა (1%) და უფასო კვებას (1%). **აღსანიშნავია, რომ არ იკვეთება სარგებლის ტიპის კორელაცია რესპონდენტთა გენდერულ ჯგუფთან, ასაკთან, პროსტიტუციის ტიპთან ან სუტენიორის ვინაობასთან.**

გამოკითხულთა ამ ნაწილიდან თითქმის ყველა (n=31) ამბობს, რომ საკუთარი სურვილის შემთხვევაში შეეძლო/შეუძლია გაწყვიტოს თანამშრომლობა სუტენიორთან. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში (n=3) გარიგებიდან გამოსვლა შესაძლებელია მხოლოდ ფინანსური საფასურის სანაცვლოდ.

მათი თითქმის მეოთხედი, ვისაც ჰყოლია სუტენიორი/“მამაშა“ (n=8, 23.5%) ამბობს, რომ ერთხელ მაინც გამხდარა მისგან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი. მეათედზე მეტი (11.8%) სუტენიორს ერთხელ მაინც შეუვიწროვებია სექსუალურად; 41.2% ერთხელ მაინც გამხდარა ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი; 38.2% კი – ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლი. ასევე, თითქმის მესამედს (29.4%) სუტენიორი უკონტროლებდა ჩაცმულობასა და გარეგნობას. ჯამში, **თუ რესპონდენტს სუტენიორის მხრიდან აქვს ძალადობის გამოცდილება, ეს არ არის ერთეული შემთხვევა, როგორც წესი, განმეორებადია და მოიცავს სხვადასხვა სახის ძალადობას.**

## ძალადობა კლიენტის მხრიდან

გამოკითხულთა 74%, მათ შორის, სისგენდერი ქალების 65.8% (n=98) და ტრანსი ქალების 98% (n=50), ბოლო ორი წლის მანძილზე ერთხელ მაინც გამხდარა ძალადობის მსხვერპლი კლიენტის მხრიდან.

გამოკითხულთა თითქმის **მესამედი (n=65, 32.5%) ერთხელ მაინც გამხდარა კლიენტის მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი.** მათგან სამჯერ და მეტჯერ ძალადობის მსხვერპლი გამხდარა გამოკითხული ტრანსგენდერი ქალების 27.5% (n=14) და სის ქალების 8.1%. გამო-

კითხულთა 18%-ს (n=36) კლიენტი ერთხელ მაინც დამუქრებია იარაღით ან გამოუყენებია ის მის წინააღმდეგ. ეს გამოცდილება გამოკითხული ტრანსი ქალების თითქმის ნახევარს (n=25, 49%) და სის ქალების მცირე ნაწილს (n=11, 7.5%) აქვს.

**სექსუალური ძალადობა კლიენტის მხრიდანაც მეტად გავრცელებულია ტრანსი ქალების გამოცდილებაში როგორც რაოდენობრივად, ისე სიხშირით, ვიდრე სის ქალებს შორის.** გამოკითხულთა 48% ერთხელ მაინც გამხდარა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი კლიენტის მხრიდან. სექსუალური ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმა, მოთხოვნის მიუხედავად კონდომის გამოყენებაზე უარია, რისი გამოცდილებაც ტრანსი ქალების 78.4% (n=40) და სის ქალების 37.6% (n=56) ერთხელ მაინც ჰქონია. ბოლო ორი წლის მანძილზე სამჯერ და მეტჯერ ტრანსი ქალების 39.2%-ს და სის ქალების მეოთხედს (25.5%) ჰქონია მსგავსი გამოცდილება.

მათ შორის, **ვინც კლიენტმა აივით დააინფიცირა (n=42) უმეტესობაც ტრანსი ქალია:** მთელი ჯგუფის ნახევარზე მეტს (51%) ჰქონია ასეთი გამოცდილება ბოლო ორი წლის მანძილზე, სის ქალების ჯგუფში ეს მაჩვენებელი 11.4%-ს შეადგენს.

გამოკითხულთა 23.5% ბოლო ორი წლის მანძილზე ერთხელ მაინც გამხდარა მისი ნების საწინააღმდეგოდ სექსუალური კავშირის იძულების მსხვერპლი. მათ შორის, ტრანსი ქალების 62.7% (n=32) და ყოველი მეათე სის ქალი (n=15, 10.1%). გამოკითხული ტრანსი ქალების 17.6%სა და 3.4%-ს ჰქონდა ამგვარი გამოცდილება ბოლო ორი წლის მანძილზე სამჯერ და მეტჯერ.

გამოკითხულთა 21.5%-ს, მათ შორის, ტრანსი ქალების ნახევარზე მეტსა (n=28, 54.9%) და ყოველ მეათე (n=15, 10%) სის ქალს, კლიენტის მხრიდან ბოლო ორი წლის მანძილზე ერთხელ მაინც გამხდარა მისთვის შეურაცხმყოფელი სექსუალური პრაქტიკის იძულების მსხვერპლი. ასეთი გამოცდილება აქვს მეოთხედზე მეტს.

**გამოკითხული ქალების 43.5% ბოლო ორი წლის მანძილზე ერთხელ მაინც გამხდარა ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი.** სის ქალების 26.2%-სა (n=38) და ტრანსი ქალების 68.6%-ს (n=49) ერთხელ მაინც გამხდარა კლიენტისგან იმგვარი შეურაცხყოფის მსხვერპლი, რაც საკუთარ თავზე ცუდ შთაბეჭდილებას შეუქმნიდა. სხვების წინაშე შეურაცხყოფის და დამცირების მსხვერპლი კი გამოკითხული ქალების თითქმის მესამედი (32.5%) გამხდარა ბოლო ორი წლის მანძილზე. მათ შორის, ტრანსი ქალების ნახევარზე მეტი (n=29, 56.9%) და სის ქალების თითქმის მეოთხედი (n=36, 24.16%).

**დიაგრამა 3.5.3.**

**ბოლო ორი წლის მანძილზე, გქონიათ თუ არა შემდეგი გამოცდილება კლიენტის მხრიდან: შეთანხმების მიუხედავად, ფულის გადახდაზე უარი / ნაკლების გადახდა? პროსტიტუციის ტიპის მიხედვით (N=200)**




გამოკითხულთა 17.5%-ს (n=35) ერთხელ მაინც მიუღია კლიენტისგან მუქარის ან სიძულვილის გამომხატველი შეტყობინებები. ამ გამოცდილებას, თითქმის, თხუთმეტჯერ უფრო ხშირად ვხვდებით ტრანსი ქალების (n=30, 58.8%,) ჯგუფში, ვიდრე სის ქალებთან (n=5, 3.4%).

გამოკითხულა თითქმის მეხუთედს (n=39, 19.5%) ბოლო ორი წლის მანძილზე ერთხელ მაინც მიუღია კლიენტისაგან მუქარა სექს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ. ოდნავ ნაკლებს (n=35, 17.5%) კი – ინტიმური ხასიათის მიმოწერის/ფოტოების გასაჯაროების. პირველი ტიპის მუქარის შინაარსი თითქმის სამჯერ ხშირად (ტრანს n=27, სის n=12) გვხვდება ტრანსი ქალების გამოკითხულ ჯგუფში, ხოლო მეორე – თითქმის ხუთჯერ (ტრანს n=29, სის n=6).

**კლიენტის მხრიდან ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმა ეკონომიკურია** – როდესაც შეთანხმების მიუხედავად, ფულის გადახდაზე უარს ამბობენ ან ნაკლებს იხდიან. ეს გამოცდილება გამოკითხული ქალების 59.5%-ისათვის (n=119) საერთოა. მათ შორის, სის ქალების 49.6%-ისა (n=74) და ტრანს ქალების 88.2%-ისათვის (n=45). ექსპლუატაციის ეს ფორმა კლიენტების მიერ ხშირად მიემართება ყველას, განურჩევლად პროსტიტუციის ადგილისა და ტიპისა, თუმცა, ყველაზე იშვიათად სასტუმრო/საუნებში მომუშავე ქალებს. (დიაგრამა 3.5.3)

## მიგრაცია

მნიშვნელოვანია, რომ ამჟამინდელ ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილამდე, რესპონდენტთა დიდი ნაწილი (45.6%) სხვა ქალაქში/სოფელში/დაბაში ცხოვრობდა. **მიგრაციის ეს მაჩვენებელი თითქმის თანაბარია ორივე გენდერულ ჯგუფში, რაც მიგვანიშნებს ზოგადად პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების ქვეყნის შიდა მიგრაციის სიხშირეზე.**

რაც ეხება უცხო ქვეყანაში მიგრაციას, გამოკითხულთა მესამედი ამბობს, რომ ყოფილა უცხო ქვეყანაში კომერციულ საქმიანობაში ჩაბმული. პროპორციულად, ორჯერ მეტი ტრანსგენდერი ქალი ყოფილა უცხო ქვეყანაში კომერციულ სექს საქმიანობაში (n=26, 51%) ჩართული, ვიდრე სის ქალი (n=42, 28.2%), რაც გამოკითხული ტრანსი ქალების ნახევარზე მეტსა და სის ქალების მეოთხედზე მეტს წარმოადგენს. პროსტიტუციის ტიპის მიხედვით, ამჟამად ქუჩაში მომუშავე ქალებს აქვთ ყველაზე ხშირად უცხო ქვეყანაში პროსტიტუციის გამოცდილება; ხოლო ქალაქის ნიშნით განაწილების მიხედვით, ამჟამად ბათუმში მომუშავეებს. (დიაგრამები 3.5.4.; 3.5.5.; 3.5.6.)

**დიაგრამა 3.5.4.**
**უცხო ქვეყანაში მიგრაციის გამოცდილება, გენდერული ნიშნით განაწილება (N=200)**



**დიაგრამა 3.5.5.**
**უცხო ქვეყანაში მიგრაციის გამოცდილება, პროსტიტუციის ტიპის მიხედვით (N=200)**




**დიაგრამა 3.5.6.**
**უცხო ქვეყანაში მიგრაციის გამოცდილება, ქალაქის მიხედვით (N=200)**



უცხო ქვეყანაში მიგრაციის გამოცდილების მქონე გამოკითხულთა 80%-ზე მეტი (82.4%), უმეტესობა როგორც ტრანს (ჯგუფის 37.3%), ისე სის ქალებს შორის (ჯგუფის 24.8%), თურქეთში ყოფილა კომერციულ სექს საქმიანობაში ჩართული. თურქეთში კომერციული სექს საქმიანობისთვის მიგრაცია ყველაზე ხშირია ბათუმში გამოკითხულთა შორის (n=25/N=56).

მეხუთედზე მეტი (22%) კომერციულ სექს საქმიანობაში ჩართული ყოფილა არაბთა გაერთიანებულ საამიროებში; ყოველი მეათე (10.3%) – ევროკავშირის ქვეყნებში; მცირე ნაწილი კი რუსეთსა (n=2) და აზერბაიჯანში (n=1). **პროპორციულად, ყველა ჩამოთვლილ ქვეყანაში/რეგიონში ტრანსგენდერი ქალების ჯგუფიდან მეტს აქვს კომერციული სექს საქმიანობის გამოცდილება, ვიდრე სის ქალების ჯგუფიდან.**

მიგრაციის გამოცდილების მქონე გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (n=38, 55.9%) ამბობს, რომ უცხო ქვეყანაში წასვლაში არავინ დახმარებია; თითქმის მესამედს (n=21, 30.9%) პროსტიტუციაში ჩაბმული სხვა ქალი მიეხმარა, რომელთანაც მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს, ყოველ მეათეს (n=7, 10.3%) კი – სუტენიორი. გამოკითხულთა მიერ დასახელებულ დანარჩენ შუამავლებს არ აქვთ კავშირი პროსტიტუციასთან – არიან ნაცნობები ან მეგობრები.

უცხო ქვეყანაში ერთხელ მაინც მიგრირებულთა 30.9% (n=21) ამბობს, რომ არ ჰქონია მიზნად უცხო ქვეყანაში დიდი ხნით ან სამუდამოდ დარჩენა, მეოთხედი (n=17) ძირითადად სასურველი თანხის გამომუშავების შემდეგ ბრუნდება საქართველოში. 7%-ისათვის ამ გარემოებებს საქართველოში დაბრუნების მიზეზად ემატება ოჯახზე ზრუნვის ვალდებულება, რაც, ჯამში, მიგრანტების 22%-ისათვის არის საერთო, პროპორციულად, ტრანსი და სის ქალებისათვის თითქმის თანაბრად (ორივე ჯგუფის დაახლოებით 7%).

საზღვარგარეთ საქმიანობის მიტოვებისა და საქართველოში დაბრუნების მიზეზთა შორის გამოკითხულები ასევე ასახელებენ სუტენიორის არაკეთილსინდისიერებას (n=5/68, 7.4%), დაწესებულებაში ღირსების შემლახავ მოპყრობას და ძალადობას (n=4/68, 5.9%), უსაფრთხოების რისკებს (n=4, 5.9%), ჯანმრთელობის რისკებს (n=4/68, 7.4%) და ნოსტალგიას (n=1, ტრანს ქალების ჯგუფი).

რიგ შემთხვევებში კი პროსტიტუციაში ჩაბმული მიგრანტები საქართველოში უცხო ქვეყნიდან დეპორტაციის (n=14/N=68, 20.6%) შედეგად ბრუნდებიან. დეპორტაციის ქვეყანა ყველა შემთხვევაში არის თურქეთი, დეპორტირებულების უმეტესობა კი ბათუმში მაცხოვრებელი სის ქალია (n=10/12).

## 3.6. ჯანმრთელობა

### უსაფრთხო სექსი და პროფილაქტიკა

გამოკითხულთა 89%-ს ამჟამად ყველაზე ხშირად სექსი აქვს კლიენტთან, დანარჩენს კი მეუღლესთან / სხვა პარტნიორთან. მათი ნახევარი, ვისაც ყველაზე ხშირად სექსი მეუღლესთან/არაფორმალურ პარტნიორთან აქვს, 10 და ნაკლები წელია რაც დაკავებულია პროსტიტუციით. შესაბამისად, **რაც უფრო დიდი ხანია ქალი პროსტიტუციაში ჩაბმული, მით უფრო მოცულია მისი სექსუალური ცხოვრება კლიენტის მომსახურებით.**

კონდომის გამოყენების სიხშირის მაჩვენებელი გენდერული ნიშნით განაწილების მიხედვით, ტრანსგენდერი ქალები სის ქალებთან შედარებით ნაკლებად იყენებენ კონდომს კლიენტთან, ხოლო სხვა პარტნიორებთან – მეტად.

გამოკითხულთა 53% ამბობს, რომ რეგულარულად, წელიწადში ორჯერ მაინც იტარებს პროფილაქტიკურ ტესტირებას სექსუალური გზით გადამდებ ინფექციებზე, 19% – რეგულარულად, წელიწადში ერთხელ მაინც, 13% – როდესაც აქვს შესაძლებლობა, 11.5% – მხოლოდ სიმპტომების არსებობის შემთხვევაში, 3.5% კი – არასდროს.

მათ შორის, ვინც ტესტირებას რეგულარულად იტარებს სექსუალური გზით გადამდებ ინფექციებზე – თბილისში მაცხოვრებლები ჭარბობენ, ხოლო, მათ შორის, ვინც არასდროს – ბათუმში მაცხოვრებლები. (დიაგრამა 3.6.1.) ბათუმში სექსუალური გზით გადამდებ ინფექციებზე ტექსტირების პრაქტიკა მეტადაა დაკავშირებული ფინანსურ შესაძლებლობასთან, ვიდრე სხვა ქალაქებში.

მათ შორის, ვინც არასდროს იტარებს ტესტირებას სგგი-ზე 25-34 წლის ასაკის გამოკითხულები ჭარბობენ, ხოლო 45-54 წლის გამოკითხულთათვის ყველაზე ხშირადაა ტესტირება შესაძლებლობაზე დამოკიდებული. (დიაგრამა 3.6.2.)

მათ შორის, ვინც პროსტიტუციაში ჩაბმიდან ერთხელ მაინც ინფიცირებულა სექსუალური გზით გადამდები ინფექციით (n=74, 37%), თითქმის ყველა (n=72, 36%) ამბობს, რომ შესაბამისი მკურნალობა ჩაიტარა ექიმის დანიშნულების შესაბამისად. მხოლოდ მცირე ნაწილი ამბობს, რომ თვითმკურნალობას მიმართა (n=2) ან არ უმკურნალია (n=2). ამ უკანასკნელთაგან ყველა ბათუმში მცხოვრებია, და უმეტესობა (3/4) ტრანსგენდერი ქალია. ხოლო ისინი, ვინც ამბობენ, რომ ინფიცირებისას თვითმკურნალობას მიმართეს, ან არ იტარებენ სგგი-ზე ტესტირებას, ან იტარებენ მხოლოდ სიმპტომების და შესაძლებლობის შემთხვევაში.

**დიაგრამა 3.6.1.**

**სგგი-ზე ტესტირების სიხშირე, ქალაქის მიხედვით განაწილება (N=200)**




**დიაგრამა 3.6.2.**

**სგგი-ზე ტესტირების სიხშირე, ასაკის მიხედვით განაწილება (N=200)**



## ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობით კმაყოფილება

საკუთარი ფიზიკური ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობით კმაყოფილებას ხუთბალიან სკალაზე უმაღლესი ქულით აფასებს გამოკითხულთა მესამედზე მეტი (n=71, 35.5%); 4 ქულით აფასებს 22.5%, საშუალო 3 ქულით – 31%, ხოლო საშუალოზე დაბალი ქულით მეათედზე მეტი (n=22, 11%).

მონაცემთა გენდერული ნიშნით განაწილება აჩვენებს, რომ **როგორც რაოდენობრივად, ისე ჯგუფის შიგნით პროპორციულად, ტრანსგენდერ ქალებთან შედარებით მეტი სისგენდერი ქალი აფასებს მაღალი (4 და 5) ქულებით საკუთარი ფიზიკური ჯანმრთელობით კმაყოფილებას.** ფიზიკური ჯანმრთელობით კმაყოფილების საშუალო მაჩვენებელი სისგენდერი ქალების ჯგუფში არის 3.9, ხოლო ტრანს ქალების ჯგუფში – 3.4. (დიაგრამა 3.6.3.)

**დიაგრამა 3.6.3.**
**საკუთარი ფიზიკური ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობით კმაყოფილება, გენდერული ნიშნით განაწილება (N=200)**




**საკუთარი ფიზიკური ჯანმრთელობით კმაყოფილებას ბათუმში გამოკითხულთა 60% აფასებს საშუალო და უფრო დაბალი ქულებით, როდესაც სხვა ქალაქებში ეს მაჩვენებელი 37%-ს არ აღემატება.** (დიაგრამა 3.6.4.)

**დიაგრამა 3.6.4.**
**საკუთარი ფიზიკური ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობით კმაყოფილება, ქალაქის მიხედვით (N=200)**




იგივე პრინციპით, საკუთარი ფსიქიკური ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობით კმაყოფილებას უმაღლესი (5) ქულით აფასებს გამოკითხულთა 40%, 4 ქულით – 22.5%, საშუალო (3) ქულით – 25.5%, ხოლო საშუალოზე დაბალი ქულებით – 12%.

გენდერული ნიშნით განაწილება აჩვენებს, რომ ფიზიკურის მსგავსად, ფსიქიკური ჯანმრთელობით კმაყოფილების საშუალო მაჩვენებელიც სის ქალებში უფრო მაღალია და 4.04-ს უდრის, როდესაც ტრანსი ქალების ჯგუფში 3.2-ა. ამ შემთხვევაშიც, როგორც რაოდენობრივად, ისე ჯგუფის შიგნით პროპორციულად, ტრანსგენდერ ქალებთან შედარებით, **მეტი სისგენდერი ქალი აფასებს მაღალი (4 და 5) ქულებით საკუთარი ფსიქიკური ჯანმრთელობით კმაყოფილებას**. (დიაგრამა 3.6.5.)

ფსიქიკური ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობით კმაყოფილების მაჩვენებლების ქალაქის მიხედვით განაწილებაც ფიზიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების მსგავსია: **ბათუმში გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (51.7%) საშუალო და უფრო დაბალი ქულებით აფასებს საკუთარი ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობით კმაყოფილებას, როდესაც სხვა ქალაქებში ეს მაჩვენებელი 38%-ს არ აღემატება.** (დიაგრამა 3.6.6.)

**დიაგრამა 3.6.5.**
**საკუთარი ფსიქიკური ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობით კმაყოფილება, გენდერული ნიშნით განაწილება (N=200)**




**დიაგრამა 3.6.6.**
**ფსიქიკური ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობით კმაყოფილება, ქალაქის მიხედვით (N=200)**



პროსტიტუციის ტიპის მიხედვით განაწილება აჩვენებს, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობით ყველაზე ნაკლებად კმაყოფილები კაფე/ბარი/კლუბებში მომუშავე ქალები არიან, ისინი ყველაზე ხშირად აფასებენ კმაყოფილებას საშუალო და უფრო დაბალი ქულებით. (დიაგრამა 3.6.7.)

**დიაგრამა 3.6.7.**

**ფსიქიკური ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობით კმაყოფილება, პროსტიტუციის ტიპის მიხედვით (N=200)**




რაც ეხება ცხოვრებით კმაყოფილებას, განსხვავებით ჯანმრთელობის საკითხებისაგან, ორივე გენდერულ ჯგუფში საშუალო მაჩვენებელი 3 ქულაზე დაბალია: სის ქალების ჯგუფში 2.9-ს, ხოლო ტრანსი ქალების ჯგუფში 2.7-ს უდრის. ცხოვრებით კმაყოფილებას გამოკითხულთა მხოლოდ 12.5% აფასებს უმაღლესი (5) ქულით, 4 ქულით აფასებს 18%, საშუალოდ (3 ქულით) გამოკითხულთა ყველაზე დიდი წილი, თითქმის მესამედი – 32.5%, 2 ქულით 16.5%, ხოლო უმცირესი (1) ქულით გამოკითხულთა მეხუთედზე მეტი – 20.5%. მათი უმეტესობა, ვინც ცხოვრებით კმაყოფილებას უმაღლესი ქულით აფასებს, ჯანმრთელობითაც საშუალოზე მეტად კმაყოფილია (20/25). (დიაგრამა 3.6.8.)

**დიაგრამა 3.6.8.**
**ცხოვრებით კმაყოფილება, გენდერული ნიშნით განაწილება (N=200)**




როგორც ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შეფასებისას, ცხოვრებით კმაყოფილების ქუთაისში გამოკითხულების შეფასებები აღემატება სხვა ქალაქებში გამოკითხულებისას: ცხოვრებით კმაყოფილების საშუალო შეფასება ქუთაისში 3.4-ს, თბილისში 2.7-ს, ხოლო ბათუმში 2.5-ს უდრის.

## ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები

გამოკითხულთა 30% ამბობს, რომ აქვს ქრონიკული მდგომარეობა/დაავადება, რომელიც ექიმის მუდმივ მეთვალყურეობას ან მედიკამენტოზურ მკურნალობას საჭიროებს, 20.5%-ს კი ამ მკურნალობაზე ხელი არ მიუწვდება. მათი უმეტესობის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი, ვისაც მკურნალობაზე ხელი მიუწვდება (17.5%), 1000 და მეტი ლარია (24/35).

გამოკითხულთა 57% სხვადასხვა რეგულარობით მოიხმარს ალკოჰოლს. **ყოველი მეათე გამოკითხული ალკოჰოლს ყოველდღე მოიხმარს ალკოჰოლს.** გამოკითხულთა 36% – სხვადასხვა სიხშირით, ხოლო 5%-ს ყოველთვის ალკოჰოლური თრობის ქვეშ აქვს სექსი. 2%, მათ შორის მხოლოდ ბათუმში მცხოვრები ტრანსგენდერი ქალები (მთლიანი გენდერული ჯგუფის 7.8%), ამბობს რომ ალკოჰოლზე დამოკიდებულია.

მათი უმეტესობის ყოველთვიური შემოსავალი, ვინც საერთოდ არ მოიხმარს ალკოჰოლსა (54/86) თუ თამბაქოს (30/48), 1000 და მეტი ლარია.

გამოკითხულთა შორის, თამბაქოსთან და ალკოჰოლთან შედარებით, დაბალია ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპული საშუალებების მოხმარება, 87% ამბობს, რომ საერთოდ არ მოიხმარს ამ საშუალებებს, მათგან 3% ყოფილი მომხმარებელია. 2% უარს ამბობს პასუხზე, 5% ამბობს, რომ იშვიათად, გამონაკლის შემთხვევებში, 2.5% დროდადრო, ხოლო 3.5% ამბობს, რომ რეგულარულად მოიხმარს ნარკოტიკებს ან ფსიქოტროპულ საშუალებებს.

გენდერული ნიშნით მონაცემთა განაწილება აჩვენებს, რომ, სის ქალებთან შედარებით, ტრანსგენდერი ქალების ჯგუფში ბევრად უფრო გავრცელებულია ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპული საშუალებების მოხმარება. (დიაგრამა 3.6.9.)

**დიაგრამა 3.6.9.**

**ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპული საშუალებების მოხმარების სიხშირე, გენდერული ნიშნით განაწილება (N=200)**



თრობის საშუალებების, როგორც ალკოჰოლის, ისე ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპული საშუალებების მოხმარების სიხშირე ბათუმში ყველაზე მაღალია. ალკოჰოლის მოხმარების მაჩვენებელი 65%, მაშინ როდესაც სხვა ქალაქებში მაჩვენებელი არ აღემატება 57%-ს (თბილისი – 50%, ქუთაისი – 56.7%). ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპული საშუალებების მოხმარების მაჩვენებელი კი 20%-ა, 6.7% უარს ამბობს პასუხზე, როდესაც სხვა ქალაქებში მოხმარების მაჩვენებელი 12%-ზე დაბალია.

რაც ეხება სხვადასხვა ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ სექსს, ყველაზე ხშირად პროსტიტუციაში ჩაბმული ქალები ამ მიზნით მოიხმარენ ალკოჰოლს. გამოკითხულთა 36%-ს სხვადასხვა სიხშირით, ხოლო 5% ყოველთვის ალკოჰოლური თრობის ქვეშ აქვს სექსი. 9%-ს სხვადასხვა სიხშირით აქვს სექსი მარიხუანას ეფექტის ქვეშ, 3.5%-ს კი – ყოველთვის. სხვა ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული საშუალებების თრობის ქვეშ სექსი რეგულარულად აქვს გამოკითხულთა 5%-ს, მათ შორის უმრავლესობა ტრანსგენდერი ქალია (9/10).

## 3.7. მომავლის ხედვა

გამოკითხულთა 38% ფიქრობს, რომ იმდენ ხანს იქნება პროსტიტუციით დაკავებული, რამდენ ხანსაც ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის ფაქტორების გათვალისწინებით შეძლებს. 18%-ს უჭირს განსაზღვრა, კიდევ რამდენ ხანს იქნება კომერციული სექს საქმიანობით დაკავებული. 22.5%-ს წარმოუდგენია, რომ 1-5 წლამდე, 16%-ს წელიწადზე ნაკლები, 5% კი 5 წელიწადზე დიდხანს კიდევ იქნება ჩართული კომერციულ სექს საქმიანობაში. ნიშანდობლივია, რომ **ტრანსგენდერ ქალებს უფრო ხშირად უფრო დიდი ხნით წარმოუდგენიათ კომერციულ სექს საქმიანობაში ყოფნა, ვიდრე სის ქალებს.** (დიაგრამა 3.7.1.)

**გამოკითხულთა უმეტესობა (60%) დათანხმდებოდა ალტერნატიული სამსახურის პოვნაში დახმარების წინადადებას.** მათი ნახევარი, თითქმის 30%, მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებდა ალტერნატიული სამსახურის პოვნაში დახმარების წინადადებას, თუ ის ღირსეულ (ნარატივებში აღწერილი, როგორც „ხარჯებისთვის საკმარისი“ ან კონკრეტულად, მაქსიმუმ 1800-ლარიანი სტაბილური ხელფასით განსაზღვრული) ან პროსტიტუციაზე მეტ შემოსავალს მოუტანდა; 30% კი

**დიაგრამა 3.7.1.**
**როგორ ფიქრობთ, კიდევ რამდენ ხანს იქნებით პროსტიტუციაში ჩართული? გენდერული ნიშნით განაწილება (N=200)**




ალტერნატიულ შემოთავაზებაზე უპირობოდ დათანხმდებოდა. 28%-ის თანხმობა დამოკიდებულია წინადადების შინაარსზე (შემოსავლის მიუხედავად), ხოლო 8% მსგავს დახმარებას არც ერთ შემთხვევაში არ დათანხმდება. მათ შორის, ვინც არც ერთ შემთხვევაში არ დათანხმდება ალტერნატიული სამსახურის პოვნაში დახმარებას, ჭარბობენ ბათუმში მცხოვრები რესპონდენტები (n=8).

# 4. დასკვნა

კვლევამ აჩვენა, რომ პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების კომერციული სექს საქმიანობით დაკავების წინაპირობას ხშირად არახელსაყრელი სოციალური და ეკონომიკური პირობები წარმოადგენს. გამოკითხულთა უმეტესობას აქვს სიღარიბის, განათლებასა და სხვა სოციალურ სიკეთეებზე ხელმიუწვდომლობის, ღირსების შემლახავი მოპყრობისა და ძალადობის გამოცდილებები. სწორედ სოციალური და ეკონომიკური მოწყვლადობა ზრდის ექსპლუატაციის, ფიზიკური და სექსუალური ძალადობის რისკებს პროსტიტუციაში ჩაბმული ქალებისათვის. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ **პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების კეთილდღეობის მიზნით დაგეგმილი ადვოკაცია და სხვა ინსტიტუციური ინტერვენციები საჭიროა, უპირველესად მიემართებოდეს პროსტიტუციაში მათი მოწყვლადობის ისეთ განმაპირობებლებს, როგორიცაა სიღარიბე, განათლება და სოციალური მხარდაჭერა.**

გარდა ამისა, კვლევამ გამოავლინა ადამიანის უფლებათა შემლახავი პრაქტიკის მაღალი გავრცელება პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების მიმართ. პროსტიტუციაში ჩაბმული მრავალი ქალი ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ძალაუფლებრივ და ძალადობრივ ურთიერთობას, რომელიც ხელყოფს მათ უფლებებსა და ღირსებას. კვლევაში აღწერილი დინამიკა მოწმობს, რომ **პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალთა უსაფრთხოებისა და უფლებრივი დაცულობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია გადაუდებელი სამართლებრივი რეაგირების მექანიზმების გამართვა და შემუშავება.**

პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების აგენტობისა და არჩევანის თავისუფლების საკითხიც ერთ-ერთი ფუნდამენტური აღმოჩნდა კვლევის შედეგების გაანალიზების პროცესში. მართალია, გამოკითხული ქალების ნაწილი კომერციულ სექს საქმიანობაში ნებაყოფლობით ერთვება, თუმცა, მრავალი ქალისათვის ეს გადაწყვეტილება განპირობებულია სტრუქტურული და სისტემური ფაქტორებით, როგორიცაა, გენდერის ნიშნით ძალადობა და არაღირსეული მოპყრობა, სიღარიბე, განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, და სხვა. შესაბამისად, **პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების გაძლიერებისა და მათი სურვილის შემთხვევაში, კომერციული სექს საქმიანობის მი-**

**ტოვების შესაძლებლობის ხელშესაწყობად, საბაზისოა ღირსეული და ეფექტიანი ალტერნატივებისა და ქმედითი მხარდაჭერის სისტემების ჩამოყალიბება.** ამასთან, ადვოკატირებისა და ინტერვენციების სტრატეგიების ეფექტიანი დაგეგმვისათვის აუცილებელია, თავად ქალთა ამ თემის წარმომადგენელთა ჩართულობა – მათი აგენტობის აღიარებისა და მრავალმხრივი და განსხვავებული საჭიროების მაქსიმალურად გათვალისწინების მიზნით.

კვლევის ფარგლებში ქალთა კეთილდღეობის პოლიტიკის მიზნებთან მიმართებაში ასევე გაანალიზდა პროსტიტუციასთან დაკავშირებული სამართლებრივი ჩარჩოები. მოცემული საადვოკაციო კონტექსტის ანალიზი, პროსტიტუციაში ჩაბმული ქალებისა და მათთან მომუშავე ექსპერტების მიერ გაზიარებულ ინფორმაციასთან ერთად ადასტურებს, რომ 1. მართალია, საქართველოში პროსტიტუცია დეკრიმინალიზებულია, თუმცა, მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები არ ითვალისწინებს კომერციული სექს საქმიანობით დაკავებულ ინდივიდებს, როგორც სამართლებრივ სუბიექტებს და შესაბამისად, ვერ გამოდგება მათ დასაცავად; 2. მაშინ როდესაც პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების სამართლებრივი დევნისათვის გამოიყენება როგორც აღნიშნული ნორმები, ისე სხვა სამართლებრივი ბერკეტები, **პროსტიტუციასთან დაკავშირებული არსებული კანონმდებლობა ამყარებს ქალთა მარგინალიზაციასა და სტიგმას.** კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, ქალთა ფსიქოლოგიური კარგად ყოფნისა (well-being) და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად **საჭიროა პროსტიტუციასთან დაკავშირებული ადგილობრივი კანონმდებლობის გადახედვა, ნორმებში ქალთა საჭიროებების გათვალისწინება, მათი დაცვის მექანიზმების ინტეგრირება და კეთილდღეობის სერვისებზე ხელმისაწვდომობით შევსება.**

გარდა ამისა, კვლევის შედეგები ცხადყოფს პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების ჯანდაცვის რისკების, როგორიცაა სექსუალური გზით გადამდები ინფექციები, ნივთიერებათა მოხმარება/დამოკიდებულება და ტრავმა, პრევენციული და საპასუხო პროგრამების აუცილებლობას. **პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალთა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის გამოწვევებზე საპასუხოდ კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას, ზიანის შემცირების სტრატეგიებსა და ტრავმა-ინფორმირებული ზრუნვის (trauma-informed care) სოციალურ და სათემო სერვისებს.**

და ბოლოს, კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ **პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების მდგომარეობის საფუძვლიანი შესწავლისა და შეფასებისათვის, ისევე როგორც, გამოწვევების საპასუხო პოლიტიკის ეფექტურად დაგეგმვისათვის ფუნდამენტურია ინტერსექციური ანალიზი.** ისეთი ფაქტორების, როგორიცაა ასაკი, საცხოვრებელი ადგილი, მიგრაციის ისტორია, სოციალური და ეკონომიკური სტატუსი, გენდერთან თანაკვეთა კომპლექსურ და განსხვავებულ რეალობებს აწარმოებს. ინტერსექციური მიდგომა კი ხედავს ჩაგვრას, როგორც მრავალგანზომილებიან მოცემულობას და შესაბამისი კომპლექსური სტრატეგიების აუცილებლობაზე მიგვითითებს.

ჯამში, მოცემული კვლევა იძლევა ღირებულ ცოდნას პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების მდგომარეობის გააზრებისა და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვისათვის. წარმოდგენილი შედეგები მიუთითებს ჰოლისტური მიდგომის აუცილებლობაზე, რომელიც უპასუხებდა ქალების მოწყვლადობის საფუძველმდებარე განმაპირობებლებს, უზრუნველყოფდა ადამიანის უფლებათა დაცულობას, შესთავაზებდა მათ მდგრად და ღირსეულ ალტერნატივებს, აუცილებელ მხარდაჭერასა და რესურსებს კეთილდღეობისა და აგენტობის უზრუნველსაყოფად. ამ ძირეულ სფეროებში გაწეული ინსტიტუციური ინტერვენციები წვლილს შეიტანს ისეთი საზოგადოების მშენებლობის საქმეში, სადაც დაფასებული და დაცულია ადამიანის ღირსება და უფლებები, მიუხედავად პროსტიტუციისა.

# 5. გამოყენებული ლიტერატურა


Global Network of Sex Work Projectss , The Real Impact of the Swedish Model on Sex Workers, Community Guide, 2015, https://www.nswp.org/sites/default/files/Swedish%20Model%20Advocacy%20Toolkit%20Community%20Guide%2C%20NSWP%20-%20November%202015.pdf

International Commission of jurists (ICJ), The 8 March Principles for a Human Rights-Based Approach to Criminal Law Proscribing Conduct Associated with Sex, Reproduction, Drug Use, HIV, Homelessness and Poverty, 2023, https://icj2.wpenginepowered.com/wp-content/uploads/2023/03/8-MARCH-Principles-FINAL-printer-version-1-MARCH-2023.pdf

International Committee on the Rights of Sex Workers in Europe, Feminism needs Sex Workers, Sex Workers need Feminism: Towards a Sex Worker Inclusive Women's Rights Movement, Intersection briefing paper N2. March 2016, https://www.nswp.org/sites/default/files/Feminism%20Needs%20Sex%20Workers%2C%20Sex%20Workers%20Need%20Feminism%2C%20ICRSE%20-%202016.pdf

IWRAW-AP, Framework on Rights of Sex Workers and CEDAW, 2017, https://www.iwraw-ap.org/wp-content/uploads/2018/04/Framework-on-Rights-of-Sex-Workers-CEDAW-1.pdf

IWRAW-AP, Framework on Rights of Sex Workers and CEDAW, 2017, იხ: https://www.iwraw-ap.org/wp-content/uploads/2018/04/Framework-on-Rights-of-Sex-Workers-CEDAW-1.pdf

MacKinnon, C. A. (1989). Toward A Feminist Theory of the State. Cambridge: Harvard University Press

Sex Worker Advocacy and Resistance Movement, Everything you wanted to know about the Swedish Model (Aka the Nordic Model), 2020, https://www.swarmcollective.org/blog/the-swedish-model

SWAN, Sex Work and Feminism, A Guide on the Feminist Principles of Sex Worker Organizing, იხ: https://swannet.org/wp-content/uploads/2021/03/Sex_Work_and_Feminism_ENG_SnglPgs.pdf

UN General Assembly, On the fast track to ending the AIDS epidemic, 1 April 2016, A/70/811, https://www.refworld.org/docid

UNAIDS, Guidance Note on HIV and Sex Work, 2009, https://www.unodc.org/documents/hiv-aids/publications/guidance_note_English.pdf

UNAIDS, Guidance Note on HIV and Sex Work, 2009, იხ: https://www.unodc.org/documents/hiv-aids/publications/guidance_note_English.pdf UNAIDS, National Commitments and Policy Instruments 2017-2021, https://www.unaids.org/en/resources/presscentre/featurestories/2022/february/20211220_gow_criminalization

UNAIDS, Protecting Rights of sex workers, 2017, https://www.unaids.org/en/resources/presscentre/featurestories/2017/june/20170602_sexwork

UNAIDS, Report on the Global AIDS Epidemic, 2006.

WHO, Global HIV, Hepatitis and STI's Program, sex workers, https://www.who.int/teams/global-hiv-hepatitis-and-stis-programmes/populations/sex-workers

WHO, Policy Brief – Prevention And Treatment of HIV and other Sexually Transmitted Infections for Sex Workers In Low- And Middle-Income Countries, GRADE methodology, 2012, https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/77744/WHO_HIV_2012.19_eng.pdf?sequence=1

WHO, Prevention and Treatment of HIV and other Sexually Transmitted Infections for Sex Workers in Low- and Middle-income Countries, 2012, https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/77745/9789241504744_eng.pdf;jsessionid=9B281491EB570E7802804A0DCD96AC77?sequence=1

გაერო, პალერმოს პროტოკოლი, მუხლი 3, https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/protocol-prevent-suppress-and-punish-trafficking-persons ქართულად: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1394035?publication=0

რეხვიაშვილი ანა, „სექს ომებში დაკარგული სექს-მუშაკთა შრომა", სოციალური სამართლიანობის ცენტრი

საინფორმაციო-სამედიცინო ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა", „სტიგმა, დისკრიმინაცია და ძალადობის ფორმები ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელ და სექს-ბიზნესში ჩაბმულ ქალებში"- თვისებრივი კვლევის ანგარიში, 2018, https://tanadgoma.ge/wp-content/uploads/2018/10/177.pdf

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია (22/03/2023 – 02/05/2023) https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=515

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ალტერნატიული შუალედური ანგარიში CEDAW კომიტეტში, 2016.

საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, 2017 წელი

საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, ადამიანის უფლებები სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ჭრილში: ქვეყნის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება, 2018, https://ombudsman.ge/res/docs/2019040210585343203.pdf

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=253

# დანართი 01.
# ექსპერტთა ფოკუს-ჯგუფში მონაწილე ორგანიზაციების ჩამონათვალი:

1. საინფორმაციო-სამედიცინო ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა“
2. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია)
3. თანასწორობის მოძრაობა
4. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG)
5. „ქვიარ ასოციაცია – თემიდა“
6. HERA XXI
7. ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი